ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 298 (12 669) 19 დეკემბერი პარასკევი 2008 ფასი 50 თეთრი



# უამინდობამ ეროვნული ჩემპიონატიც დააზარალა

როდის ჩატარდება დინამო-ზესტაფონის მატჩი? » 2



## იანკოვიჩი და ნადალი წლის საუკეთესო ჩოგბურთელები

» 14



## ევროლიგაში შერმადინის დებიუტი შედგა

კალათბურთი. ლეგიონი » 12

# ახალმა მინისტრმა ქართულ სპორტს ახალი იმედები ჩაუსახა




» 11

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა

# ზამთარია, სიცივეა...

## დინამო-ზესტაფონი გადაიდო

მე-16 ტურის ორი მატჩი, რომელიც 20 დეკემბერს, შაბათს იყო დაგეგმილი, აღარ გაიმართება.

ტურს გამოტოვებენ თბილისის "დინამო" და "ზესტაფონი". ჩემპიონს შინ თასის მფლობელისთვის უნდა ემასპინძლა. მოულოდნელ დასვენებას გუნდები უამინდობას უნდა უმადლოდნენ – ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონის მოედანი თოვლითაა მოფენილი და მისი ორ დღეში აღების იმედი არაა.

საკუთარ ვებგვერდზე, გუშინ საღამოს, პროფესიული ფეხბურთის ლიგის განცხადება გამოაქვეყნა:

*"საქართველოს XX ეროვნული ჩემპიონატის XVI ტურის თამაში, თბილისის „დინამოსა" და "ზესტაფონს" შორის, რომელიც უნდა ჩატარებულიყო 20 დეკემბერს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, მინდორზე დიდთოვლობის გამო, აღარ გაიმართება.*

*ამასთან დაკავშირებით, დღეს, 18 დეკემბერს ეროვნული სტადიონის საფარი პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა და ლიგის საშეჯიბრო სამსახურის უფროსმა ნოდარ კაკულიამ მოინახულეს. მოედანზე თოვლის საფრის სიმაღლე 15-16 სანტიმეტრი იყო. ძირი არის გაყინულია, რაც მის გაწმენდას შეუძლებელს ხდის. ამინდის პროგნოზის მიხედვით, 19 დეკემბერს მოსალოდნელია ყინვა, ხოლო 20 დეკემბერს - კვლავ თოვა. ასეთ საფარზე მატჩის გამართვა შეუძლებელია. „დინამო''-''ზესტაფონის შეხვედრის ზუსტ თარიღს მოგვიანებით გაცნობებთ".*

რა დასამალია და, უამინდობამ "დინამოს" სულზე მიუსწრო – **მათე ვაწაძისა და გიორგი მერებაშვილის** ტრავმებმა, ბუნებრივია, გუნდი საკმაოდ დაასუსტა. ეს რუსთავში, "ოლიმპთან" მატჩმაც გამოაჩინა – საქართველოს ჩემპიონი საკუთარ თავს არ ჰგავდა. ახლა კი "დინამოს" "ზესტაფონთან" არანაკლებ პრინციპული შეხვედრა ელოდა.

ამ მატჩის ბედი თუ გარკვეულია, გუშინ საღამომდე უცნობი იყო, გაიმართებოდა თუ არა შეხვედრა ბორჯომში, სადაც 20 დეკემბერს ადგილობრივ "ბორჯომს" ცხინვალის "სპარტაკთან" პრინციპულ თამაში ელოდა.

პაატა ბურჯალიანის თქმით, ბორჯომშიც არასასურველი მეტეოროლოგიური პირობების გამო შეხვედრის გამართვა წარმოუდგენელია.

ჩვენ დავუკავშირდით "ბორჯომის' გუნდის უფროსს, **ვახტანგ მაისურაძეს**, რომლის თქმითაც, ბორჯომის სტადიონზე მატჩის გამართვა წარმოუდგენელია.

*"ზედიზედ სამი დღე ბორჯომში გადაუღებლად თოვდა, ცივი ამინდები და საშინელი ყინვაა, მოედანიც ისეთი მოყინულია, აქ თამაში საშიშია"* – გვითხრა მაისურაძემ.

*"დიდი შანსია, ეს მატჩიც გადავდოთ. საბოლოო გადაწყვეტილებას ხვალ მივიღებთ. ეროვნულ სტადიონზე იმხელა თოვლი იდო, იქ თამაში შეუძლებელია. თანაც, ისიც გავითვალისწინეთ, რომ ეროვნულ სტადიონს მზე კარგად ვერ უდგება და თოვლის დადნობის შანსი არაა. ამინდის პროგნოზს დღეს ყურადღებით ვუსმენდი, რომელიც ასევე შემაშფოთებელია – ყინვები გაძლიერდება და პარასკევს საღამოს, ანუ მატჩის წინაღამეს, ისევ თოვლია მოსალოდნელი"* — გვითხრა ბურჯალიანმა.

უამინდობის გამო, იყო ვარაუდი, თითქოს, არა მხოლოდ ეს ორი შეხვედრა, არამედ მთელი ტური გადაიდებოდა. ბურჯალიანმა ეს კატეგორიულად გამორიცხა.

**მერაბ მამულაშვილი**



## დინამოში ბალკანელებს სინჯავენ

## ილიასგან საქართველოზე მხოლოდ კარგი მსმენია

თბილისის „დინამომ" ზამთრის სატრანსფერთო ფანჯრის გახსნამდე ბევრად ადრე დაიწყო ახალი მოთამაშეების შერჩევა. კარგად გვახსოვს გუნდში გერმანელი თურქის და მოსკოვში გაზრდილი ქართველის გასინჯვა.

საბოლოოდ, მათ შესახებ არაფერია ცნობილი, ანუ ისინი გაუშვეს. გუშინ დილმის ბაზაზე კიდევ ორმა ახალმა მოთამაშემ ივარჯიშა.

*„დღეს გუნდთან ერთად, პირველად ივარჯიშეს სინჯებზე მყოფმა ბოსნია-ჰერცოგოვინელმა ფუად სალიჰოვიჩმა და ჩერნოგორიელმა დანილო ტომიჩმა. სალიჰოვიჩი 23 წლისაა და ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს. 22 წლის ტომიჩი კი მარჯვენა ნახევარმცველია.*

*სალიჰოვიჩს ოდესის „ჩერნომორეცში", „სარაევოსა" და „რადნიჩკიში" უთამაშია, ბოლოს კი სერბეთის კლუბის, „ნოვი პაზარის" ღირსებას იცავდა.*

*რაც შეეხება ტომიჩს, მისი გუნდი „კომ პოდგორიცა" ჩერნოგორიის ახლახან დასრულებულ ჩემპიონატში მე-9 ადგილზე გავიდა. ტოპიჩი, თანამემამულე ილია სპასოევიჩთან ერთად, ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებშიც გამოდიოდა."* – იუწყება თბილისის "დინამოს" ოფიციალური ვებგვერდი.

იქვეა განთავსებული ახალწვეულთა სახელდახელო კომენტარებიც:

დანილო ტომიჩი: *"ჩერნოგორიის ჟურნალ-გაზეთებში, ტელევიზიაში ხშირია ილია სპასოევიჩის ინტერვიუები, რომლებშიც "დინამოსა" და საქართველოზე კარგის მეტი არაფერი მსმენია. თბილისში დილით ჩამოვედით, ცოტა გადაღლილები ვართ, მაგრამ ვფიქრობ ვარჯიშმა კარგად ჩაიარა. პირველივე ვარჯიშზე ვიგრძენით, რომ გუნდში ჩინებული ატმოსფერო და სამუშაო განწყობაილებაა".*

ფუად სალიჰოვიჩი: *"დინამო" დიდი გუნდია, საქართველოში საუკეთესო და დიდი ტრადიციების მქონე. დასარჩენად, საუკეთესო თვისებები უნდა გამოვავლინოთ. პირველსავე ვარჯიშზე გამოჩნდა, რომ აქ ნამდვილი პროფესიონალები არიან".*

დაბოლოს: როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, თბილისის "დინამო" სარეზერვო შემადგენლობის რამდენიმე წევრთან, მალე პროფესიონალურ კონტრაქტს გააფორმებს.

**მერაბ მამულაშვილი**

გაეცანით სამყაროს «ლელოსთან» ერთად!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და მედია სახლის კიდევ მინიმუმ ერთი გამოცემა და მიიღეთ **საჩუქრად**

„მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი"
ან „ვეფხისტყაოსანი"
„დიდი საბავშვო ენციკლოპედია"
„დიდი წიგნი ხელოვნებაზე"



მედია სახლი „პალიტრას" გამოცემები:

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის განმავლობაში | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| ყველა სიახლე | 0.80 | 52 | 41.60 |
| გზა | 0.80 | 52 | 41.60 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.50 | 52 | 26.00 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.50 | 312 | 156.00 |
| ათიანი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"
www.elva.ge
T: 38 26 73; 38 26 74
elva@kvirispalitra.com
მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.
რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი"-ს საბითუმო გაყიდვების წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

თითოეული წიგნის ფასია 29 ლარი
თქვენ კი მას უფასოდ მიიღებთ!

აქცია გრძელდება 31 დეკემბრამდე

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

კახა ალადაშვილი

# სამი წელი ანჟიში

## კიევში შანსი არ მოუციათ


კახა ალადაშვილი

კიევის „დინამომ“ ნიჭიერი ქართველი ბიჭებისთვის შლაგბაუმის როლი შეასრულა. დიდი იმედებით გავუშვით ალეკო ამისულაშვილი, ოთარ მარცვალაძე, დათო იმედაშვილი და კახა ალადაშვილი. თითოეულმა მათგანმა ჯერ ეროვნულ ნაკრებში ადგილი დაკარგა, შემდეგ - უთამაშებელი წლები და რაც მთავარია - კლუბში თავის დამკვიდრება ვერ მოახერხეს.

ვისაც უეფას ჯგუფურ ეტაპზე გასული თბილისის „დინამოს“ ეფექტური და სასარგებლო ნახევარმცველი კახა ალადაშვილი ახსოვს, ვერ დაიჯერებს, რომ კახას ფეხბურთის თამაში არ შეუძლია. სამწუხაროდ, მთელი სამი წელი დაკარგა და მხოლოდ ახლა შეეცდება დაკარგულის ანაზღაურებას - 25 წლის ფეხბურთელი, ოთარ მარცველაძესთან ერთად, რუსეთის პირველი ლიგის მახაჩყალის „ანჟიში“ მალე ოფიციალურად ჩაირიცხება.

**- კახა, „ანჟი“ მახაჩყალაში შეიკრიბა, შენ და მარცვალაძე კი დღემდე თბილისში ხართ.**

- „ანჟიში“ ჩემი ჩარიცხვა გადაწყვეტილია, მაგრამ ტრავმის გამო, წასვლას აზრი არც ჰქონდა. მეორე მხრივ, რუსეთის ვიზის ასაღებად დრო იყო საჭირო და ველარ ვასწრებდი. „ანჟიშიც“ გადაწყვიტეს, რომ მე და მარცვალაძე თბილისში უნდა დავრჩენილიყავით.

**- ტრავმა როდის მიიღე?**

- დაახლოებით ორი თვის წინ, „დინამოს“ დუბლებში თამაშისას კოჭი მატკინეს და თვე-ნახევარი არ მითამაშია. ალბათ, გუნდს პირდაპირ თურქულ შეკრებაზე შევუერთდებით, თუკი მანამდე კოჭი აღარ შემაწუხებს. თუმცა, ახლა თავს უკეთ ვგრძნობ.

**- „ანჟიში“ იჯარით წახვედი თუ დაღესტნელებმა შენი ტრანსფერი გამოისყიდეს?**

- გამოისყიდეს და ძალიან მიხარია, კიევის „დინამოს“ თავი რომ დავაღწიე.

**- კიევის „დინამო“ ტრანსფერში მილიონებს ითხოვს და შენ და მარცველაძეს იოლად შეგელიათ?**

- დრო არ იყო? სამი წელი ტყუილად დავკარგე. მათ დიდი ფული კი სურდათ, მაგრამ „ანჟისთან“ შეთანხმდნენ.

**- კიევში კარიერა რატომ ვერ ააწყვე? მწვრთნელებთან გქონდა კონფლიქტი, გუნდმა მენეჯერთან ვერ გაარკვია ურთიერთობები თუ თავად ვერ შეეწყვე გუნდის მოთხოვნებს?**

- სამი წლის განმავლობაში სამჯერ იჯარით გამიშვეს. ძირითად შემადგენლობაში რომ ვერ ვხვდებოდი, არც ვიცი, რას დავაბრალო. მონდომება არ მაკლდა, ზარმაცი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ თავის გამოჩენის შანსი კლუბის პრეზიდენტმა იგორ სურკისმა არ მომცა.

**- შემთხვევით არაფერი ხდება - ტყუილად ხომ არ აგიყვანა?**

- ეტყობა, ტყუილად ზოგჯერ რაღაცები ხდება. სურკისი ქართველების მიმართ კარგად არ არის განწყობილი, არ გვენდობოდა და შანსიც არ მოგვცა. თუმცა, ვერ ვხვდები, რა მიზნით მიგვიყვანა.

**- იქნებ, კიევის „დინამოს“ დონის გუნდში ნაადრევად წახვედი?**

- „დინამოში“ მწვრთნელად იური სიომინი რომ დაგვხვედროდა, კარიერას სხვაგვარად წარვმართავდით და მეტი შანსი მოგვეცემოდა. ასეთ ფაქტორებზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

**- რუსეთის პირველ ლიგას რა იმედებს უკავშირებ? ან ის არ გადარდებს, ლეგიონერებზე ლიმიტს რომ ამკაცრებენ?**

- ახალ გუნდში სკამზე დასაჯდომად არავინ მიდის. გუნდში ბევრი ქართველია, მაგრამ რამდენიმეს რუსული პასპორტი აქვს. მთავარია, რომ კიევის „დინამოდან“ წამოვედი, უკრაინის პირველ ლიგაში თამაშს „ანჟიში“ გადასვლა ბევრად მირჩევნია.

**- კონტრაქტი რა ვადით გააფორმე?**

- სამწლიანზე შევთანხმდით, მაგრამ კონტრაქტი ოფიციალურად ჯერ არ გამიფორმებია.

**- ასეთი ხანგრძლივი კონტრაქტი შენთვის ხელსაყრელია?!**

- “ანჟის” პრემიერლიგაში გადასვლა სურს და რატომაც არ უნდა მაძლევდეს ხელს რუსეთში თამაში? თუ ვერ გადავალთ, წინასწარ შეთანხმებულ კონტრაქტში ესეც გავითვალისწინე და წასვლის უფლება დავიტოვე.

**მერაბ მამულაშვილი**


რევაზ ბარაბაძე

# მახაჩყალას სამი ქართველი დააკლდა

## ბარაბაძე ტრანსფერზე, აშვეთია და აბრამიძე წავიდნენ

მახაჭყალის „ანჟიში“ **ოთარ მარცვალაძე** და **კახა ალადაშვილის** გადასვლის ამბავი არახალია. სწორედ მაშინ ვწერდით, რომ ჩვენი ინფორმაციით, რამდენიმე ფეხბურთელი კლუბს დატოვებდა. ასეც მოხდა – გუშინ დაღესტნური კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ კლუბი ფორვარდმა **მიხეილ აშვეთიამ** და მცველმა **ვალერი აბრამიძემ** დატოვეს - მათ კონტრაქტის ვადა ამოეწურათ და კლუბში დარჩენა არ ისურვეს. მათი მომავალი ჯერაც უცნობია.

რაც შეეხება საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელ **რეზო ბარაბაძეს**, ის „ანჟის“ ხელმძღვანელობამ ტრანსფერზე დააყენა. მიზეზად ის დაასახელეს, რომ 20 წლის ფორვარდი ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და “ანჟის” თავკაცებმა მასზე უარი თქვეს.

საინტერესოა, როგორ მოხვდებოდა ძირითად ან სათადარიგოთა შემადგენლობაში ფეხბურთელი, რომელიც ამჟამად მკურნალობს? არადა, ისიც ცნობილია, რომ აგვისტოში, სანამ დაშავდებოდა, რეზო სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდებოდა და გოლების გატანაც დაიწყო.

კომენტარისთვის რეზო ბარაბაძეს დავუკავშირდით.

”სიმართლე გითხრათ, დარჩენა თავადაც აღარ მსურდა. ჩემი გუნდიდან წასვლა ორივე მხარისთვის მისაღები გადაწყვეტილება იყო. თუმცა ჯერ ვერსად წავალ, რადგან მუხლის ოპერაციის შემდეგ, ვმკურნალობ. ყავარჯნების გარეშე დავიდივარ, ტრენაჟორზე ვარჯიში დავიწყე და წყლის პროცედურებსაც ვიტარებ. უკვე აშკარად ვგრძნობ, რომ მუხლის მყესები გამაგრდა.

სირბილიც შემიძლია, მაგრამ ჯერ არ ვჩქარობ, ტრავმის უაზროდ გამიზეზებას ვერიდები. ოპერაცია ბელგიაში ცნობილმა ექიმმა მარტენსმა გამიკეთა და მითხრა, რომ გუნდთან ერთად თებერვალში ვივარჯიშებდი. რეაბილიტაციის პერიოდი გაცილებით ადრე დავასრულე, მაგრამ ეს ისეთი ტრავმაა, გათამამება არ შეიძლება და მეც თავს ვიზღვევ. მაქსიმუმ 27 იანვრისთვის სირბილს დავიწყებ, მარტისთვის კი ალბათ, მოედანზეც დავბრუნდები.

სამწუხაროდ, ოპერაცია გვიან გავიკეთე. აგვისტოში დავშავდი, ბელგიაში კი ოქტომბერში ჩავედი. ვიდრე კარგი ექიმი შევარჩიე და მარტენსთან რიგი დავიკავე, დრო გავიდა. არადა, დროულად რომ მემკურნალა, ახლა უკვე ჩვეულებრივად ვივარჯიშებდი”, – ამბობს რეზო ბარაბაძე.

შეგახსენებთ, რომ „ანჟიში“ ამჟამად არიან **გიორგი ნავალოვსკი, ზურა არზიანი, გოჩა ხოჯავა** და **რეზო ჯიქია.** მათ მალე **ედიკ საჯაია**, ოთარ მარცვალაძე და კახა ალადაშვილი შეუერთდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

მწვრთნელები

# ძოძუაშვილს როსტოვი და ბერძნები დაუკავშირდნენ

## გუცაევი კიევში მიდის, ხაჩიძე უცხოურ ვარიანტებს ელის

პროფლიცენზიის მქონე მწვრთნელი ქართველებს აქამდე მხოლოდ ორი გვყავდა - **თემურ ქეცბაია** და **გია გეგუჩაძე**. მათ კიდევ ორი დაემატა, 11 დეკემბერს კიევის უმაღლეს სამწვრთნელო სკოლაში, პროფლიცენზია **რევაზ ძოძუაშვილმა** და **ვლადიმერ ხაჩიძემაც** აიღეს. შესაბამისად მათ საქართველოს გარდა უცხოურ გუნდებშიც შეუძლიათ მწვრთნელად მუშაობა.

“ცალ-ცალკე იყო გამოცდები თეორიასა და პრაქტიკაში. ბოლოს კი დიპლომი დავიცავით. სადიპლომოდ ჩემი თემა ასეთი იყო “ტაქტიკა-სტრატეგია, რიტმი, ტემპი და მანერა თანამედროვე ფეხბურთში”. კიევში პროფლიცენზიის მისაღებად ქართველებიდან მხოლოდ მე და ვლადიმერ ხაჩიძე ვიყავით. ჩვენ გარდა არა ერთი მწვრთნელი იყო მოლდოვიდან, რუსეთიდან, ლიტვიდან, ლატვიიდან. დიდი შრომა გავწიეთ და დაგვიფასდა კიდეც”, - “ლელოსთან” საუბარში აღნიშნა რევაზ ძოძუაშვილმა.

უკვე რამდენიმე თვეა, რაც ძოძუაშვილი არსად მუშაობს. ყარაღანდის “შახტიორის” დატოვების შემდეგ მან პაუზა აიღო. “სანამ კიევში დიპლომის დასაცავად წავიდოდი, “როსტოვის” ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა დამირეკა და მკითხა - ჩვენი გუნდი პრემიერლიგაში დაბრუნდა და მთავარი მწვრთნელობისთვის რამდენად მზად ხარო? დასამალი რა მქონდა, პირდაპირ ვუთხარი, რამდენიმე დღეში კიევში პროფლიცენზია უნდა ავიღო და მერე უცხოეთში მუშაობაც შემეძლება-თქო. მითხრეს, მაშინ მოგვიანებით დაგიკავშირდებითო. ეს იყო და ეს. ალბათ ამ თვის ბოლოს თუ არა, იანვარში დამიკავშირდებიან და უკვე კონკრეტული საუბარი გვექნება”, - განაცხადა ძოძუაშვილმა.

როგორც გავიგეთ, ძოძუაშვილი სხვა ვარიანტებსაც ელის.

“დასაქმებაზე ჩემი აგენტიც მუშაობს. კიევში ლიცენზია რომ ავიღე, დამიკავშირდა და მითხრა, ვიცი, აზერბაიჯანშიც შეძლებ მუშაობას, მაგრამ ბერძნული გუნდის გაწვრთნაზე რა აზრისა ხარო? უარი არ მითქვამს და მითხრა, მოგვიანებით შეგეხმიანებიო”, - აღნიშნა რეზო ძოძუაშვილმა.

პროფლიცენზიის აღებას საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი ყოფილი მწვრთნელი, **ვლადიმერ გუცაევიც** აპირებს. ეს ინფორმაცია რეზო ძოძუაშვილმაც დაგვიდასტურა.

“გუცაევიც კიევში გაივლის კურსებს, გამოცდებს ჩააბარებს და დიპლომსაც აიღებს. ის უკვე შეუდგა ამ საკითხზე მუშაობას. ვისაუბრეთ და ჩემი სახელმძღვანელოები და საჭირო ლიტერატურაც გადავეცი”.

რაც შეეხება ვლადიმერ ხაჩიძეს: “გუნდის ტაქტიკური განლაგება და მატჩის მსვლელობისას გუნდის ხელმძღვანელობა” – ეს იყო ჩემი სადიპლომო თემა. ამ ნაშრომში ვრიადი მივიღე. ჩემი და რეზო ძოძუაშვილის ჯგუფში ისეთმა ცნობილმა მწვრთნელებმა დაიცვეს დიპლომი, როგორებიც არიან საბო, ზიგმანტოვიჩი, “კრილიას” ყოფილი თავკაცი პავლოვი, რომელიც ახლა უკრაინაში მუშაობს... მოსკოვის “ლოკომოტივის” სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი ტკაჩენკო, “დნეპრის” ყოფილი ფეხბურთელი ვლადიმირ ლიუტი, რომელიც ამჟამად “შალკეს” ახალგაზრდულ გუნდში საქმიანობს. ლექციებსაც ცნობილი სპეციალისტები გვიკითხავდნენ. მაგალითად ალტმანი, ბაზილევიჩი, ვალერი ლობანოვსკის შტაბიდან შამარდინი, რომელიც კიევის “დინამოს” სამეცნიერო შტაბის ხელმძღვანელია. ამ საბუთით უცხოეთის ნებისმიერ ქვეყანაში შეგვიძლია მუშაობა. უფრო მეტიც, კიევში ყველა იმ მწვრთნელის გვარი ჩაინიშნეს აგენტებმა, რომლებმაც ეს უმაღლესი სამწვრთნელო კატეგორიის დიპლომები ავიღეთ. ჩემი და რეზო ძოძუაშვილის კოორდინატები და საკონტაქტო ნომრებიც ჩაინიშნეს. მართალი გითხრათ, უკვე აშკარად ვგრძნობ, რომ საკმაო ცოდნა-გამოცდილება მაქვს საიმისოდ, რომ უცხოეთშიც მოვსინჯო ძალები. მეტსაც გეტყვით, ზამთრის პაუზისას შესაძლოა წინადადებაც კი მივიღო უცხოეთიდან”, – განაცხადა ხაჩიძემ, რომელიც ჯერაც “გაგრის” მთავარი მწვრთნელია - “გაგრასთან” კონტრაქტი ამ წლის ბოლოს მიმთავრდება. კლუბის ხელმძღვანელები კმაყოფილები არიან ჩემი მუშაობით და თანამშრომლობის გაგრძელებაც უნდათ. მართალი გითხრათ, უცხოეთიდან წინადადებას კი ველი, მაგრამ ამ ეტაპზე კონკრეტულად მეტს ვერაფერს გეტყვით. თუ რეალურ შეთავაზებას მივიღებ, “გაგრის” პრეზიდენტს დაველაპარაკები და ყველაფერს ერთად გადავწყვეტთ”.

**დავით ცაბაძე**

ბენდელას თასი

# წილი ნაყარია

გუშინ „ლოკომოტივის“ სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში “ბენდელას თასის” კენჭისყრა ჩატარდა. ძმები **ქართლოს** და **კახა ჭუმბურიძეები** აფხაზეთში გმირულად დაღუპული მეგობრის, ყოფილი ფეხბურთელის, **ზაზა ბენდელიანის** ხსოვნას, უკვე მეჩვიდმეტე წელია, ასეთი ლამაზი ტურნირით უფრთხილდებიან.

მეჩვიდმეტე ტურნირი - ასეთი ტრადიციული საქართველოში მხოლოდ საფეხბურთო ჩემპიონატი და ეროვნული თასის გათამაშებაა - იყო ომიანობა, უმძიმესი პირობები, მაგრამ „ბენდელამ“ ამ განსაცდელს გაუძლო და დღემდე თავი მოიტანა.

წლევანდელი ტურნირი სპორტის სასახლეში აღარ გაიმართება - დარბაზის გათბობა ძვირი სიამოვნებაა. ტურნირის გამარჯვებული არმიის სპორტული კლუბის დარბაზში გამოვლინდება.

„რომ არა ჩვენი მეგობრებისა და საფეხბურთო სამყაროს თანადგომა, ტურნირი აქამდე ვერ მიაღწევდა. მართალია, სპორტის სასახლეში ვერ ვითამაშებთ, მაგრამ იმედია, მომავალში მაინც დავუბრუნდებით. წლევანდელი ტურნირი სპორტის დეპარტამენტის, ფეხბურთის ფედერაციისა და თბილისის ფედერაციის თანადგომით ტარდება. ჩვენი გენერალური სპონსორი კვლავ „იბერიაბიზნესჯგუფი“ და „ფოლკსვაგენია“, სპონსორები კი - „ჯეოსელი“, „ყაზბეგი“.

წელს სიახლე გოგონათა მონაწილეობაა - ორმა გუნდმა მონაწილეობის სურვილი უკვე გამოხატა. ამას გარდა, ბავშვებიც ითამაშებენ, დიდებში კი ტრადიციულად, 12 გუნდი ითამაშებს“, - გვითხრა ტურნირის ორგანიზატორმა ქართლოს ჭუმბურიძემ.

როგორც შევიტყვეთ, „ბენდელაზე“ ბევრი ცნობილი ფეხბურთელი ითამაშებს, მათ შორის, აზერბაიჯანის და საქართველოს კლუბების წევრები.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი კვირის ათასი წვრილმანი

დავით თავართქილაძის რუბრიკა

# ასეთი რა დავაშავეთ?



გემბლერები, ანუ ფსონზე თუ "ხელის მაზზე" მოთამაშენი განსაკუთრებული მილეთია. მათ თავიანთი თეორიები აქვთ, ზოგი საინტერესო, ზოგიც ძალიან უცნაური. ერთმა გემბლერმა მითხრა, შენ რა, არ იცი, რომ მთელი თბილისი დიმას ერთიანებს დასდევსო? აქ იგულისხმება დიმიტრი ობოლაძის მიერ პირდაპირ ეთერში წაყვანილი ჩემპიონთალიგური მატჩის რეპორტაჟი, ანუ თუ დიმა წაიყვანს ლიონი-რუსენბორგის ან კლუჟი-რომას შეხვედრას, აუცილებლად ერთიანი დაჯდება.

ცხადია, ასეთი თეორია არაფერია იმასთან, რომ "ბაიერნმა" "ზენიტთან" 0:4 იმიტომ წააგო, გერმანია და მთელი ევროპა რუსული გაზის გარეშე არ დარჩენილიყო. თეორიები ბევრია, ოღონდაც ეს არ უნდა იყოს მთავარი – ხალხს შეუყვარდა ტოტალიზატორი, რომელიც ალბათ მაინც საჭიროა თანამედროვე და ქართული ფეხბურთისთვის.

## ვოიაჟ-ვოიაჟ ბიჭები

15 წლის გიორგი ჭანტურიამ კი "ბარსელონას" მოაწონა თავი და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ჩაირიცხება კიდეც დიად კლუბში. ყმაწვილს თავი ალბათ ზღაპარში ჰგონია მიუხედავად იმისა, რომ ეს ნამდვილი ამბავია.

ნამდვილი ამბავია ისიც, რომ ჯერაც ყმაწვილ მიხეილ აშვეთიას ცხრა-ათი წლის წინ თვითმფრინავით დაატარებდნენ გუნდიდან გუნდში, ქალაქიდან ქალაქში, ვოიაჟ-ვოიაჟით გათანგულ ბიჭს ამით ბევრი გაუცდა, არადა, ნიჭი არ დაენწუნებოდა - ცაციას ისე შეყოფდა მცველებში, რომ ბურთს მათშიც გააძვრენდა და ბადესაც შეაწყვეტდა, ის თავდამსხმელად იყო დაბადებული და მასზე ფულის გაკეთება მოინდომეს. ახლა კი აშვეთია 31 წლისაა და მხაჭყალის "ანჟის" ფეხბურთელია.

გიორგი მაკარიძე "დორტმუნდში" მივიდა გასინჯვაზე, ახლა კი გავიგეთ, „ლე მანში" წასულაო. მაკარიძეს ჯერ არ ეტყობა ის ნიჭი, რაც აშვეთიას, მაგრამ მაინც დადის გუნდიდან გუნდში – ეს ფეხბურთელის ცხოვრების ნაწილია, ოღონდაც დრო არ უნდა გაიფლანგოს თვითმფრინავის სალონში და აეროპორტში. მაკარიძეს ყველაზე უფრო ალბათ ისეთი გუნდი და მწვრთნელი სჭირდება, კარგ მეკარედ რომ ჩამოაყალიბებს.

ახალგაზდა ფეხბურთელმა პილიგრიმივით ქალაქ-ქალაქ თუ იარა, გულიც გაუტყდება ფეხბურთზე, საუკეთესო შემთხვევაში ოდენ იმდენს მიაღწევს, რასაც აშვეთია შესწვდა.

## გვაჩვენეთ შეპირებული ორი მილიონი

"ბორჯომსა" და ახალციხის "მესხეთს" ფული შემოაკლდათ, ფეხბურთელების ხელფას-პრემია გადაუხდელია. მაშ, რას ნიშნავს კლუბის ლიცენზირება და ფინანსური გარანტიები? რისთვის კეთდება ყოველივე ეს, თუ შუა სეზონში კლუბმა არ იცის, გაისტუმრებს თუ არა ფეხბურთელების დავალიანებას? ეს პირველი თუ მეორე შემთხვევა ხომ არ არის?

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პოზიცია გასაგებია. თუ ამ ორგანიზაციამ რაღაც-რაღაცებზე თვალი არ დახუჭა, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ან ვერ ჩატარედება, ან მასში ითამაშებს ექვსი-შვიდი გუნდი, იქნებ უფრო ნაკლებიც, თუ ლიცენზირების კრიტერიუმებს მკაცრად მოსთხოვენ კლუბებს.

თვალის დახუჭვაში თვალსა და ხელშუა კოტრდებიან ქართული კლუბები. თუმც ეს გაკოტრება ისეთია, რომ თუ ხვალ გამგებელმა ფული გამონახა, რაიონის გუნდიც უცბად გაცოცხლდება – უკვდავების წყალი არ არსებობს მედიცინაში და არსებობს ქართულ ფეხბურთში.

ირონია რა მოსატანია, ქართული ჩემპიონატი სასაცილო შეჯიბრებას თუ ემსგავსება. ასე არაფერი არ გამოვა, ჩემპიონატი ტარდება იმისთვის, რომ ჩემპიონატი ჩატარდეს – ეს არის მთავარი პრინციპი და ალბათ სწორია, მაკარიძესაც რომ არ სურს აქ თამაში.

საპრიზო ფონდად სახელმწიფოსგან 2 მილიონი ლარი მიუვა თუ არა უმაღლესი ლიგის გუნდებს, ჯერაც უცნობია – ეს თანხა ჯერ არ დევს ისეთ ანგარიშზე, კლუბებზე გასანაწილებლად ხელმისაწვდომი რომ იყოს.

## ყველაფერს შნო უნდა

მალხაზ ასათიანი ისევ გზაგასაყარზეა. მოსკოვის "ლოკომოტივიდან" კიევის "დინამოში" განათხოვრებულს საიჯარო ვადა ამოეწურა და ამ ორი კლუბის შეთანხმებაზეა დამოკიდებული. აფსუსია ასეთ ნიჭიერ კაცზე ასეთი ხვედრი, ყველაფერი იღბლის თუ შემთხვევითობის ბრალი არ უნდა იყოს – ნიჭის გამოყენებაც ცხოვრების ხელოვნებაა.

ასათიანი, ცოტა არ იყოს, რთული ფენომენი გამოდგა. თითქოს ყველაფერი აქვს, მაგრამ მაინც ვერ გასწორდა წელში – რუსეთსა და უკრაინას ვერ გასცდა. რუსეთში ვინ აღარ მიდის, ბურთის დევნით ფული რომ იშოვოს, მაგრამ იან კოლერმა თუ სავო მილოშევიჩმა თავისი წილი ფეხბურთი ევროპაში უკვე ითამაშეს, ასათიანს კი სათამაშო აქვს.

ევროპაში წასვლა არ მოითხოვს დიდი ინტელექტს, არ არის ფეხბურთი ინტელექტუალების საქმე, ოღონდაც შნო კი უნდა აღმოაჩნდეს ფეხბურთელს ევროპაში სათამაშოდ.

ასათიანი 27 წლისაა და ევროპულ შანსს თუ ჩაეჭიდება, ასაკი ვერ დააბრკოლებს. მისი ნიჭი უკრაინა-რუსეთზე მეტ თვალსაწიერს იმსახურებს. ასათიანი ჯერაც მზარდია ევროპული კარიერისთვის, მაგრამ ეს თვითონ თუ არ მოინდომა, დიდი რუსეთის ყოფილ თუ ახლანდელ დედაქალაქს ვერ გასცდება.

## ყველაფერი მისტიკაა?

ახალგაზრდულ ნაკრებს მალე კახა ცხადაძე ჩაიბარებს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, საკადრო ცვლილებები ამით არ დასრულდება. სავარაუდოდ, ცხადაძის თანაშემწე ზაურ სვანაძე გახდება, ვინც ამ დროისთვის საქართველოს 19-წლამდელთა დამრიგებელია. სვანაძის პოსტზე კი გელა შეყილაძე გადაინაცვლებს, ვინც ახლა ჩვენს 17-წლამდლებს თავკაცობს, ხოლო მის ადგილს გიორგი დევდარიანი დაიკავებს, რომელიც 16-წლამდელთა ხელმძღვანელია.

ერთი შეხედვით, სისტემა სისტემას ჰგავს, ოღონდაც ფეხბურთი როგორ უნდა ჩაჯდეს ასეთი სუბორდინაციის გრაფიკში, ძნელი სათქმელია. ფეხბურთს ყოველთვის როდი უხდება მექანიკურობა. მოკლედ, ასეთი გადაადგილებების მიზანშეწონილობა სწორედაც რომ საკამათოა. ბოლოს და ბოლოს, ეს სკოლა ხომ არ არის, ჯერ მესამე კლასში გადახვიდე, მერე მეოთხეში და ასე შემდეგ...

ფედერაციის ახალმა გენმდივანმა რევაზ არველაძემ მიკიბ-მოკიბვის გარეშე გვითხრა, ფინანსურად წინ რთული წელიწადი გველისო.

ეს ოხერი ფული მართლაც ბევრს ნიშნავს და ვინ იცის, იქნებ ზოგჯერ სიმართლესაც ამბობენ გემბლერი თეორეტიკოსები. ოღონდაც საქართველოს სასარგებლოდ ფსონი ვერა და ვერ დაჯდა. ალბათ ყველაფერი მისტიკაა, თორემ ასეთი რა დავაშავეთ?!

## ჩორთმავალი რბოლა ხელის მაზისთვის

„ვარდების რევოლუცია" ახალი მოთავებული იყო, ტოტალიზატორებს რომ შეუტიეს, ისეთი ნორმატიული აქტები მიიღეს, საბუკმეიკერო კანტორებს საქართველოში არ უნდა ემუშავათ. ბუკმეიკერები დაფაცურდნენ, ერთმანეთს შეხვდნენ, თითქოს სოლიდარობისთვის ემზადებოდნენ. მაშინ ისეთი ვითარება იყო, ტოტალიზატორებს ქვეყნის ბიუჯეტში წლიურად ჯამში 8-9 მილიონი ლარი შეჰქონდათ, საბუკმეიკერო კანტორებში სამი ათასამდე კაცი იყო დასაქმებული, მათ იქით კი ოჯახები იდგნენ – ხელისუფლებაც ალბათ მოერიდა სიტუაციის გამწვავებას და ტოტალიზატორებმა მუშაობა განაახლეს.

ახლა ისევ აქტუალური გახდა ეს თემა. ხელისუფლება ერთხელაც დაფიქრდა სერიოზულად ამ ბიზნესის ავკარგიანობაზე და საჭიროებაზე – გადასახადების ისეთი სისტემა მზადდება, რომ ყველა თუ არა, უმეტესი ტოტალიზატორები დაიხურება – ასეთია ბუკმეიკერთა პროგნოზი.

ტოტალიზატორი არსებობდა ბოროტ, საშინელ ქვეყანაშიც, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა, ოღონდაც იქ ფეხბურთზე არ იდებოდა ფსონები – ტოტალიზატორი ოდენ იპოდრომზე ფუნქციონირებდა შაბათ-კვირის დოღზე და ჩორთმავალ რბოლაზე. იპოდრომზე კომფორტი იყო ცხენოსნობის თუ ტოტალიზატორის მოყვარულთათვის, გათქვირული ცხენები თავლაში რომ ბრუნდებოდნენ, ხალხი იპოდრომის განთქმულ სახინკლე-რესტორანში მიდიოდა მუცელღმერთობისთვის.

ეს ისტორია იმად გამახსენდა, რომ ხალხის კომფორტზე ნიადაგ უნდა იზრუნოს სახელმწიფომაც და სპორტმაც, მათ შორის საფეხბურთო ბიზნესმაც, ტოტალიზატორი კი სწორედაც რომ მიბმულია ამ ბიზნესზე. რადგან ფულს დებენ ფსონზე, ფეხბურთსაც უყურებენ და სტადიონზე თუ ტელევიზორში, ფეხბურთით ბევრი ინტერესდება და საფეხბურთო ინდუსტრიისთვის ეს პატარა საქმე არ არის.

საქართველოში ორი გუნდი იყო მიბმული ტოტალიზატორზე - "თბილისი" და "ამერი". "თბილისი" დაიშალა და მისი სამართალმემკვიდრე ახლა რუსთავის "ოლიმპია", რომელიც სულ სხვა წყაროებით ფინანსდება, "ამერისთვის" კი დაფინანსების ერთ-ერთი წყარო სწორედ სათამაშო ბიზნესით მოპოვებული ფულია და თუ ამ წყაროსაც გადაუკეტავენ, ისედაც პრობლემებშექმნილ კლუბს რაღა ეშველება?

და რატომ არის ცუდი ტოტალიზატორი? ქვეყანა ეკლესიურად ვერ იცხოვრებს, თანამედროვე ეპოქაში საზოგადოება ვერ იქნება ზედმიწევნით რელიგიური, მით უმეტეს ისეთ ქვეყანაში, რომელიც ნატოს და ევროკავშირს უმიზნებს. ანუ ტოტალიზატორის და რელიგიის ფაქტორი უნდა გამოვრიცხოთ.

არის მეორე ფაქტორიც – რელიგიის სათუთ თემას რომ შევეშვათ, ფაქტებზე გადავიდეთ – ზოგმა ტოტალიზატორში იმდენი ფული წააგო, ბინა გაყიდა, ან უარესი დამართა საკუთარ თავსა და ოჯახს.

ახლა ისიც ვიკითხოთ, თუ ტოტალიზატორები დაიხურება, მეფსონეები არ გადავლენ "ხელის მაზზე"? ანუ არალეგალური ნიძლავები, ბუნებრივია, მოიმატებს, დიდ ფულს ხალხი ისედიც "ხელის მაზში" უფრო აგებს, ვიდრე ტოტალიზატორში - ჩვენთან ამ საკითხზე სოციალურ კვლევას ვინ ჩაატარებს, თუმცა გაგონილ-ნანახიდან ასე ჩანს.

დიდი ფული საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებსაც წაუგიათ და კარიერა დაუღუპიათ – როგორ გგონიათ, ერთი ბრგე და ხისტი მცველი რატომ ველარ ხვდება თავის გუნდის ძირითადში და შესაბამისად ნაკრებში?

ლეგიონერი



# კალაძემ თავი გაწირაო

უეფას თასის E ჯგუფი „მილანმა" 8 ქულით მეორე ადგილზე ჩაამთავრა. ბოლო ტურის მატჩში „როსონერიმ" ვერ შეძლო პირველადგილოსანი „ვოლფსბურგის" დამარცხება – 2:2. **კარლო ანჩელოტის კახა კალაძის** თამაში დაგეგმილი არ ჰქონდა, მაგრამ ჩვენებურის გამოყვანა „მილანის" მწვრთნელს მალევე მოუხდა – მე-9 წუთზე **ფილიპ სენდეროსმა** ტრავმა მიიღო და მატჩის გაგრძელება ველარ შეძლო. ინტერნეტსაიტმა „გოლმა" ჩვენებურის გარჯა 6,5 ბალით შეაფასა და არც საქებარი სიტყვები დაიშურა: *„საქართველოს ნაკრების მცველი საჰაერო ორთაბრძოლებში ბრწყინვალე იყო. განსაკუთრებით გამოვყოფთ მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე კალაძის და ძეკოს საჰაერო დუელს. კახამ თავი გაწირა და ისე შეაჩერა გოლიათი ფორვარდი, მან კლასი აჩვენა. სწორედ ამ მამაცური საქციელის წყალობით „მილანი", ალბათ, მარცხს გადაურჩა".*

განსაკუთრებით სასიამოვნოა ჩვენი კაპიტნის კარგი თამაში „იუვენტუსთან" მარცხის შემდეგ, როდესაც კალაძემ საგოლე კომბინაციის წამოწყების მიუხედავად ცუდად ითამაშა, დაცვაში რამდენიმე ლაფსუსი დაუშვა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

U 17

# 8 და 10 თებერვალს ხორვატიას ვეთამაშებით

გუშინ გაცნობეთ, ელიტრაუნდში გასული საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები მოსამზადებელ პერიოდში რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას რომ გამართავს. სლოვენიასთან უკვე მიღწეულია შეთანხმება და **გელა შეყილაძის** გუნდი სლოვენიელ თანატოლებს სტუმრად 3 და 5 თებერვალს გაეჯიბრება. იმასაც ვწერდით, რომ ამხანაგური შეხვედრების ორგანიზებაზე ხორვატიასთანაც მიმდინარეობდა მოლაპარაკება, რომელიც წარმატებით დასრულდა. გუშინ გადაწყდა, რომ სლოვენიის შემდეგ ჩვენი 17-წლამდელები ხორვატიაში გადავლენ და იქაურ თანატოლებთან 8 და 10 თებერვალს ამხანაგურ მატჩებს გამართავენ. იმასაც შეგახსენებთ, რომ 11 მარტს ჩვენი 17-წლამდელები ლუქსემბურგს სტუმრად დაუპირისპირდებიან. სლოვენიის, ხორვატიისა და ლუქსემბურგის 17-წლამდელთა ნაკრებები ჩვენ მსგავსად ელიტრაუნდში იასპარეზებენ.

დავით ცაბაძე

ფილმის პრეზენტაცია

# ქართული ფეხბურთის მაესტრო

გუშინ კინოს სახლში ქართული ფეხბურთის სამყარო შეიკრიბა, ყველა თაობის წარმომადგენლები, მათ შორის „ოქროს დინამოელები", სტაჟიანი გულშემატკივრები, ჟურნალისტები და სხვა სფეროს წარმომადგენლებიც. შეკრების მიზეზი **ნოდარ ახალკაცზე** ფილმის პრეზენტაცია იყო. ფილმის სათაურია „ქართული ფეხბურთის მაესტრო".

ფილმის ჩვენებამდე საღამო ნოდარ ახალკაცის დიდი ხნის მეგობარმა, ისტორიკოსმა **დურმიშხან ცინცაძემ** გახსნა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მას დილამდე შეეძლო ელაპარაკა ამ ბუმბერაზ მწვრთნელზე, მაგრამ ამჯერად მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდის გახსენებით შემოიფარგლა. ახალკაცი გაიხსენეს **ვაჟა აზარაშვილმა, ჯამლეტ ხუხაშვილმა, ალექსანდრე ჩივაძემ**... ბოლოს სამადლობელი სიტყვა **ნოდარ ახალკაცი-უმცროსმა** წარმოთქვა.

რაც შეეხება ფილმს, მისი ავტორი და რეჟისორი **გოგი თორაძეა**. ფილმის მხარდამჭერი კი - ფეხბურთის ქომაგი ბიზნესმენი **გოგი თოფაძე**. ფილმში ჩვენი უბერებელი ფოტოკორესპონდენტის, **ალექსანდრე კოტორაშვილის** ფოტოებია გამოყენებული...

... ერევნის „არარატთან" მოგებული თასის ფინალი და მოპოვებული ჯილდო, მეორე თასი, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, ევროპის თასების თასი... ნოდარ ახალკაცის გაწვრთნილ „დინამოს" არაერთი ტიტული აქვს მოპოვებული. ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ მისი ერთი-ერთი ახლო მეგობარი, უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათალიკოს პატრიარქი **ილია II** იყო და 1981 წლის 13 მაისს, დიუსელდორფის ფინალური მატჩის წინ ფეხბურთელებს სწორედ ილია II-ის მიერ გამოგზავნილი დეპეშა წაუკითხა... ბევრმა არ იცის, რომ ფეხბურთის გარდა სხვა სფეროებში განსწავლულ ახალკაცს დილმის საწვრთნელ ბაზაზე პოლიტოლოგები, **სოსო ცინცაძე, აბონ ციციაშვილი** (ეს ალექსანდრე ჩივაძემ გაიხსენა) და სხვები მიჰყავდა, ფეხბურთელებს თამაშის გარდა ცხოვრების სხვა სფეროებში გათვითცნობიერებასაც სთხოვდა. სწორედ ნოდარ ახალკაცი იყო საბჭოურიდან ქართული ფეხბურთის გამოყოფის მთავარი ინიციატორი... მერე იყო ფედერაციის პრეზიდენტობა, საქართველოს ნაკრებისა და ქართული კლუბების პირველი საერთაშორისო მატჩები... და ამ და სხვა დიდი საქმეების შემოქმედი 8 წლის წინ გარდაიცვალა. ის ჩვენს გვერდით აღარაა, მაგრამ მისი საქმე, კვალი წარუშლელია და თაობებს გაჰყვება.

**დავით ცაგაძე**



ალექსანდრე ჩივაძე, დურმიშხან ცინცაძე და ნოდარ ახალკაცი - უმცროსი

ლეგიონერი

# ხიზანიშვილს ელერდაისისა სჯერა

მოგეხსენებათ, პოლ ინსის გადადგომის შემდეგ „ბლექბერნის" მთავარი მწვრთნელის პოსტი მხოლოდ რამდენიმე დღით იყო ვაკანტური. გუშინწინ **ზურაბ ხიზანიშვილის** გუნდი **სემ ელერდაისმა** ჩაიბარა. ახალ მწვრთნელზე გუნდის ფეხბურთელებსა და საერთოთდ ბრიტანული ფეხბურთის სპეციალისტებს მიმომხილველები აზრს დაეკითხნენ. რესპონდენტთა შორის საქართველოს ნაკრების მცველი ზურაბ ხიზანიშვილიც მოხვდა.

*„მართალი გითხრათ, გული მწყდება პოლ ინსის გამო. მან ზაფხულში ჩაიბარა ჩვენი გუნდი და თითქმის ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მისი მწვრთნელობისას გუნდის სატურნირო მდგომარეობა ასეთი ცუდი იქნებოდა. თუმცა 17 შეხვედრაში მხოლო 3 მატჩი მოვიგეთ და შედეგების მიხედვით შესაბამისი ზომების მიღება აუცილებელიც კი გახდა. ელერდაისი ბრიტანეთში ერთ-ერთი გამორჩეული სპეციალისტია. ვფიქრობ, კლუბის თავკაცებმა დროული და სწორი გადაწყვეტილება მიიღეს. მჯერა, ელერდაისი ჩვენ გუნდს წარმატებულად ათამაშებს და სატურნირო მდგომარეობას გამოვასწორებთ. წინ კიდევ 21 ტური და გათამაშების ცხრილში ბევრად უკეთესი*



*პოციზიის დაკავებაც შეგვიძლია"*, - განუცხადა ბრიტანულ პრესას ზურაბ ხიზანიშილმა.

ქართველმა მცველმა თურქ **თუგაის** სამწვრთნელო შტაბში შესაძლო გამოჩენაზეც ისაუბრა.

„თუგაი არა მხოლოდ ჩინებული ფეხბურთელი, არამედ ბრწყინვალე პიროვნებაა. მას ჩვენი გუნდისთვის სამწვრთნელო შტაბშიც შეუძლია სარგებლის მოტანა და ძალიან გამიხარდება, თუ მას ამ ამპლუაში ვიხილავ", - აღნიშნა ხიზანიშვილმა.

**დავით ცაგაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგა (მიმოხილვა)



გიორგი ჩიხრაძე

# ამერი თუ ჩიხურა?

| აღმოსავლეთი | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 16 | 12 | 2 | 2 | 33-9 | 38 |
| 2. ამერი | 15 | 11 | 2 | 2 | 28-7 | 35 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 15 | 8 | 5 | 2 | 25-6 | 29 |
| 4. დინამო 2 | 15 | 8 | 5 | 2 | 25-12 | 29 |
| 5. დილა | 15 | 6 | 5 | 4 | 21-12 | 23 |
| 6. თბილისი | 16 | 5 | 3 | 8 | 25-26 | 18 |
| 7. სიონი 2 | 15 | 5 | 3 | 7 | 21-38 | 18 |
| 8. გაგრა 2 | 16 | 5 | 2 | 9 | 26-37 | 17 |
| 9. კახეთი | 15 | 2 | 4 | 9 | 8-25 | 10 |
| 10. ნ/დინამო | 15 | 1 | 5 | 9 | 16-30 | 8 |
| 11. ჰერეთი | 15 | 1 | 4 | 10 | 11-37 | 7 |

... დასავლეთისგან განსხვავებით, აღმოსავლეთ ზონაში ბევრად ნაკლები ტიტულოვანი გუნდებია. უფრო ზუსტად, „სახელიანი" მხოლოდ ერთია - თბილისის „ამერი". დიახ, ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართული კლუბი „დინამოს", „ვიტ ჯორჯიასა" და „ზესტაფონს" კი არ ეცილება ტიტულებს, არამედ პირველ ლიგაში ასპარეზობს. თანაც, მსგავსი ფაქტი ვერც გაგვიხსენებია: „ამერმა" ხომ საკუთარი სურვილით თქვა უარი უმაღლეს ლიგაში მონაწილეობაზე. ეს კი მოულოდნელობაზე მეტი იყო - საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, ფინანსური პრობლემების გამო წამყვან ფეხბურთელთა უმრავლესობამ „ამერი" დატოვა. ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ საქართველოს თასისა და სუპერთასის ორ-ორჯერ მომგებ გუნდში მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელები რჩებოდნენ. ასეთ შემთხვევაში კი მაღალ მიზნებსა და საერთოდ, ღირსეულად ასპარეზობაზე ფიქრი ზედმეტი იყო. მოკლედ, კლუბის ხელმძღვანელთა აზრით, სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი გაახალგაზრდავებული გუნდით პირველ ლიგაში თამაში და შესაბამისი გამოცდილების დაგროვება გახლდათ. ჯერჯერობით, საქმე იქითკენ მიდის, რომ დიდი შანსია, ერთწლიანი პაუზის მერე „ამერი" ისევ უმაღლეს ლიგას დაუბრუნდეს. ყოველ შემთხვევაში, ზამთრის შესვენებამდე უშუალო და ერთადერთ კონკურენტს (საჩხერის „ჩიხურას") მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება; თანაც, ერთი შეხვედრით ნაკლები აქვს ჩატარებული. რაღა თქმა უნდა, „ამერის" წარმატებული თამაში მოულოდნელი არავისთვის ყოფილა - გუნდში რამდენიმე ფეხბურთელთან ერთად მთავარი მწვრთნელიც დარჩა! აი, ეს კი მართლაც, მნიშვნელოვანი ფაქტორია - **გიორგი ჩიხრაძე** „ამერის" ყველა წარმატების მთავარი შემოქმედი გახლავთ და თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად. თანაც, წმინდა სპორტულის გარდა, ადამიანური (გნებავთ - კაცური) მომენტებიც ხომ არსებობს - ჩიხრაძემ გუნდი არ დატოვა და პირველ ლიგაში მუშაობაც არ იუკადრისა. არადა, როგორ ფიქრობთ, კვალიფიციური მწვრთნელების დეფიციტის დროს, უმაღლეს ლიგაში გაუჭირდებოდა სამსახურის პოვნა? თუმცა, დარჩა იმ გუნდში, სადაც ჩამოყალიბდა კიდეც როგორც წარმატებული მწვრთნელი. სხვათა შორის, ჩიხრაძის მსგავსად, გუნდში რამდენიმე ფეხბურთელიც დარჩა, უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის დროს ძირითადის მოთამაშეებად რომ მიიჩნეოდა: **ლადო ნადირაშვილი, გიორგი ელბაქიძე, დავით მჭედლიშვილი, ბესიკ ჩიმაკაძე. გიორგი გვაძაბიაც** უნდა ვახსენოთ - საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველმა ამ ბოლო დროს გოლების გატანას მოუხშირა. ეგ კი არა, რამდენიმე შეხვედრაში სწორედ გვაძაბიას მიერ გატანილი გოლი გამარჯვების მომტანიც. თანაც ყველაფერი ეს, მატჩის ბოლო წუთებზე ხდებოდა. სამწუხაროდ, მძიმე ტრავმის გამო „ამერს" ვერ ეხმარებოდა ნიჭიერი **რატი წინამძღვრიშვილი**. სამაგიეროდ, „ამერში" ბევრი ახალი სახეც გამოჩნდა და უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ გუნდს უახლოეს პერიოდში კვლავაც უძლიერესთა შორის ვიხილავთ. თუმცა მანამდე ხომ... აღმოსავლეთ ზონაში გამარჯვებაა საჭირო. თანაც, „ამერს" ერთობ სერიოზული კონკურენტი ჰყავს - საჩხერის „ჩიხურას" უკვე სეზონის დაწყებამდე მიიჩნევდნენ ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად. ამის უპირველესი მიზეზი არცთუ ურიგო პირობები და გუნდში გამოცდილი ფეხბურთელების სიმრავლეც იყო. თუმცა „ამერის" მსგავსად, აქაც მწვრთნელის ფაქტორს ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა - **სოსო ფრუიძე** რომ ფეხბურთის მცოდნე და ძლიერი სპეციალისტია, წლების განმავლობაში არაერთ გუნდში (ქუთაისის „ტორპედო", წყალტუბოს „სამგურალი", „ბორჯომი") მუშაობით დაამტკიცა. ანუ, ისეთი სიტუაციაა, რომ ჩიხრაძეცა და ფრუიძეც აშკარად იმსახურებენ პირველ ლიგაზე უფრო მაღალი რანგის გუნდებში მუშაობას...

„ჩიხურასა" და „ამერს" შორის უშეღავათო პაექრობა კი გაგრძელდება, მაგრამ მათ დავაში სხვა ვერავინ ჩაერთვება. ცხრილში მომდევნო ადგილებზე მყოფი „ვიტ ჯორჯია 2-ს" და „დინამო 2-ს", დებულების თანახმად უმაღლესში აღზევების უფლება არა აქვთ. სამაგიეროდ, უმაღლესი ლიგის ორივე ლიდერის ფარმკლუბებში ერთიმეორეზე უკეთესი ჭაბუკები თამაშობენ. ჰო, ორივე გუნდს კონკრეტული მიზანი აქვს: ახალგაზრდა ფეხბურთელებმა სათამაშო პრაქტიკა მიიღონ, მათგან გამორჩეულებმა კი უკვე ძირითად გუნდში მოსახვედრად იბრძოლონ. „ვიტ ჯორჯიას" ხომ, საერთოდაც, წლებია, ტრადიციად ექცა, რომ ყოველ საზონში საკუთარი ფარმკლუბიდან რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა დააწინაუროს. აი, ამ სეზონშიც „ვიტ ჯორჯია-2"-ის რამდენიმე ფეხბურთელი ხშირად მოხვედრილა ძირითადი გუნდის 18-კაციან განაცხადში, ზოგმა რამდენიმე მატჩი ჩაატარა კიდეც (**დავით ხურცილავა, გიორგი კვალინიძე, გიორგი ჯანელიძე, დავით მაისაშვილი**). სხვათა შორის, ნუ დაგვავიწყდება, რომ „ვიტ ჯორჯია-2"-ში მთავარი მწვრთნელად საკმაოდ გამოცდილი სპეციალისტი **მერაბ კოჭლაშვილი** მუშაობს.

ერთობ საინტერესო გუნდია „დინამო-2", რომლის მთავარი მწვრთნელი **დავით კევლიშვილი** გახლავთ. თანაც, ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის ხელმძღვანელებს, ალბათ, საამაყოდ ექნებათ საქმე, რამეთუ „დინამო-2" წარმოადგენს კიდეც საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების საბაზო გუნდს. ამასთან, „დინამოს" გერმანელი მწვრთნელი **რაინერ ცობელიც** დიდ ყურადღებას აქცევს ფარმკლუბის ასპარეზობას და იქ თავგამოჩენილ ბიჭებსაც ნელ-ნელა აჩვევს ძირითად გუნდს. **ზვიად ქანთარია, ვაჟა ნემსაძე, ირაკლი სიხარულიძე, გიორგი გეთიაშვილი, გურამ მინდორაშვილი, ნიკოლოზ ჯიშკარიანი, გიორგი ლოსაბერიძე, ლევან კაკუბავა, გიორგი ჯოხაძე** - ამ ჭაბუკებს და მათ თანაგუნდელებს ჩინებული შანსი აქვთ, ოსტატობა აიმაღლონ. ეგ კი არა, „დინამოს" ასეთი პერსპექტიული ფარმკლუბი, ალბათ, არასდროს ჰყოლია, და ახლა მთავარია, რომ ნიჭიერმა ბიჭებმა ზრდა არ შეწყვიტონ; იმაშიც დარწმუნებული ვართ, რომ ბევრ მათგანს ახლო მომავალში ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაზეც უნდა ჰქონდეს პრეტენზია...

**გია ტუხაშვილი**

ბლექბერნი

# ელერდაისი სანტა კრუსს ყიდის

"ბლექბერნის" ახალ თავკაც **სემ ელერდაისს როკე სანტა კრუსის** გაყიდვა სურს. მწვრთნელს იმედი აქვს, რომ პარაგვაელი თავდამსხმელის სანაცვლოდ 20 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. ამ ფულით კი იანვრის ტრანსფერებისას შემადგენლობას გააძლიერებს. "ბლექბერნს" პრემიერლიგიდან გავარდნა ემუქრება. ელერდაისი იმიტომ მიიწვიეს, რომ გუნდს უმაღლეს დივიზიონში ადგილი შეუნარჩუნოს. ელერდაისს კარგად ესმის, რომ დღევანდელი კონტინგენტით ამ ამოცანის შესრულება რთულია.

ოთხშაბათს "დიდმა სემმა" "ვარდებთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. პრესკონფერენციისას მას ჰკითხეს, რა თანხის დახარჯვას აპირებთ იანვარშიო. ელერდაისმა ჯერ არ იცოდა, თუ რამდენ ფულს გამოუყოფდა კლუბის ხელმძღვანელობა. ირკვევა, რომ "ბლექბერნის" დირექტორები მას სულ რაღაც 10 მილიონ გირვანქას მისცემენ. ეს თანხა საკმარისი არ არის. ამიტომ სატრანსფერო ბიუჯეტი სანტა კრუსის გაყიდვით შეივსება.

სამხრეთამერიკელ ვარსკვლავს "ბლექბერნიდან" აბარგება სურს. "მანჩესტერ სიტის" თავკაცი **მარკ ჰიუზი** მოლაპარაკებების დასაწყებად მზადაა. სანტა კრუსი "ბლექბერნში" უელსელმა სპეციალისტმა მიიყვანა. ელერდაისს ფეხბურთელის "სიტიში" გაყიდვა არ სურს. "სიტი" მისი გუნდის კონკურენტია. კონკურენტის გაძლიერებას კი არავისთვის სიკეთე არ მოუტანია. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მანჩესტერელთა გარდა, როკეს ტრანსფერში 20 მილიონ გირვანქას სხვა არავინ გადაიხდის.



სემ ელერდაისი როკე სანტა კრუსის გაყიდვით ფულის შოვნას აპირებს

"დეილი მეილი" გვაუწყებს, რომ ელერდაისი "ბლექბერნის" მთავარი მწვრთნელობის ერთადერთი კანდიდატი არ იყო. უფრო მეტიც, გუნდის თავმჯდომარე **ჯონ ვილიამსი გრემ საუნესის** დაბრუნებას ემხრობოდა. საინტერესოა, რომ თავად ელერდაისსაც "ბლექბერნზე" მეტად "სანდერლენდში" მუშაობა სურდა, მაგრამ რაკი "სანდერლენდს" მასთან თანამშრომლობის სურვილი არ გამოუთქვამს, მანაც "ბლექბერნის" წინადადებაზე დათანხმება არჩია.

დასასრულს გეტყვით, რომ **პოლ ინსთან** ერთად, "ვარდებმა" კარისაკენ მიუთითა მის ასისტენტებს, **არჩი ნოქსსა** და **რეი მატიასს**. სემ ელერდაისის თანაშემწეებად **ნილ მაკდონალდი** და **გარი სპიდი** დაინიშნებიან.

**შალვა ბიბილაშვილი**

არსენალი

# ვინ გახდება მეთოფეების ბოსი?

## რუსი და ამერიკელი მილიარდერები დამატებითი აქციებისათვის იბრძოლებენ

"არსენალი" შეიძლება უცხოელი ინვესტორების ხელში აღმოჩნდეს. ორიოდე დღის წინ დირექტორატი მოულოდნელად დატოვა ბიზნესმენმა ქალბატონმა **ნინა ბრეისველ-სმიტმა**, რომლის ოჯახს "მეთოფეებთან" 70-წლიანი ურთიერთობა აკავშირებს. ბრეისველ-სმიტის ხელშია კლუბის აქციათა 15.9 პროცენტი. ის მზადაა, 50 მილიონ გირვანქად შეფასებული საკუთარი წილი რუს ოლიგარქ **ალიშერ უსმანოვს** მიჰყიდოს.

ბრეისველ-სმიტთან ერთად, "არსენალის" დირექტორატი დატოვა მისმა ნათესავმა **რიჩარდ კარმა**, რომელიც შედარებით მოკრძალებული წილის, 4.4 პროცენტის მფლობელია. როგორც ამბობენ, ისიც თანახმაა, საკუთარი აქციები სარფიან ფასში გაყიდოს. ბატონი უსმანოვი "არსენალის" უმსხვილესი მეწილეა. მის ხელთაა კლუბის 24 პროცენტი. თუ ის ხსენებული ორი პირის წილებსაც გადაიფორმებს, ფაქტობრივად, "არსენალის" ნახევარს დაეპატრონება.

მაგრამ არის კიდევ ერთი ბიზნესმენი, რომელიც უარს არ იტყოდა გამოთავისუფლებული აქციების შეძენაზე. ესაა ამერიკელი **სტენ კროენკე**. მისტერ კროენკე სუპერმარკეტების ქსელ "უოლ მარტის" დამაარსებლის, **სემ უოლტონის** ერთ-ერთი მემკვიდრის, **ენ უოლტონის** ქმარია. მისი კაპიტალი ძირითადად უძრავი ქონების ბიზნესშია თავმოყრილი. ასე მაგალითად, სტენ კროენკეს საკუთრებაა დენვერის "პეპსი სენტრი", სადაც ჰოკეისა და კალათბურის კლუბები, "კოლორადო ავალანში" და "დენვერ ნაგიტსი" საშინაო მატჩებს ატარებენ.

კროენკე "არსენალის" ერთ-ერთი აქციონერია. მას კლუბის აქციათა 12 პროცენტი ეკუთვნის და თუ ბრეისველ-სმიტისა და კარის წილებსაც დაეუფლება, "მეთოფეების" უმსხვილესი აქციონერი გახდება. "არსენალის" თავმჯდომარეს, **პიტერ ჰილ-ვუდს** მოსალოდნელ გარიგებებთან დაკავშირებით კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

**შალვა ბიბილაშვილი**

მოსალოდნელი გარიგება



დევიდ ბექჰემი მილანთან ხანგრძლივი კონტრაქტის პირობებს განიხილავს.

# ბექჰემი მილანში ორი წლით?

## ინგლისელ გალაქტიკოს შეიძლება ხანგრძლივი კონტრაქტი გაუფორმონ...

თუ **დევიდ ბექჰემის** იჯარა წარმატებული აღმოჩნდება, "მილანი" მას ხანგრძლივ კონტრაქტს შესთავაზებს. ინგლისელი გალაქტიკო "როსონერიში" საახალწლო არდადეგების შემდეგ გადავა. თავდაპირველად, ის მილანში ორ თვეს გაატარებს, თუმცა სავსებით შესაძლებელია, ორი თვე ორ წელიწადად იქცეს. დიახ, იტალიური გრანდის ხელმძღვანელობა მზადაა, შეთანხმება ორ წლამდე გააგრძელოს. მოსალოდნელი გარიგების ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა.

ბექჰემი "მილანის" მაისურს პირველად დუბაის შეკრებაზე მოირგებს. მისი იტალიური დებიუტი კი 11 იანვარს, "რომასთან" მატჩში შედგება. მარტში, როდესაც ამერიკაში ახალი სეზონი დაიწყება, ბექჰემი "ლოს ანჯელეს გალაქსიში" უნდა დაბრუნდეს, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, გეგმები შესაძლოა შეიცვალოს.

"გალაქსისთან" გაფორმებულ კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომელიც ფეხბურთელს სხვა გუნდში გადასვლის საშუალებას აძლევს. ეს პუნქტი 2009 წლის ზაფხულიდან ამოქმედდება. უცნობია, თუ რა თანხის გადახდა მოუწევს გალაქტიკოთი დაინტერესებულ კლუბს. ლოსანჯელესელები ბექჰემს წელიწადში 4.5 მილიონ გირვანქას უხდიან. ფეხბურთელის დანარჩენ შემოსავალს სარეკლამო კონტრაქტები, აგრეთვე ამერიკის ფეხბურთის ფედერაცია ფარავს. მოგეხსენებათ, ბექჰემის ამერიკული ტრანსფერი ოკეანის გაღმა ევროპული ფეხბურთის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. ეს ფედერაციის პირდაპირი მოვალეობაა. ამიტომ ამერიკული ფეხბურთის მმართველი ორგანო მთელ ამ პროექტში უშუალოდ მონაწილეობს.

დევიდს ინგლისის ნაკრებში თამაში სურს. ამისათვის ევროპაში დაბრუნება იდეალური ნაბიჯი იქნებოდა. ინგლისელთა თავკაცმა **ფაბიო კაპელომ** განაცხადა, რომ ბექჰემს აუცილებლად გამოიძახებს, თუ სათამაშო პრაქტიკა ექნება. დევიდს რომ ამერიკული სეზონის განახლებამდე მოეცადა, მისი სანაკრებო შანსები საგრძნობლად შემცირდებოდა. "მილანში" იჯარა და მით უფრო შეპირებული ხანგრძლივი კონტრაქტი, ამ შანსებს საგრძნობლად გაზრდის.

შეგახსენებთ იმასაც, რომ "როსონერის" კვალიფიციური ნახევარმცველი ჰაერივით სჭირდება. **ჯენარო გატუზომ** მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და ექვსი თვე ვერ ითამაშებს. **კაკას** კი საზარდული აწუხებს და სამთვიანი იძულებითი შვებულება ემუქრება.

**შალვა ბიბილაშვილი**

ინტერვიუ

მიხაელ რენზინგთან

# ბეკენბაუერი აფრენს, მე არ შევიცვლები

## მიხაელის მიზანი გერმანიის ნაკრებია

**ყველაფერი** იმით დაიწყო, რომ „შტუტგარტთან" მატჩის შემდეგ, „ბაიერნის" პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა რეკორდმაისტერის მეკარე მიხაელ რენზინგი მაგრად გააკრიტიკა. კაიზერმა თქვა, მიხაელი რეგიონალლიგის გუნდის მეკარესავით მოიქცა, როცა ჩაწოდების შემდეგ ბურთი მუშტებით კი არა, ხელის გულებით მოიგერია და თუ ჯერ არ იცის, რომ მუშტებით უნდა მოიგერიოს, მაშინ ბევრი რამ ჰქონია სასწავლიო. გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ „ბაიერნის" 24 წლის მეკარეს დიდმა ოლივერ კანმა მხარი დაუჭირა და საჯაროდ მოითხოვა, ამგვარი საუბრებით მიხაელს ნუ გავაფუჭებთ, ის ძალიან ნიჭიერი გოლკიპერიაო. ამასთან, ოლიმ რენზინგს ურჩია, რომ უფრო მკაცრი გახდეს. მოკლედ, საფეხბურთო გერმანიაში რენზინგის შესახებ დიდი დისკუსიებია გაჩაღებული. აი, მიხაელის პასუხიც! გაეცანით ინტერვიუს, რომელიც „ბილდში" გამოქვეყნდა.

**- ჰერ რენზინგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთი სერიოზული შეცდომა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ თქვენ შესახებ დიდი დისკუსია დაწყებულიყო. რამდენად გიშლით ხელს ეს ამბავი?**

- იცით, ეს ყველაფერი ძალიან მამხიარულებს. სიმართლე გითხრათ, სეზონის დასაწყისში ყოველთვის ვნერვიულობდი, როდესაც ჩემზე რამეს იტყოდნენ ან დაწერდნენ. ახლა კი ვიცი, რომ ყველა ადამიანს თავისებური ხედვა აქვს. „ბაიერნშიც" ყველას ჰგონია, რომ მეკარის თამაშის შეფასება შეუძლია. ყველა პროფესორობს...

**- ბეკენბაუერმა პირდაპირ თქვენ დაგადანაშაულათ იმაში, რომ „ბაიერნმა" „შტუტგარტს" ვერ მოუგო. ესეც არ იყოს, კაიზერმა თქვენს ქმედებას ბავშვური შეცდომა უწოდა და რეგიონალლიგის დონის მეკარეს შეგადარათ. თუმცა იქვე აღნიშნა, მასთან პირადად არანაირი პრობლემა არ მაქვსო...**

- ბეკენბაუერთან პრობლემა არც მე მაქვს, მაგრამ მისი კრიტიკა გაუმართლებელი, მიუღებელი და გულახდილად ვიტყვი, სისულელეა. კუთხურის დროს ჩემ წინ 3-4 ფეხბურთელი იდგა. ასე რომ, ბურთის ხეირიანად მოგერიება არ შემეძლო. ესეც არ იყოს, ჩემ წინააღმდეგ თამაშის წესები დაირღვა, რაც მსაჯმა, სამწუხაროდ, ვერ შენიშნა – იენს ლემანი, რომელიც ჩვენს საჯარიმოში იყო ჩამოსული, წესების დარღვევით დამეჯახა. ეს თვითონ ლემანმაც აღიარა, გოლის შემდეგ, ჩემთან საუბრისას. მეტსაც გეტყვით, იენსმა ბოდიშიც კი მომიხადა. ეს იყო ჯარიმა, მორჩა და გათავდა! ასე რომ, ჩემი კრიტიკა გაუმართლებელია. კრიტიკას განსაკუთრებით ისეთი ხალხისგან ვერ მივიღებ, რომლებიც კარში არასდროს მდგარან და მიუხედავად ამისა, ჰგონიათ, რომ მეკარის შესახებ ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად იციან.

**- ოლივერ კანის რჩევებს თუ გაითვალისწინებთ?**

- ცხადია, რადგან როდესაც მეკარის შესახებ კანი საუბრობს, ეს უკვე სულ სხვა ამბავია. ოლის უდიდესი გამოცდილება აქვს და ესეც არ იყოს, „ტიტანი" მეც ძალიან კარგად მიცნობს, იცის ჩემი სტილი და ა.შ.

**- როგორ ფიქრობთ, უნდა შეიცვალოთ თუ არა თამაშის სტილი იმისათვის, რომ კრიტიკოსებს ერთხელ და სამუდამოდ მოაკეტინოთ?**

- არავითარ შემთხვევაში! ცხადია, საკუთარ თავზე მუშაობას ვაგრძელებ და არასდროს შევწყვეტ. კანიც ასე იქცეოდა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე ოლის ვბაძავ – მე ჩემი გზა მაქვს. მინდა გითხრათ, რომ მიხაელ რენზინგი არასდროს შეიცვლება. მე უკვე ჩამოყალიბებული მეკარე ვარ, რომელიც „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში თამაშობს. მუდმივად განვიცდი პროგრესს, რაშიც იურგენ კლინსმანიც დამეთანხმება. სათამაშო სიტუაციაში ყოველთვის ისე მოვიქცევი, როგორც საჭიროდ ჩავთვლი. ცხადია, ამ დროს რისკი იზრდება, მაგრამ მეკარე ისე უნდა იქცეოდეს, როგორც საჭიროდ მიაჩნია. ვფიქრობ, ამით ახალს არაფერს ვამბობ. განა, პირველ წრეში ორ ან სამ შეცდომაზე მეტი დავუშვი?



მიხაელ რენზინგი

**- გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თქვენ მეკარეების მწვრთნელად ჰანს მაიერის დაბრუნება მოითხოვეთ...**

- ეს არ არის სიმართლე. ფაქტია, რომ ჰანსთან და ბერნდ დრეერთან ერთად წლების განმავლობაში ვმუშაობდი და მათ ძალიან ვაფასებ, ისინი ჩემი აღმზრდელები არიან. მათთან გამოთხოვება არ მინდოდა. თუმცა დღეს ვალტერ იუნგჰანსთანაც იდეალური ურთიერთობა მაქვს. ინტენსიურად ვმუშაობთ და შედეგიც სახეზეა: დღითი დღე ვუმატებ, უფრო და უფრო უკეთესი მეკარე ვხდები.

**- და გერმანიის ნაკრებსაც უმიზნებთ...**

- რა თქმა უნდა! ჩემი მიზანი სწორედ ბუნდესგუნდში თამაშია. მეკარე, რომელიც „ბაიერნის" პირველი ნომერია, აუცილებლად უნდა იბრძოდეს ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოსაპოვებლად. თანაც, მე ჩემს შესაძლებლობებს უკვე საერთაშორისო დონეზეც ვამტკიცებ. ამას გარდა, ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ გერმანელ მეკარეებს შორის ვინმეზე უარესი ვარ...

*P.S. „ბილდმა" რენზინგის განცხადებების შესახებ ბეკენბაუერს კომენტარის გაკეთება სთხოვა. აი, რა თქვა კაიზერმა: „ყველას აქვს საკუთარი მოსაზრების გამოთქმის უფლება, მათ შორის რენზინგსაც. მინდა ვთქვა, რომ შეცდომის აღიარება ნებისმიერ ადამიანს ძალიან უჭირს ხოლმე. ამ შემთხვევაში არც მიხაელია გამონაკლისი. ჩემი აზრით, თუკი რენზინგი შეცდომებზე ისწავლის, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე გახდება!"*

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლანდიური ამბები

# ვან ბასტენი წმენდას იწყებს

## როტერდამში ნიუ კუიპს ააგებენ

ბარდა სავარაუდო შენაძენებისა, ამსტერდამული კლუბი უსარგებლო ფეხბურთელებისგან გუნდის განმენდასაც გეგმავს. უკვე ცნობილია, რომ ამსტერდამს დატოვებენ **კენედი ბაკირჩოღლუ, ხავიერ მარტინა** და **დენის რომედალი**. **მარკო ვან ბასტენმა** თავად აცნობა ტრიოს, რომ უმჯობესია, ახალი კლუბები მოძებნონ, რადგან ამიერიდან მათთვის „აიაქსის" შემადგენლობაში ადგილი აღარ მოინახება. „ამსტერდამ არენას" დატოვებს **ვერნონ ანიტაც**, მაგრამ შესაძლოა, ის იჯარით გაუშვან. *„ოთხივე ფეხბურთელს განვუმარტე, რომ მაქსიმუმი, რისი იმედიც შეიძლება ჰქონდეთ, ეს არის ადგილი სათადარიგოთა სკამზე. მშვენივრად მესმის, რომ თამაშის სურვილი ყველას აქვს, მაგრამ ამისთვის ახალი გუნდების მოძიება მოუწევთ".*

ჰოლანდიელი ჟურნალისტები ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში წერდნენ, რომ კენედისა და რომედალს ახალი თავშესაფრის მოძებნა მოუწევდათ, მაგრამ მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ვან ბასტენი მათ თამაშის საშუალებას ხანდახან მაინც აძლევდა - იმიტომ არა, რომ მათი თამაშის ხარისხი მოსწონდა. პირველ რიგში, ეს იმის გამო ხდებოდა, რომ „აიაქსში" ტრავმების ეპიდემია მძვინვარებდა. ახლა კი, როცა ტრავმირებული ფეხბურთელები ნელ-ნელა მწყობრში დგებიან, შვედი და დანიელი ლეგიონერების სამსახური სულ უფრო ნაკლებად ხდება საჭირო.

გუნდს დატოვებს **ლეონარდოც**. *„ძალიან მინდა, ბრაზილიელმა თავისი შესაძლებლობები მინდორზე გამოაჩინოს და არა ვარჯიშზე, როგორც ეს ახლა ხდება. კარგი იქნება, თუ პოტენციალის გამოსავლენად ასპარეზს სხვაგან მონახავს. იგივე ეხება ბრუნო სილვასაც. შემადგენლობაში მოსახვედრად მასაც ნაკლები შანსი ექნება, - განაცხადა ამსტერდამელთა მწვრთნელმა. - მინდა, გუნდში დარჩეს სემ დე იონგი, რადგან მასზე დიდ იმედს ვამყარებ. გადაწყვეტილება არ მიმიღია რობერტ შილდერთან დაკავშირებით..."*

ამასობაში, ჰოლანდიური ფეხბურთის მეორე გრანდი „ფეიენოორდი", რომელსაც ამჟამად უმძიმესი სატურნირო მდგომარეობა აქვს (15 თამაშის შემდეგ 16 ქულით მე-12 ადგილზეა), 2016 წელს ზეთანამედროვე 80-ათასიან არენაზე გადავა, რომელსაც „ნიუ კუიპი" დაერქმევა. გადაწყვეტილება მშენებლობის დაწყების თაობაზე უკვე მიღებულია, მაგრამ სტადიონის პროექტი ჯერჯერობით დამტკიცებული არ არის.

**ლუის ვან გაალისა და შოთა არველაძის** „ალკმაარი" 19 წლის შემტევი ნახევარმცველის, ავსტრალიელი **ჯეიმს ჰოლანდის** გადაბირებას აპირებს. შეთანხმების შემთხვევაში, ჰოლანდიელები ფეხბურთელს ხუთწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ. ამჟამად ჰოლანდი სამშობლოში, „ნიუკასლ ჯეთსის" ღირსებას იცავს. სავარაუდოდ, ტრანსფერი 400 ათასი ევრო დაჯდება. „ჯეთსის" თავკაცი **გარი ვან ეგმონდი** აცხადებს: *„ალკმაარში" სათამაშოდ გადასვლა მშვენიერი შესაძლებლობაა ჯეიმსისთვის. როცა შენს შეგირდს ასეთი დონის კლუბში მიიწვევენ, შეუძლებელია, მასთან ერთად სიხარულის განცდამ არ შეგიპყროს".* დაინტერესება შემთხვევითი არ არის, რადგან თინეიჯერი ფეხბურთელი ავსტრალიური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა.

ჰოლანდიურმა გაზეთმა „ფუტბალ ინტერნეშენელმა" გამოაქვეყნა გამოკითხვის შედეგები, რომელიც გამოცემამ ფეხბურთელთა პროფკავშირებთან ერთად ჩაატარა და რომლის მიზანიც იყო, გაერკვია, ვის მიიჩნევდნენ ადგილობრივი ფეხბურთელები ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელობისთვის ყველაზე ღირსეულ კანდიდატურად. გამოიკითხა 434 მოთამაშე, 47-მა პროცენტმა (204 ხმა) სასურველ მწვრთნელად **გუუს ჰიდინკი** დაასახელა; მეორე ადგილზე გავიდა 141 ხმით ნაკრების მოქმედი დამრიგებელი **ბერტ ვან მარვიიკი**; მესამეზე - **ლუის ვან გაალი**, მან სულ რაღაც 37 ხმა დააგროვა.



აიაქსის თავკაცი მარკო ვან ბასტენი

36 წლის **ჯიმი ფლოიდ ჰასელბანკი** „სტემფორდ ბრიჯზე" დაბრუნდება. თავადაც მიხვდებოდით, რომ ვეტერანი ფეხბურთელი „ჩელსის" რიგებში თამაშს არ აპირებს. ჯიმი მიწვეულია პოპულარულ ინგლისურ ტელეგადაცემაში, რომლის ჩაწერა 5 თებერვალს არის დაგეგმილი. გადაცემის სახელია „ინტერვიუ ვარსკვლავთან". ამ ინფორმაციას „ჩელსის" ოფიციალური საიტი გვაწვდის. ფეხბურთელი ლონდონური კლუბის გულშემატკივართა შეკითხვებს უპასუხებს ცხოვრების იმ პერიოდზე, რომელიც მან სწორედ ხსენებულ ფანტასტიკურ სტადიონზე გაატარა. შეგახსენებთ, რომ ჰასელბაინკი 4 წლის განმავლობაში (2000–2004) იცავდა „არისტოკრატთა" ღირსებას და ამ დროის განმავლობაში სამჯერ გახდა გუნდის საუკეთესო ბომბარდირი. სულ მის ანგარიშზე პრემიერლიგის 136 თამაშში გატანილი 70 გოლია.

ტოტენჰემი

# კინი არ გვაწყენდა

## მოდრიჩი: როგორც იქნა, ჰარმონიული გარემო დამყარდა



ჰარი რედნაპი შემადგენლობის გაძლიერებას აპირებს

„ტოტენჰემის" თავკაცი **ჰარი რედნაპი** გუშინ „სპარტაკთან" უეფას თასის შეხვედრის წინ გუნდში არსებულ პრობლემებზე საჯაროდ ალაპარაკდა და **რობის კინის** გუნდში დაბრუნება კიდევ ერთხელ ინატრა. როგორც „ლივერპულის" ბოსებმა, ისე თავად ფეხბურთელმა ამის შესაძლებლობა საფუძველშივე გამორიცხეს, მაგრამ ოცნებას კაცი არ მოუკლავსო, ხომ გაგიგიათ? *„პავლუჩენკო ვერ ითამაშებს, ბენტი ტრავმირებულია... ასეთ სიტუაციაში ფრეიზერ კემპბელის საფეხები უნდა გავბეროთ, იქნებ მისი ვინმეს შეეშინდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მოედანზე გაშვებას აზრი არ აქვს, თანაც მან თუ ტრავმა მიიღო, შემცვლელი საერთოდ აღარ მრჩება. ასეთ სიტუაციაში თავდამსხმელების მწვრთნელი ლეს ფერდინანდიც გამოგვადგებოდა და რა თქმა უნდა, რობი კინი... მის ტალანტს დიდ პატივს ვცემ. მიმაჩნია, რომ ირლანდიელი მართლა ღირს 20 მილიონი გირვანქა და „ტოტენჰემის" მენეჯერებმა მისი გასხვისებით კარგი საქმე გაჩარხეს, მაგრამ ჩვენნაირ სიტუაციაში რობი ნამდვილად არ გვაწყენდა",* - განუცხადა „სქაი სპორტსს" რედნაპმა.

**ლუკა მოდრიჩი** „დეილი მირორის" კორესპონდენტს სხვადასხვა საინტერესო თემაზე ესაუბრა. ჟურნალისტმა გუნდის თავკაცის დახასიათება სთხოვა და აი, რა პასუხი მიიღო: *„ჰარი რედნაპი ყოველი ფეხის ნაბიჯზე მეხმარება, რათა თამაშის ხარისხი ნელ-ნელა გავაუმჯობესო. მან სთხოვა ფეხბურთელებს, რომ თამაშისას ბურთის კონტროლში დამხმარებოდნენ.*

*ხუან დე რამოსს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას: ჩვენს გუნდში მისი მწვრთნელობისას ჰარმონიის განცდა არ ყოფილა. რედნაპის ხელმძღვანელობით კი ნამდვილად შეგვიძლია სეზონის ბოლოს საუკეთესო ექვსეულში მოხვედრა",* - თქვა ხორვატმა ფეხბურთელმა.

ლუკა მოდრიჩი სწორედ **რამოსის** მოთხოვნით ზაგრების „დინამოდან" შეიძინეს 16.6 მილიონ გირვანქად (19 მილიონ ევროზე ცოტა მეტი). სეზონის დასაწყისში, როგორც მთელი გუნდი, ისიც უსახურად გამოიყურებოდა, მაგრამ ახალი მწვრთნელის მოსვლის შემდეგ სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა, თუმცა ცოტა ხნის წინ გადატანილი ტრავმის გამო, ის ჯერაც შორსაა იდეალური ფორმისგან. მის ანგარიშზე ჯერჯერობით გოლი ან საგოლე პასი არ ირიცხება.

გამოკითხვა

# ლივერპული პირველობას არავის უთმობს

## მერსისაიდელებს ინგლისში ყველაზე პოპულარული კლუბი ჰყავთ

„ტელეგრაფის" ცნობით, კუნძულის მასშტაბით „ლივერპული" ინგლისურ კლუბებს შორის ყველაზე პოპულარული ყოფილა. გამოკითხვა ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა ბრიტანულმა სოციოლოგიურმა სამსახურმა ჩაატარა. მოულოდნელი იყო „ჩელსის" მიერ მიღებული ხმების მცირე რაოდენობა. გამოკითხვაში, გარდა ძირითადი საკითხისა, იყო კონტრშეკითხვაც: რომელი კლუბი ეჯავრებათ ყველაზე მეტად. კონკურენციის გარეშე გაიმარჯვა სწორედ... „ჩელსიმ" (ხმების 34 პროცენტი), მეორეზე „მანჩესტერ იუნაიტედი" გავიდა 29 პროცენტით. გთავაზობთ ცხრილს, სადაც კლუბები პოპულარობის მიხედვით არიან მოცემულნი.

| | |
|---|---|
| 1. „ლივერპული" | 14.3 |
| 2. „მანჩესტერ იუნაიტედი" | 11.8 |
| 3. „ტოტენჰემი" | 9.7 |
| 4. „არსენალი" | 9.6 |
| 5. „ნიუკასლი" | 5.8 |
| 6. „მანჩესტერ სიტი" | 5.3 |
| 7. „ვესტ ჰემი" | 4.9 |
| 8. „ასტონ ვილა" | 4.4 |
| 9. „ჩელსი" | 3.6 |
| 10. „ევერტონი" | 3.1 |

„ლივერპულის" ცენტრალური მცველი, სლოვაკი **მარტინ შკრტელი** ორთვენახევრიანი პაუზის შემდეგ საწვრთნელ პროცესს დაუბრუნდა. შეგახსენებთ, რომ მერსისაიდელთა ლეგიონერმა დაზიანება 5 ოქტომბერს, პრემიერლიგის მე-6 ტურში, „მანჩესტერ სიტისთან" მოგებულ (3:2) შეხვედრაში, რიგით სათამაშო ეპიზოდში მიიღო. ტრავმა მხოლოდ თამაშის დასრულების შემდეგ გამოვლინდა. ფეხბურთელმა მარჯვენა მუხლის უკანა ჯვარედინი მყესები დაიზიანა და ექიმების პირველადი პროგნოზით, მინიმუმ ნახევარი წელიწადი უნდა გასცდენოდა, მაგრამ საბედნიეროდ, სიტუაცია ასეთი დრამატული არ აღმოჩნდა. „ლივერპულ ეხოს" ცნობით, შკრტელის დაბრუნება მერსისაიდელთა შემადგენლობაში 26 დეკემბერს, „ბოლტონთან" მატჩისას არის მოსალოდნელი.

ამბები

# კორინთიანსი: რონალდოს შემდეგ ვერონი

**რონალდოს** სამშობლოში დაბრუნების, პრეზენტაციის, მისი პრობლემების შესახებ ჩვენმა გაზეთმა უკვე მოგითხროთ. ელიტურ დივიზიონში დაბრუნების შემდეგ „კორინთიანსი" გუნდში მაღალი კლასის ფეხბურთელების გადმობირებას კიდევ გეგმავს. სანპაულუოელი მენეჯერების განცხადებით, ისინი არგენტინულ „ესტუდიანტესს" უკვე დაუკავშირდნენ და **ხუან სებასტიან ვერონის** ტრანსფერის თაობაზე სიტყვა ჩამოუგდეს. რამდენიმე დღეში ისინი 33 წლის ფეხბურთელის აგენტთან დალაპარაკებასაც გეგმავენ. თავად ფეხბურთელი ცოტა ხნის წინ აცხადებდა, 2010 წლის 30 ივნისამდე სხვაგან გადასვლას არ ვაპირებო. არადა, კლუბი მის შეძენას უახლოეს 2-3 კვირაში გეგმავს. ვნახოთ, შეიცვლის თუ არა პოზიციას და მოხიბლავს თუ არა რონალდოსთან თამაშის პერსპექტივა ვეტერანს. თანაც, უმდიდრესი ბრაზილიური კლუბის ხელმძღვანელობა მზადაა, ვერონს ახლანდელზე ზუსტად ორჯერ მეტი ანაზღაურება შესთავაზოს.

# ნევილსა და ბრაუნს მეტი მუშაობა მართებთ

„მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** განაცხადა, რომ მისი გუნდის ავტორიტეტულ მოთამაშეებს, **გარი ნევილსა** და **უეს ბრაუნს** მეტი მუშაობა მართებთ, რათა გუნდის სასტარტო შემადგენლობაში ადგილი დაიბრუნონ. შოტლანდიელი ძალზე კმაყოფილია ბრაზილიელი **რაფაელ და სილვას** ასპარეზობით, მაგრამ მაინც არ აპირებს ჯერაც „წვერმოუპარსავი" ლლაპის ბოლომდე გამოწურვას, რადგან რაფაელი პრემიერლიგის დატვირთვებისთვის ფიზიოლოგიურად ჯერაც მოუმწიფებელია, თუმცა რაც დრო გავა, ის მეტად ჩამოყალიბდება, მეტად დაკაცდება და შემდეგ მისი სკამზე დასმას ვერც ნევილი და ვერც ბრაუნი ველარ შეძლებენ. რაფაელი თანდათან ყალიბდება უმაღლესი კალიბრის ვარსკვლავადო, აცხადებს „ეშმაკების" დამრიგებელი.

# ჰიუზი: მწვრთნელი შედეგით ფასდება

„მანჩესტერ სიტის" მთავარი მწვრთნელი **მარკ ჰიუზი** აცხადებს, რომ ყურადღებით ადევნებდა თვალს პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში მწვრთნელთა დათხოვნისა თუ გადადგომის პროცესს და ფიქრობს, რომ ნებისმიერი სპეციალისტი, ნებისმიერ დროს უნდა იყოს მზად, რომ მას დაკავებული თანამდებობიდან გადააყენებენ. *„მწვრთნელის სამუშაო ძალზე სპეციფიკურია. ის თავის თავშივე შეიცავს ხიფათს. მთავარი კრიტერიუმი, რომლითაც მწვრთნელის შეფასება ხდება, შედეგია. თუკი გუნდი თამაშებს აგებს, სპეციალისტისადმი ნდობა თანდათან ქრება. გულში ეს ყველა მწვრთნელმა იცის, მაგრამ საჭიროა, ნებისმიერი მარცხის შემდეგაც ძლიერ პიროვნებად დარჩე",* - განუცხადა საagენტო AP-ის კორესპონდენტს „სიტის" უელსელმა დამრიგებელმა. საინტერესოა, რატომ ალაპარაკდა ნდობა-უნდობლობის საკითხზე ჰიუზი სწორედ მაშინ, როცა ბრიტანულ პრესაში გაჩნდა ხმები მისი შესაძლო გათავისუფლების შესახებ. იქნებ, მასმედიას ყნოსვა არ ღალატობს და ვარაუდი ვალიელის უახლოეს ხანებში დათხოვნის თაობაზე მართალია?

# კიუელი ერთ თვეში დაბრუნდება

„გალათასარაის" ავსტრალიელი ვარსკვლავი **ჰარი რედნაპი** დაიმტვრა და მინდორს მხოლოდ ერთ თვეში დაუბრუნდება. მოგეხსენებათ, 30 წლის ფეხბურთელს მთელი კარიერის განმავლობაში ტრავმები თან სდევდა, რის გამოც, მან საკუთარი პოტენციალის ნახევარიც კი ვერ გამოავლინა. პრემიერლიგაში „ლიდსისა" (1995–2003) და „ლივერპულის" (2003–2008) რიგებში ის 13 წელიწადი გამოდიოდა და მაქსიმალური შესაძლებელი 500-მდე თამაშიდან სულ 274 ჩაატარა. ამ სეზონში ჰარის საქმეები კარგად მისდიოდა - 15 მატჩიდან 13 ჩაატარა (12 სასტარტოში) და 6 გოლი გაიტანა. სამწუხაროა, მაგრამ ტკივილმა და ტანჯვამ მას „გალათასარაიშიც" მიაგნო. კიუელს ერთბაშად რამდენიმე პრობლემა აწუხებს: მან მუცლის კუნთი დაიზიანა და ექიმებმა თიაქარის ოპერაციის გაკეთება ურჩიეს. ამას გარდა, ჯერაც სერიოზულად აწუხებს ფეხის თითის გაბზარული ძვალი. კიუელი „ლომებს" „ბეშიქთაშთან" (21 დეკემბერი, შინ) და „სივასფორთან" (25 დეკემბერი, გასვლა) ორ მატჩში დააკლდება. ამ თამაშების შემდეგ თურქეთში ერთთვიანი შესვენება ცხადდება. ფეხბურთელი სამშობლოში გაემგზავრება და მკურნალობის კურსს ავსტრალიის საფეხბურთო ნაკრების მთავარი ექიმის ხელმძღვანელობით გაივლის.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

# მგელმა ჭამა მილანი

**„ვოლფსბურგმა“ „მილანი“ ჯგუფში პირველ ადგილზე არ გაუშვა! ეს გარკვეულწილად სენსაციაა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ „როსონერის“ საუკეთესო ფეხბურთელებით არ უთამაშია. თუმცა ეს ფელიქს მაგათის გუნდის მიღწევას არანაირად არ აკნინებს! სხვა მხრივ ოთხშაბათს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით პოლონური „ლეხის“ წარმატებას...**

## E ჯგუფი

### მილანი–ვოლფსბურგი 2:2

**მილანი:** დიდა, ანტონინი, სენდეროსი (9. კალაძე), ფავალი, იანკულოვსკი, ძამბროტა, პირლო (46. პატო), ამბროზინი, ზეედორფი, ინძაგი, შევჩენკო.

**ვოლფსბურგი:** ბენალიო, ძაკარდო, რიკარდო კოშტა, ბარძალი, შაფერი, ჟოსუე, ჰასებე (75. შაგლიქი), დეჟაგა, გენტნერი (38. კრჟინოვეკი), მიშიმოვიჩი (84. როდრიგო ალვიმი), ძეკო.

**გოლები:** 1:0 ამბროზინი (17), 1:1 ძაკარდო (55), 2:1 პატო (56), 2:2 შაგლიქი (81)

**გაფრთხილება:** 2-1

**მაყურებელი:** 5 420

### პორტსმუთი–ჰერენვეენი 3:0

**პორტსმუთი:** ეშდაუნი, უილსონი, პამარო, ჰრეიდარსონი, ბელაჯი, ტრაორე (62. ლიტლი), მვუემბა, დიოპი (82. დევისი), ჰიუზი, კრაუჩი, კანუ.

**ჰერენვეენი:** ვანდენბუშე, პოპოვი, ბროიერი (30. სმარასონი), დინგსდაგი, ნილსენი, ვაირინენი, შვეცი, გრინდჰეიმი (82. ჟანმაა), ბეერენსი (46. ელიუნოსი), სიბონი, ენრიკე.

**გოლები:** 1:0 კრაუჩი (40), 2:0 კრაუჩი (42), 3:0 ჰრეიდარსონი)

**გაფრთხილება:** 0-1

**მაყურებელი:** 12 000

„იუვენტუსთან“ მარცხის შემდეგ, „მილანის“ ამოცანა გერმანულ „ვოლფსბურგთან“ გამარჯვება იყო. თუკი **კარლო ანჩელოტის** გუნდს უეფას თასზე ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება სურდა, „როსონერის“ ეს თამაში აუცილებლად უნდა მოეგო. მაგრამ „ვოლფსბურგმა“ „სან სიროზე“ მრისხანე მეტოქეს ისეთი ბრძოლა გაუმართა, ნაკლებად რომ ელოდა ვინმე. **ფელიქს მაგათის** გუნდის დამარცხება ამ სეზონში ძალიან ძნელია და ეს „მილანთან“ ამ მატჩშიც გამოჩნდა – „ვოლფსბურგი“ კერკეტი კაკალია.

აღსანიშნავია, რომ ამ მატჩს მილანში დიდი ინტერესი არ გამოუწვევია. „სან სიროზე“ „ვოლფსბურგთან“ შეხვედრის საყურებლად მხოლოდ 5 420-მა ფანმა მოიყარა თავი და რაც ყველაზე საინტერესოა, მათ შორის 2000 (!) გულშემატკივარი ვოლფსბურგიდან იყო ჩასული. მილანელები მე-17 წუთზე დაწინაურდნენ: **კლარენს ზეედორფის** კუთხურს **ანდრეა ბარძალის** შეცდომა მოჰყვა, რომელმაც ბურთის ტრაექტორია ზუსტად ვერ გათვალა. ამით **მასიმო ამბროზინიმ** ისარგებლა და ზუსტი თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. „მგლებს“ წონასწორობის აღდგენის შანსი 26-ე წუთზე მიეცათ, მაგრამ **ედინ ჯეკოს** დარტყმის შემდეგ, ბურთი **დიდას** კარის ძელს მოხვდა. მეორე ტაიმში „ვოლფებმა“ უფრო მეტი ფხა გამოიჩინეს და ანგარიშის გათანაბრება მაინც შეძლეს: ეს „ვოლფსბურგის“ მეორე იტალიელმა მცველმა **კრისტიან ძაკარდომ** გააკეთა, რომელმაც **მარსელ შეფერის** კარგი პასით ისარგებლა. მაგრამ ზუსტად ერთ წუთში **ანდრეა პირლომ** სტატუს კვო აღადგინა – „მილანი“ ისევ წინ გაიყვანა. სწორედ აქ გამოჩნდა მაგათის სამწვრთნელო ალღო: „დესპოტმა ფელიქსმა“ 75-ე წუთზე **ჰასებეს** ნაცვლად მოედანზე თავდამსხმელი **მაჰირ შაგლიქი** შეუშვა და ზუსტად ექვს წუთში მან ანგარიში გაათანაბრა.

2:2 „სან სიროზე“ - ამით, „ვოლფსბურგმა“ ჯგუფში პირველი ადგილი შეინარჩუნა, „როსონერი“ კი მეორე პოზიციით უნდა დაკმაყოფილდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ვოლფსბურგს“ წილისყრა ისეთ გუნდს არგუნებს, რომელმაც ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა, „მილანის“ მეტოქე კი, პლეი ოფში ჩემპიონთა ლიგიდან უეფას თასზე გადასული რომელიმე გუნდი იქნება. „ვოლფსბურგს“ შეგვიძლია, ტაში დავუკრათ, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მილანელებმა გადახალისებული შემადგენლობით ითამაშეს.

ჯგუფის პარალელურ შეხვედრაში, ინგლისურმა „პორტსმუთმა“ „ჰერენვეენი“ 3:0 დაამარცხა, მაგრამ ამ გამარჯვებამ ინგლისურ კლუბს არაფერი მოუტანა. ეს იმიტომ, რომ ჯგუფიდან გასული მესამე გუნდის ვინაობა ამ ტურამდევე ცნობილი იყო: „ვოლფსბურგისა“ და „მილანის“ შემდეგ, მესამე ადგილი პორტუგალიურმა „ბრაგამ“ დაიკავა. ეს გუნდი ბოლო ტურში ისვენებდა...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვოლფსბურგი | 4 | 3 | 1 | 0 | 13-7 | 10 |
| 2. მილანი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-5 | 8 |
| 3. ბრაგა | 4 | 2 | 0 | 2 | 7-5 | 6 |
| 4. პორტსმუთი | 4 | 1 | 1 | 2 | 7-8 | 4 |
| 5. ჰერენვეენი | 4 | 0 | 0 | 4 | 3-13 | 0 |


ჰამბურგი-ასტონ ვილა. ჰამბურგელმა მლადენ პეტრიჩმა (უკან) ერთი გოლი გაიტანა, ივიცა ოლიჩმა კი დუბლი შეასრულა...

## F ჯგუფი

### ჰამბურგი–ასტონ ვილა 3:1

**ჰამბურგი:** ფ. როსტი, ბოატენგი, ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, აოგო დ. იაროლიმი, ბენჯამინი, ტროხოვსკი (89. ბენ-ჰატირა), იანსენი, ოლიჩი (67. გერერო), პეტრიჩი (78. ტიაგუ ნევეში).

**ასტონ ვილა:** გუზანი, ლ. იანგი, ნაითი, კუელარი, შორი, სალიფუ, რეო-კოკერი, გარდნერი (‹.‘. ბანანი), სიდველი, დელფუნესო, ჰეირვუდი.

**გოლები:** 1:0 პეტრიჩი (18), 2:0 ოლიჩი (30), 3:0 ოლიჩი (57), 3:1 დელფუნესო (83)

**გაძევება:** სიდველი (84. ასტონ ვილა)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 49 121

### აიაქსი–სლავია 2:2

**აიაქსი:** ვერმეერი, ვან დერ ვილი, ოლეგერი, ვერმაელენი, დე იონგი, ანიტა, სულეიმანი, ვერტონგენი, სუარესი, ცვიტანიჩი (74. ლეონარდო), ემანუელსონი (46. ბლინდი).

**სლავია:** დივიში, ჰუბაჩეკი, ბრაბეცი, სუხი, ტავარესი, კრაიჩიკი, ბელაიდი, მ. იაროლიმი, ჩერნი (89. ამადუ სისე), იანდა (72. ივანა), შენდერიკი (81. შმიცერი).

**გოლები:** 1:0 ვერტონგენი (3), 1:1 ჩერნი (12), 1:2 მ. იაროლიმი (41), 2:2 სუარესი (90-პენ)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 30 000

„ჰამბურგმა“ ბოლო ტურში შესანიშნავად ითამაშა და „ასტონ ვილას“ დამაჯერებლად მოუგო – 3:1. ამ გამარჯვებით **მარტინ იოლის** გუნდმა ჯგუფში პირველ ადგილზე გადაინაცვლა და რაკი ამსტერდამის „აიაქსმა“ პრაღის „სლავიას“ დამარცხება ვერ შეძლო, გერმანელებმა პირველი ადგილი დაიკავეს. ანგარიში მე-18 წუთზე **მლადენ პეტრიჩმა** გახსნა. ეს ფეხბურთელი „ჰამბურგისთვის“ უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს – მთავარი მწვრთნელი **მარტინ იოლიც** აღიარებს, რომ პეტრიჩი გუნდისთვის ნელ-ნელა ყალიბდება ფასდაუდებელ ფეხბურთელად. მეორე და მესამე გოლები კი **ივიცა ოლიჩის** ანგარიშზეა, რომელსაც მთხოვნელების დიდი რიგი უდგას. ინგლისელებისთვის პრესტიჟის გოლის გატანა კი 17 წლის **დელფუნესომ** 83-ე წუთზე შეძლო. თუმცა „ასტონ ვილას“ ფეხბურთელები ამ მარცხისგან კატასტროფას არ ქმნიან, რადგან ეს გუნდი მაინც გავიდა პლეი ოფში.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში პრაღის „სლავიამ“ ამსტერდამში დასაფასებელ ფრეს (2:2) მიაღწია. თუმცა ჩეხებისთვის ეს ფრე არაფერს ნიშნავს – „სლავიამ“ ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა. ჰოლანდიელები კი მეორეზე გავიდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ პლეი ოფში მათი მეტოქე ჩემპიონთა ლიგიდან გადმოსული გუნდი იქნება. ჯერ ამსტერდამელები იგებდნენ, მერე - ჩეხები, მაგრამ ბოლოს **სუარესმა** 2:2 დააფიქსირა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰამბურგი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| 2. აიაქსი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 3. ასტონ ვილა | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| 4. ჟილინა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 5. სლავია | 4 | 0 | 2 | 2 | 2-5 | 2 |

## G ჯგუფი

### სტ. ეტიენი–ვალენსია 2:2

**სტ. ეტიენი:** ჟანო, ვარო, სალი, ბენალუანი, ანდრე, დერნისი, მატუიდი, მაშადო, ილანი (90. გრაქსი), მირალა (83. გილიოტი), პეიე (90. რივიერი).

**ვალენსია:** გუაიტა, კურო ტორესი (64. მიგელი), მადურო, მარჩენა, დელ ორნო, ხოაკინი (62. ჟიგიჩი), ალბელდა, ვისენტე, უგო ვიანა, მანუელ ფერნანდეში, მორიენტესი (76. სილვა).

**გოლები:** 1:0 ილანი (29), 1:1 მორიენტესი (33), 2:1 ილანი (44), 2:2 ჟიგიჩი (71)

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 25 000

### ბრიუგე–კოპენჰაგენი 0:1

**ბრიუგე:** სტინენი, ევენსი, ალკასარი (47. ივან ლეკო), დე მეტსი, კლუკოვსკი (47. სიმანი), დირარი, კლემანი, დაერდენი, გერაერტსი, ვარგასი, სონკი (61. აკპალა).

**კოპენჰაგენი:** კრისტიანსენი, პოსპეჩი, ანტონსონი, უ. ლაურსენი, ვენდტი, კვისტი, ნორეგაარდი (88. ვიურტცი), კრისტენსენი (82. იორგენსენი), ჰათჩინსონი, ნორდსტრანდი (65. სიონკო), სანტინი.

**გოლი:** 0:1 სანტინი (58)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 28 000

ამ ჯგუფში მხოლოდ ერთი რამ იყო გასარკვევი და კერძოდ ის, თუ რომელი გუნდი გაჰყვებოდა პლეი ოფში „სტ. ეტიენსა“ და „ვალენსიას“. ამ კითხვას პასუხი „ბრიუგესა“ და „კოპენჰაგენის“ შეხვედრაში გაეცა. ბელგიელებს მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ფრეც ჰყოფნიდათ, მაგრამ 58-ე წუთზე კოპენჰაგენელმა **სეზარ სანტინიმ** მასპინძლები დაამწუხრა. დანიელებმა ანგარიშის შენარჩუნება მოახერხეს და „ბრიუგე“ ჯგუფში ჩატოვეს.


მილანი-ვოლფსბურგი. კახა კალაძისა და ედინ ჯეკოს ორთაბრძოლა

მეორე შეხვედრაში „სტ. ეტიენმა“ და „ვალენსიამ“ ქულები გაიყვეს – 2:2. ესპანელები მაქსიმალურად ცდილობდნენ საფრანგეთში გამარჯვების მოპოვებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. „სტ. ეტიენი“ უკეთ თამაშობდა და ორჯერ იგებდა კიდეც, თუმცა „ღამურებმა“ ორივეჯერ მოახერხეს წონასწორობის აღდგენა (**მორიენტესი, ჟიგიჩი**). თუმცა ფრანგული კლუბისთვის ფრეც სრულიად საკმარისი გამოდგა პირველი ადგილის დასაკავებლად.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტ. ეტიენი | 4 | 2 | 2 | 0 | 9-4 | 8 |
| 2. ვალენსია | 4 | 1 | 3 | 0 | 8-4 | 6 |
| 3. კოპენჰაგენი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 4. ბრიუგე | 4 | 0 | 3 | 1 | 2-3 | 3 |
| 5. რუსენბორგი | 4 | 0 | 2 | 2 | 1-8 | 2 |

## H ჯგუფი

### ფეიენოორდი–ლეხი 0:1

**ფეიენოორდი:** ტიმერი, ტიენდალი, დერიიკი, ბაია, ვატამალეო, ვიინალდუმი (65. იანოტა), ლუციუსი, ალ აჰმადი (56. ლეერდამი), ფერი (65. ერასმუსი), ბრუინსი, მაკაი.

**ლეხი:** ტურინა, ვოიტკოვიაკი, არბოლედა სანჩესი, ტანევსკი, ჯურჯევიჩი, ვილკი, სტილიჩი (71. ბანდროვსკი), პეშკო, მურავსკი, ლევანდოვსკი (90. რაისი), რენგიფო (90. კიკუტი).

**გოლი:** 0:1 ჯურჯევიჩი (27)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 17 000

### დეპორტივო–ნანსი 1:0

**დეპორტივო:** არანსუბია, მანუელ პაბლო, კოლოტო, ლოპო, ლუის ფელიპე, ანტონიო ტომასი (75. რიკი), სერხიო, ლაფიტა, გუარდადო (65. ბოდიპო), ვალერონი, ბრავო (78. ხუან როდრიგესი).

**ნანსი:** ბრასილიანო, შრეტიენი, ანდრე ლუისი, მაკალუსო, ბიანკალანი (86. ბრისონი), დია, ბერენგერი, ფერე, გავანონი (76. ფორტუნე), ჰაჯი, ზერკა.

**გოლი:** 1:0 ბოდიპო (73)

**გაფრთხილება:** 1-5

**მაყურებელი:** 23 000

ოთხშაბათის მატჩებიდან მხოლოდ ერთში დაფიქსირდა სენსაცია. H ჯგუფში „ლეხმა“ „ფეიენოორდს“ როტერდამში მოუგო – 1:0. ამ გამარჯვებამ კი ის განაპირობა, რომ პოლონურმა კლუბმა ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა და შესაბამისად, პლეი ოფში გავიდა. გამარჯვების გოლი პოლონელთაგან **ჯურჯევიჩმა** 27-ე წუთზე გაიტანა. ერთ დროს პატივმოყვარე „ფეიენოორდი“ კი ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა! როტერდამელებმა ოთხივე თამაში წააგეს და დააკვირდით ბურთების შეფარდებასაც: 1:10.

თუმცა „ლეხი“ მომდევნო ეტაპზე ვერ გავიდოდა, „დეპორტივოს“ „ნანსი“ რომ არ დაემარცხებინა. ამ გამარჯვებით გალისიელებმა მეორე ადგილი დაიკავეს, ფრანგული „ნანსი“ კი „ლეხსაც“ ჩამორჩა...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 4 | 4 | 0 | 0 | 12-5 | 12 |
| 2. დეპორტივო | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 3. ლეხი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 4. ნანსი | 4 | 1 | 1 | 2 | 8-7 | 4 |
| 5. ფეიენოორდი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-10 | 0 |

გოტფრიდ ლენცი



ინტერვიუ

კარვალიო ამაური

# ბრაზილიელს აძურამდე ერთი ნაბიჯი უკლია

## 10 თებერვალს კი, შესაძლოა, სელესაო დაუპირისპირდეს

**კარვალიო ამაურიმ სერია A-ს ბოლო ტურში გაიბრწყინა და "მილანის" ძლევაში ლომის წილი დაიდო. ბრაზილიელის ასეთმა ასპარეზობამ იტალიური პრესა კიდევ ერთხელ აალაპარაკა ამაურის ნატურალიზაციის საკითხზე. სად ითამაშებს კარვალიო, „აძურაში" თუ „სელესაოში"? – ამ საკითხის გარკვევას "კორიერე დელო სპორტი" შეეცადა და ფეხბურთელთან ინტერვიუც კი ჩაწერა. დღევანდელი მდგომარეობით, კარვალიოს იტალიის ნაკრებში გამოძახებამდე ერთი ნაბიჯი უკლია, თუმცა უმჯობესია, თავად ფეხბურთელს მოვუსმინოთ.**

**- გავრცელდა ინფორმაცია, რომ სულ მალე იტალიურ პასპორტს აიღებთ, ეს სიმართლეა?**

- დიახ, სრული სიმართლეა. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, პირველ იანვარს იტალიის მოქალაქე გავხდები. ეს შესანიშნავი საახალწლო საჩუქარი იქნება. ასე რომ, თითქმის იტალიელი ვარ. პროცედურების დაჩქარებას ჩემმა მეუღლემ შეუწყო ხელი, ის იტალიელია და მასთან სამწლიანი ოჯახური კავშირი ამ საქმეში დიდად დამეხმარა.

**- ლიპისთან გქონდათ საუბარი, მოგცათ გარანტია, რომ პასპორტის აღების შემდეგ ნაკრებში გამოგიძახებთ?**

- ასეთი გარანტია არ მოუცია და ვერც მომცემდა. მან მითხრა, რომ თუ იტალიის მოქალაქე გავხდები, ნაკრების კანდიდატთა შორის განმიხილავს და შემდეგ ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად კარგად ვიასპარეზებ „იუვენტუსში". რაც მთავარია, საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ თუ „სკუადრა აძურაში" გამომიძახებენ, უარს არ ვიტყვი და ცისფერ მაისურას მოვირგებ. ამ ქვეყანამ ძალიან ბევრი რამ მომცა, კაცად მაქცია და სიამოვნებით დავუბრუნებ ვალს. მთავარია, ამის შესაძლებლობა მომეცეს.

**- ბოლო დროს ბრწყინვალედ ათამაშდით, დუნგამ რომ გამოგიძახოთ?**

- ბრაზილიის ნაკრებში თამაში ჩემი ბავშვობის ოცნებაა და ამის დამალვას არ ვაპირებ. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რას მოვიმოქმედებ ბრაზილიიდან გამოძახების შემთხვევაში. უკვე ბოლომდე ვარ განწყობილი „აძურაში" სათამაშოდ და ახლა ჩემი პოზიციის შეცვლა ცოტა რთული იქნება. ბრაზილიის ნაკრების თავკაცს ძალიან დიდხანს ვთავაზობდი საკუთარ თავს, მან კი ერთხელაც არ დამირეკა და მიიჯრა, რომ სამომავლოდ მაინც ექნებოდა ჩემი იმედი. ბუნებრივია, ეს გულს მწყვეტდა და გადაწყვეტილებაც იტალიის სასარგებლოდ მივიღე.

**- თუ მუდმივად ისე ითამაშეთ, როგორც „მილანთან", ლიპის ზარი არ დააყოვნებს?**

- „მილანთან" მთელმა გუნდმა დიდებულად ითამაშა და მათ შორის მეც. ყველაფერი გამომდიოდა მოედანზე, რაც ხშირად არ ხდება. იმის ილუზია არ მაქვს, რომ მუდმივად ასეთ დონეზე ვიასპარეზებ. ისე კი, ცდას არ დავაკლებ და წესით, მარჩელოს ყურადღებაც უნდა დავიმსახურო. მთავარი მონდომებაა, „როსონერისთან" სწორედ მოტივაციამ და ენთუზიაზმმა მოგვაგებინა. „იუვენტუსის" ძალა დღეს ამაშია.

**- დავუბრუნდეთ „სკუადრა აძურას". იცით რომ შესაძლოა თქვენი სანაკრებო დებიუტი ბრაზილიის წინააღმდეგ შედგეს?**

- 10 თებერვალს ლონდონში მართლაც დიდი მატჩი გაიმართება და არაა გამორიცხული, ბრაზილიის წინააღმდეგ მართლაც ვითამაშო. რამდენიმე დღის წინ ჩემმა მეგობარმა დამაფიქრა ამ საკითხზე და ერთი საინტერესო კითხვაც დამისვა: რომელ მხარეს ითამაშებო? - ორივემ ბევრი ვიცინეთ. დღევანდელი მდგომარეობით, თუ რომელიმე ნაკრებში ვითამაშებ, ეს იტალიის უმთავრესი გუნდი იქნება.

**- რანიერი თქვენი მისამართით ქებად დაიღვარა, ელოდით ასეთ სიტყვებს?**

- რანიერი "მილანთან" მოგებული შეხვედრის შემდეგ ძალიან კმაყოფილი იყო და ყველას სათითაოდ გადაგვიხადა მადლობა. ჩემი აზრით, ასეთი წარმატებული სვლის მთავარი შემოქმედი სწორედ სენიორ კლაუდიოა. ის უბრალო ადამიანია, ფეხბურთელებთან უშუალოა, რაც გუნდში მეგობრული ატმოსფეროს შექმნას უწყობს ხელს. ამასთან, ბრწყინვალე ტაქტიკოსია და ყოველთვის საჭირო გადაადგილებებს ახდენს. მისმა სიტყვებმა ძალიან გამახარა, ეს იმას ნიშნავს, რომ სკუდეტოსკენ მიმავალ გზაზე ჩემი როლი მაკისრია.



კარვალიო ამაური, შეიძლება, იტალიელი გახდეს...

**- რეალურად მიგაჩნიათ სკუდეტოსთვის ბრძოლა?**

- რა თქმა უნდა, ამაში არარეალურს ვერაფერს ვხედავ. ჩვენ შესანიშნავი გუნდი გვყავს, რომელიც იტალიის ჩემპიონატში და ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებით ასპარეზობს. "ინტერთან" ჩამორჩენა მხოლოდ ექვსი ქულაა, ამ ფორის აღმოფხვრა შესაძლებელია და ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ. "ნერაძურის" შეჩერება წარმოუდგენელი ნამდვილად არ არის, როგორც ეს ბევრს ჰგონია.

**- ანუ, თქვენ ეთანხმებით ნედვედს, რომელიც აცხადებს, რომ ამ ეტაპზე "იუვენტუსი" უფრო ძლიერია, ვიდრე "ინტერი"?**

- თუ გადავხედავთ ბოლოდროინდელ შედეგებს და გავიხსენებთ, თამაშის ხარისხს, "იუვე" არაფრით ჩამოუვარდება "ინტერს". თანაც, აშკარაა, რომ ჩვენ ვპროგრესირებთ და ეს პროცესი გრძელდება. თუ ასე გავაგრძელეთ, ფორმის პიკში ოპტიმალურ დროს შევალთ, რაც საბოლოო მიზნის მისაღწევად უმნიშვნელოვანესია.

**- ტრადიციული კითხვა, ჩემპიონთა ლიგა თუ სკუდეტო?**

- ამ კითხვაზე ტრადიციული პასუხი მაქვს, ორივე. არჩევანის გაკეთების არავითარი სურვილი არ მაქვს, რადგან გულშემატკივარს ორივე ტროფეის მოგება სურს. ბუნებრივია, ვერავის დავპირდებით, რომ ლიგასაც მოვიგებთ და სკუდეტოსაც, თუმცა ამისთვის ყველა ღონეს ვიხმართ.

**- რას უსურვებდით მომავალ წელს საკუთარ თავს?**

- ფეხბურთელისთვის ყველაზე დიდი საშინელება ტრავმაა. ვისურვებ, რომ ჯანმრთელად ვიყო და ჩემი საყვარელი საქმე ვაკეთო. დანარჩენი უკვე შრომასა და მონდომებაზეა დამოკიდებული, რისი დეფიციტიც არასდროს მქონია.

ამბები

## ინლერზე დიდი მოთხოვნაა

„უდინეზეს" ნახევარმცველ **გოხკან ინლერზე** ევროპაში ნამდვილი ტაციაობაა. თურქული წარმოშობის შვეიცარიელმა ფეხბურთელმა გასული სეზონი შესანიშნავად ჩაატარა, ცუდად არც ნელს გამოიყურება და ამად დაიმსახურა ასეთი ინტერესი. იტალიური პრესის ცნობით, ინლერის გადაბირება აპენინური გუნდების გარდა, ლონდონის „არსენალს", „ტოტენჰემს" და მიუნხენის „ბაიერნს" სურს. თუმცა, თავად ფეხბურთელი იტალიური ვარიანტებისკენ იხრება. მოვუსმინოთ შვეიცარიელს: *„იტალიაში თავს დიდებულად ვგრძნობ, აქ ყველაფერი მომწონს და არსად წასვლას არ ვაპირებ. არ გამოვრიცხავ, რომ სამომავლოდ კარიერა სხვა გუნდში განვაგრძო, არჩევანს კი აუცილებლად რომელიმე იტალიურ გრანდზე შევაჩერებ. ბუნებრივია, ძალიან მსიამოვნებს, რომ ჩემით „არსენალის" და „ბაიერნის" დონის გუნდები არიან დაინტერესებულნი, მაგრამ ჩემი ერთადერთი მიზანი სერია A-ში თამაშია".*

იტალიური წყაროებიდან გამოჟონილი ინფორმაციით, ინლერის გადაბირება „იუვენტუსს, „მილანს" და „ინტერს" სურს. გამომდინარე ასეთი მოთხოვნიდან, „უდინეზეს" მესვეურებს ფეხბურთელის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება. შესაძლოა, შვეიცარიელმა ზამთარშივე დატოვოს „ფრიული", მისი საბაზრო ღირებულება 12 მილიონი ევროა.

## ლეგროტალიემ, არავინ არ გვჭირდებაო

რამდენიმე დღის წინ ვწერდით, რომ ტურინის "იუვენტუსი" **ვილიამ გალასის** გადაბირებას აპირებს. ამის შესახებ თვით **კლაუდიო რანიერიმ** ილაპარაკა და ყოფილ შეგირდს, რომელსაც "ჩელსიში" წვრთნიდა, საქებარი სიტყვები მიუძღვნა. როგორც ჩანს, ეს ამბავი მაინცდამაინც არ ესიამოვნა "იუვეს" ცენტრალურ მცველ **ნიკოლა ლეგროტალიეს**, ვინაც პრესასთან საუბარში შემდეგი განაცხადა: *"ძლიერი ფეხბურთელის საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე დაცვის ხაზი გაძლიერებას არ საჭიროებს. ჩემი აზრით, "იუვენტუსს" სერია A-ში ყველაზე მძლავრი დაცვა ჰყავს, რაც "მილანთან" პაექრობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა. თუ ვილიამ გალასი "იუვენტუსში" გადმოვა, უნდა იცოდეს, რომ სასტარტოში ადგილი გარანტირებული არ ექნება. იგივეს ვეტყოდი დანიელ აგერს, "ლივერპულელსაც" ხომ "იუვენტუსში" უწინასწარმეტყველებენ გადმოსვლას? ისე არ ჩამითვალოთ, თითქოს ვინმეს წინააღმდეგი ვიყო, უბრალოდ, დღეს "ვეკია სენიორაში" ძლიერი მცველები თამაშობენ და მინდა ეს ყველამ იცოდეს".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

პორტრეტი

# ბუფონი ბრუნდება



ჯანლუიჯი ბუფონმა ტრავმა მოიშუშა

გუშინ, იტალიურ პრესაში ტურინის „იუვენტუსის" გულშემატკივართათვის მეტად სასიამოვნო ინფორმაცია გავრცელდა. რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ სრული დატვირთვით ივარჯიშა გუნდის ძირითადმა გოლკიპერმა **ჯანლუიჯი ბუფონმა**. ჟურნალისტთა მტკიცებით, ჯიჯი თავს შესანიშნავად გრძნობს და მძიმე ტრავმის კვალი საერთოდ არ ეტყობა. გამომდინარე აქედან, პრესა ვარაუდობს, რომ შესაძლოა ბუფონი უახლოეს შეხვედრებში, ახალ წლამდე ვიხილოთ ძირითად შემადგენლობაში. თავად ბუფონს სხვა პოზიცია აქვს. აი, რა განაცხადა ნავარჯიშევს მსოფლიოს ჩემპიონმა:

*„თავს ჩინებულად ვგრძნობ, ტკივილები აღარ მაწუხებს და მთავარი დღეს სწორედ ესაა. ვარჯიშზე რამდენიმე რთული ბურთი მოვიგერიე, რამაც ასევე ძალიან გამახარა. ფაქტია, რომ ჩემი სარეაბილიტაციო კურსი დასრულდა და უახლოეს მომავალში მოედანზეც დავბრუნდები. დიდი მადლობა ყველას, ვინც ტრავმის დროს გვერდში მედგა და მამხნევებდა. მადლობა ექიმებსაც, მათ დაკისრებულ მოვალეობას თავი ჩინებულად გაართვეს. როდის დავუბრუნდები მოედანს? - ალბათ მაინც საახალწლო შვებულების შემდეგ. 11 იანვარს „სიენასთან" გვიწევს პაექრობა და შესაძლოა ძირითადს სწორედ ამ შეხვედრაში დავუბრუნდე. იქამდე, მაინც არ ღირს გარისკვა და როგორც ვიცი, კლაუდიო რანიერიც ამ აზრზეა. მოდით ასე ვთქვათ, თამაშის საშუალება ახალი წლიდან მექნება და სასტარტოში ვიქნები თუ არა, ეს უკვე მწვრთნელის გადასაწყვეტია. მანინგერი შესანიშნავად ასპარეზობს და დიდია შანსი, სანამ ფორმას ბოლომდე აღვიდგენ, ძირითადში სწორედ ავსტრიელმა ითამაშოს".*

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

# ხუანდემ მარგალიტი სახლში გაუშვა

## ლასანა დიარა კი გზაში დაკარგა...

ტრავმებით შეშინებული მადრიდის „რეალის" ხელმძღვანებელი ფეხბურთელების შეძენაზე გადავიდნენ. გუშინწინ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, სამეფო კლუბი **ლასანა დიარას** გაურიგდა. გუშინ კი დაიწერა, რომ ესპანურმა გრანდმა „ქუინზ პარკ რეინჯერსიდან" სამეფო კლუბის კანტერის აღზრდილი **დანიელ პარეხო** დაიბრუნდა. ახალგაზრდა ნახევარმცველის გადაბირება **ხუანდე რამოსის** ინიციატივა ყოფილა. „რეალის" ახალი მწვრთნელი მიიჩნევს, რომ დანიელი უნიჭიერესი ფეხბურთელია და მისი ადგილი სწორედ „სანტიაგო ბერნაბეუზეა". ხუანდემ მისი თამაში ინგლისში ყოფნისას ნახა და „ტოტენჰემში" გადაბირება სცადა, მაგრამ გაირკვა, რომ „ქუინზ პარკ რეინჯერსს" „რეალისთვის" პირობა ჰქონდა მიცემული, პარეხოს თქვენ გარეშე არასად გავუშვებთო. მოკლედ, სენიორ რამოსმა სურვილი მხოლოდ ახლა აისრულა და ამით ძალიან კმაყოფილია: *„მალე ნახავთ, დანიელს რა შეუძლია. ის უნიჭიერესი და წარმოუდგენლად შრომისმოყვარე ფეხბურთელია. ძალიან მიხარია, ეს საქმე რომ მოგვარდა. სამეფო კლუბის დირექტორატს გაგებისა და თანადგომისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ."*

მიუხედავად იმისა, რომ „რეალი" ტრავმების ეპიდემიის გამო ძალიან დასუსტებულია, ადამიანი მაინც იფიქრებს, რომ ახალგაზრდა მოთამაშეს კონკურენციასთან გამკლავება და ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება გაუჭირდება, თუმცა ესპანელი კორესპონდენტები ამბობენ, რომ ხუანდე რამოსი პარეხოს საგულდაგულოდ მოამზადებს და **რაფაელ ვან დერ ვაარტის** ნაცვლად ათამაშებს. გუშინაც გითხარით და დღეს კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ პირენეული გრანდის მთავარი მწვრთნელი ჰოლანდიელი ნახევარმცველის თამაშით უკიდურესად უკმაყოფილოა. სხვათა შორის, თავად ვან დერ ვაარტმა აღიარა, რომ შორს არის საუკეთესო კონდიციებისგან და შესაძლებლობების ნახევარსაც ვერ ავლენს. ხუანდე რამოსის აზრით, რაფაელი ცუდ ფორმაში იმიტომაა, რომ ვარჯიში ეზარება.

ახლა კვლავ ლასანა დიარას დავუბრუნდებით და ერთ საინტერესო გარემოებაზე გავამახვილებთ ყურადღებას. „პორთსმუთის" ხელმძღვანელობა ფრანგი ნახევარმცველის გაყიდვას დათანხმდა. მართალია, მადრიდელებთან მათი გარიგების პირობები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ მხარეები თანხაზე შეთანხმდნენ და ტრანსფერის გაჩარხვაზე თანხმობა განაცხადეს. ამის ნიშნად, ინგლისელებმა ლასანა ვარჯიშებიდან გაათავისუფლეს და სამედიცინო შემოწმების გასავლელად მადრიდში წასვლის ნება დართეს. რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, დიარა ამის შემდეგ უკვალოდ გაუჩინარდა. ის ესპანეთში არ ჩასულა, მაგრამ ვერც ინგლისში მიაგნეს. ლასანას მობილური ტელეფონი გამორთული აქვს. ის „პორთსმუთისა" და „ჰერენვენის" უეფას თასის შეხვედრის სანახავადაც არ მისულა. ბრიტანული კლუბის კაპიტანი **სილვენ დისტინი** შეშფოთებით აცხადებს, ლასანა დაგვემშვიდობა და გვითხრა, „რეალში" გადავდივართ. კაპიტანი დარწმუნებული იყო, რომ მისი მეგობარი უკვე მადრიდში იყო, მაგრამ ესპანელები ამტკიცებენ, რომ ის დედაქალაქში არ ჩასულა. არადა, სამეფო კლუბი მას მოუთმენლად ელოდება. ხუანდე რამოსი ამტკიცებს, რომ ლასანა გულშემატკივრებს თავს შეაყვარებს. მწვრთნელის აზრით, „სანტიაგო ბერნაბეუზე" ის **კლოდ მაკელელეზე** გაცილებით უკეთეს კარიერას გაიკეთებს. იმედია, დიარას ცუდი არაფერი სჭირს და მალე გამოჩნდება. ადამიანის ბუნება ხომ იცით, ჰოდა, მადრიდში ჭორები გავრცელდა - ლასანას დოპინგი ექნება მიღებული და ეშინია, სამეფო კლუბმა ანალიზების ჩაბარება არ მოსთხოვოსო. სიმართლე გითხრათ, ამ ვერსიის არ გვჯერა. დოპინგი რომ ჰქონდეს მიღებული, გაუჩინარებით რას მიაღწევს? როცა იქნება, ხომ გამოჩნდება და მაინც მოუწევს ანალიზის ჩაბარება? თანამედროვე ლაბორატორიების პირობებში კი რამდენიმედღიანი გაქრობით ორგანიზმიდან დოპინგის კვალს ვერ წაშლი. პირიქით, ამით უფრო დიდ ეჭვს გამოიწვევ და დოპინგტესტის ხალხის კლანჭებში აღმოჩნდები. მოკლედ, მოვლენათა განვითარებას უნდა დაველოდოთ და იმედი ვიქონიოთ, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება.



ხუანდე რამოსი



ვიქტორ ვალდესი

ბარსელონა

# ვალდესმა კინოში მაყურებელი სცემა

## კატალონიური გრანდის მეკარეს პოლიციაში მოუწევს სიარული

**ვიქტორ ვალდესმა** სერიოზულ უსიამოვნებაში გაყო თავი. კასტელსდეფელის ერთ-ერთმა მოქალაქემ მის წინააღმდეგ პოლიციაში საჩივარი შეიტანა. ეს ამბავი 10 დეკემბერს მოხდა, მაგრამ მხოლოდ ახლა გახმაურდა. ინფორმაციამ იმიტომ გაჟონა, რომ ვალდესი დაკითხვაზე დაიბარეს... 10 დეკემბრის საღამოს ვიქტორ ვალდესი მეგობარ გოგონასთან ერთად კასტელსდეფელის ერთ-ერთ კინოთეატრში შევიდა. კასტელსდეფელი ბარსელონასთან მდებარე მდიდრული დაბაა, სადაც „ბარსას" მეკარე ფეშენებელურ სახლში ცხოვრობს. მოკლედ, ვალდესი კინოდარბაზში შევიდა და მეგობართან ერთად კუთვნილ სავარძელში მოკალათდა. ფილმის დაწყებიდან დაახლოებით 40 წუთის შემდეგ მისმა მეგობარმა გოგონამ სიგარეტს მოუკიდა და გემრიელად გააბოლა. ამით აღშფოთებულმა მოქალაქემ მას შენიშვნა მისცა და შეახსენა, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევა აკრძალულია, მით უმეტეს კონოთეატრში. ვალდესი მისი შენიშვნით ძალიან გაბრაზდა და ყოველგვარი მორიდების გარეშე გვერდზე მჯდომ მეზობელს სახეში მუშტი უთავაზა. ბურთების მოგერიებაში ნავარჯიშებმა მეკარემ უცნობს იმდენად ძლიერად დაარტყა, რომ მას ექიმის დახმარება დასჭირდა. ვიქტორი ინციდენტით ძალიან შეშინდა და დარბაზიდან გაქცევა სცადა, მაგრამ მაყურებლებმა ამის საშუალება არ მისცეს და სანამ პოლიცია არ მივიდა, გზა არ გაუთავისუფლეს. დაზარალებული კი მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს. კატალონიური გრანდის გოლკიპერის მიერ წამოწყებული ჩხუბის გამო სეანსი ჩაიშალა. პოლიციამ მოწმეები იქვე დაჰკითხა. სამართალდამცველებმა ვალდესი არ დააპატიმრეს, თუმცა იქვე გაფრთხილეს, რომ უწყებას გაუგზავნიდნენ და დაკითხვაზე განყოფილებაში დაიბარებდნენ. ასეც მოხდა, გუშინ ის პოლიციაში მივიდა და ჩვენება მისცა. კვალიფიციური იურისტების თქმით, ამ ინციდენტს რამდენიმე გამოსავალი შეიძლება ჰქონდეს. საქმის უკიდურესად დაძაბვის შემთხვევაში, ვალდესი შესაძლოა, გისოსებს მიღმა აღმოჩნდეს, თუმცა არსებობს მეორე, უფრო მარტივი გამოსავალი. - ვიქტორმა დაზარალებულს ბოდიში უნდა მოუხადოს და ფიზიკური შეურაცხყოფის საკომპენსაციოდ მის საბანკო ანგარიშზე სოლიდური თანხა გადაიხადოს.

„ბარსელონაზე" საუბარს კიდევ ერთი საინტერესო თემით გავაგრძელებთ. 13 დეკემბრის ელ კლასიკოს შემდეგ მიმომხილველები **ლეო მესის** წინააღმდეგ გახშირებულ აგრესიასა და უხეშობაზე ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. აღმოჩნდა, რომ არგენტინელი ფორვარდის წინააღმდეგ ბრძოლისას წესები ყველაზე ხშირად სულაც არ ირღვევა. ამ თვალსაზრისით, ყველაზე მეტად დაჩაგრულები, **სენა, კასორლა, ადურისი** და **მასუდი** არიან. მესი მხოლოდ მეხუთე ადგილზეა, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ეს დასკვნა ამ ფეხბურთელებთან ორთაბრძოლებისას დაფიქსირებულ ჯარიმებზეა დამყარებული. აი, მტკივნეული დარტყმების თვალსაზრისით კი მესი მართლაც ყველაზე მეტად იჩაგრება. მარტივმა ანალიზმა ცხადყო, რომ ლეოს ექიმების დახმარება ყველაზე ხშირად სჭირდება ხოლმე. არგენტინელის წინააღმდეგ ტოტალურ უხეშობაზე კიდევ ერთი ფაქტი მეტყველებს. მესისთან ძალადობრივი თამაშის გამო მსაჯებმა მიმდინარე სეზონში 10 ფეხბურთელი გააფრთხილეს. ექსპერტების აზრით, პრიმერადივიზიონური გუნდების ფეხბურთელებს ყველაზე მეტად სწორედ ლიონელ მესის შეჩერება უჭირთ. ხშირად თქმულა, რომ ჯარიმის აკიდების გარეშე ამ ბიჭის გაჩერება შეუძლებელია. ან უნდა დაჯარიმდე, ან იმის იმედი გქონდეს, რომ ლეო თავად დაკარგავს ბურთს.

მანჩესტერი

# ფერგიუსონი: რეალს გრიპის ვირუსსაც არ მივყიდდი

## წითელი ეშმაკების თავკაცი კრისტიანო რონალდოს სამეფო კლუბში არასოდეს გაუშვებს

ინგლისსა და ესპანეთში ხმა გავრცელდა, „მანჩესტერი" და „რეალი" **კრისტიანო რონალდოს** ტრანსფერზე შეთანხმდნენ და **რამონ კალდერონი** მის საოცნებო ფეხბურთელს „სანტიაგო ბერნაბეუზე" მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე ჩაიყვანსო. გასაგები მიზეზების გამო ამ ინფორმაციას მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ეფექტი ჰქონდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ **სერ ალექს ფერგიუსონი** სამეფო კლუბის ხელმძღვანელობისა და ზოგადად, მადრიდული გრანდის დაუძინებელი მტერია. ამიტომ, რონალდოს ტრანსფერზე შეთანხმება მართლაც უცნაურად ჟღერდა.

როგორც გაირკვა, ეს დეზინფორმაცია ბრიტანულმა ტაბლოიდებმა გაავრცელეს. საკითხს თავად სერ ალექსმა მოფინა ნათელი. ტოკიოში გამართულ პრესკონფერენციაზე მან ასეთი რამ განაცხადა: *„ეს უდიდესი სისულელე და თაღლითობაა. როგორ გგონიათ, მე ალექს ფერგიუსონი რონალდოს მადრიდის „რეალში" გაშვებას დავთანხმდებოდი? თუ ღმერთი გწამთ, რატომ უჯერებთ ყველა მატყუარას და სპეკულანტს? რონალდო ჩემი გუნდის მარგალიტია და მის გაყიდვას არ დავუშვებ. მით უმეტეს, სამეფო კლუბში. „მანჩესტერის" თავმჯდომარეს რამდენიმე კვირის წინ ვუთხარი, იანვარი რაც უფრო მოახლოვდება, ჭორების ტალღა მით უფრო დიდი სიმძლავრით აგორდება-მეთქი. ასეა, ყვითელი პრესის ჭორიკანა ჟურნალისტებს რა დალევს. მათ სასპეკულაციო თემა შემოაკლდათ და რონალდოს ტრანსფერი წამოსწიეს. „რეალს" კრისტიანოს კი არა, გრიპის ვირუსსაც არ მივყიდდი. არადა, სამეფო კლუბს ერთი კარგი გრიპის ვირუსი ძალიან მოუხდებოდა."*

ფერგისუონის მორიგ შეურაცხმყოფელ გამოხდომას „რეალის" პრესსამსახურის წარმომადგენელი **ისმაელ მარტინესი** გამოეხმაურა: *„ჩვენ მივეჩვიეთ „მანჩესტერის" მწვრთნელის ტაკიმასხარაობას. მის განცხადებებზე სერიოზული კომენტარის გაკეთება შეუძლებელია. როგორც ჩანს, ამ კაცს ასაკთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. წლების მატებას ყველა ადამიანი ფილოსოფიურად და მშვიდად როდი აღიქვამს. კარგი იქნება, „მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ ღვაწლმოსილი მწვრთნელის ჯანმრთელობაზე იზრუნოს და კარგი ექიმი დაუქირაოს. ფერგიუსონმა ეს ნამდვილად დაიმსახურა. „იუნაიტედს" მან უამრავი წარმატება მოუტანა."*



სერ ალექს ფერგიუსონი

ბოკა ხუნიორსი

# რიკელმეს პროკურატურა თავს არ ანებებს

**ხუან რომან რიკელმეს** ისევ პრობლემები აქვს. როგორც იცით, რამდენიმე კვირის წინ „რასინგთან" მატჩის მსვლელობისას რომანი სერიოზულ სკანდალში გაეხვა. მან „რასინგის" ინჩასს უხამსი ჟესტი აჩვენა და ამით დიდი არეულობა გამოიწვია. გუნდების გულშემატკივრები ერთმანეთს დაერიენ და დაუნდობელი ჩხუბი გამართეს. მას შემდეგ რომანს პროკურატურაში რამდენჯერმე მოუხდა მისვლა. სამართალდამცველები მას უწესრიგობის პროვოცირებაში ადანაშაულებენ. რიკელმე კი ყოველმხრივ თავს იცავს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ მას არაფერი დაუშავებია.

„ბოკას" ვარსკვლავმა პროკურატურიდან გამოსვლის შემდეგ საზოგადოებას გაუმხილა, თუ რაზე ესაუბრა ქალაქის პროკურორს: *„ის ტიპი მთელი თამაშის განმავლობაში დედას მაგინებდა. რამდენჯერაც იმ ტრიბუნასთან აღმოვჩნდი, იმდენჯერ დამიძახა, რომანშე ბოზის შვილოო. ვითმინე, მაგრამ ბოლოს ყელში ამომივიდა და იმ ნაძირალას შუა თითი ვაჩვენე. მესმის, რომ საყოველთაოდ ცნობილი ფეხბურთელი ვარ და მეტი თავშეკავება მმართებს, მაგრამ მეც ჩვეულებრივი ადამიანი გახლავართ და დედაჩემის, - ადამიანის, რომელმაც სიმწრით გამზარდა - გინება ვერ ავიტანე და პროტესტი გამოვთქვი. ძალიან ვწუხვარ, რომ ამის გამო ტრიბუნებზე არეულობა დაიწყო."*



ხუან რომან რიკელმე

პროკურატურამ გადაწყვიტა, ის სკანდალისტი გულშემატკივარიც დაკითხოს. **აგუსტინ პოცეტიმ** უახლოეს დღეებში უნდა მისცეს ჩვენება. მოკვლევის დასრულების შემდეგ საქმე სასამართლოში გადაიგზავნება და რომანის ბედიც ამის შემდეგ გაირკვევა. სავარაუდოდ, მას სოლიდური ჯარიმის გადახდა მოუწევს.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა მინისტრთან


დავით ნამგალაურმა მინისტრს საქართველოს სპორტის დიდების მუზეუმიც დაათვალიერებინა

# საქმის ერთგულებითა და ერთმანეთის თანადგომით

გუშინ ხალხმრავლობა იყო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში - ეროვნული ფედერაციების მესვეურები და მასმედიის წარმომადგენლები კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრს **ნიკა რურუას** შეხვდნენ. უწყების ახალ თავკაცს სიტუაციისა და პრობლემების გაგება უშალოდ იმ ადამიანებისგან აინტერესებდა, რომლებიც ამა თუ იმ სფეროს ხელმძღვანელობენ. მინისტრმა პეკინის ოლიმპიადის გმირებს წარმატება მიულოცა და დიალოგიც თავად წამოიწყო: ჭაბუკობისას სპორტის რამდენიმე სახეობაში ვცადე ბედი და ძალიან ვწუხვარ, ბოლომდე ვერც ერთს რომ ვერ ვუერთგულე. ჯერ კიდევ მაშინ დავინახე ის პრობლემები, რომლებიც ბავშვთა სპორტს ხელს უშლის, ამიტომ გადავწყვიტე, სწორედ ეს სფერო გავიხადო პრიორიტეტადო, ბრძანა.

„იმ პოლიტიკური გუნდის წარმომადგენელი ვარ, რომელმაც პირობის მიცემაც იცის და მისი შესრულებაც. დიდი სპორტი არ იქნება, ბავშვთა სპორტს თუ არ ავაღორძინებთ. გულახდილად ვთქვათ ყველაფერი, რაც გვაწუხებს, სწორედ, პროფესიონალებისგან მსურს სიმართლის შეტყობა. გვერდში დავუდგეთ ერთმანეთს და ასე გამოვასწოროთ შეცდომები თუ ხარვეზები. გულწრფელად გეუბნებით, რომ ის ადამიანი ვიქნები, ვინც პრობლემების გადაჭრაში დაგეხმარებათ", - ესეც ბატონი ნიკას სიტყვებია.

დარბაზსაც მეტი რა უნდოდა. მინისტრს გულახდილობაში არც ფედერაციათა და სხვა ორგანიზაციათა მესვეურები ჩამორჩნენ.

**კახა გენაძე,** ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი: ქართველმა ფალავნებმა ბოლო წლებში არნახულ წარმატებებს მიაღწიეს. მარტო პეკინის ოლიმპიადაზე მოპოვებული ორი ოქროს და ამდენივე ბრინჯაოს მედალი რად ღირს. მომავალში უკეთესი შედეგები გვექნება, სპორტულ ბაზებს დროულად თუ მივხედავთ. არადა, ამ მხრივ, მოჭიდავეებს მართლაც არ გვაქვს კარგად საქმე. მას შემდეგ, რაც დარბაზები ინვესტორებს გადაეცათ, უმრავლესობა დაიხურა, რადგან კომუნალურ გადასახადებს ვერ იხდიან. ბევრი დარბაზი კაპიტალურად არის შესაკეთებელი.

დაფინანსებაზეც მინდა ვთქვა: 2005 წლიდან ამ თვალსაზრისით იმდენი კარგი გაკეთდა, რომ შედეგიც მივიღეთ. ახლა კი კულუარებში გვესმის, 2009 წელს დაფინანსება უნდა შევამციროთ, რადგან ოლიმპიადის წელიწადი არ არისო. უკუსვლა არაფრით შეიძლება. მონაპოვარს დავკარგავთ.

**მინისტრის რეპლიკა:** გეთანხმებით. ფედერაციები შესაბამისად დღეს თუ არ დავაფინანსეთ, მხოლოდ ოლიმპიურ წელს გამოყოფილი თანხა შედეგს ვერ მოგვცემს. აქ მე თქვენ გვერდით ვიქნები.

**უშანგი ყურაშვილი,** ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი: არც ერთი საკუთარი დარბაზი არა გვაქვს, არადა, ქართული ჭიდაობა ამარაგებს ფალავნებით ჭიდაობის სხვა სახეობებს. მხოლოდ ნახერხმოყრილი სარბიელის იმედად ვერ ვიქნებით. დარბაზშიც უნდა შევიდეთ და ჩვენი ეროვნული საუნჯე საერთაშორისო ასპარეზზე გავიტანოთ.

**გია გიორგაძე,** ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი: ჩვენმა დიდოსტატმა ქალებმა თორმეტწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ მოიპოვეს მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ოქროს მედლები. ამ წარმატების აღსანიშნავად ქვეყნის პრეზიდენტმა ჭადრაკის სასახლე ბრძენთა თამაშის მოყვარულებს აჩუქა. კარგი იქნება, წლის ბოლომდე ამ გადაწყვეტილების დოკუმენტურად გაფორმებაში თუ დაგვეხმარებით.

**მორის სახვაძე,** ფარიკაობის ფედერაციის გენერალური მდივანი: ბოლო წლებში, სამწუხაროდ, თბილისში ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლების უმრავლესობა დაიხურა, ზოგიც კომერციულ ობიექტად გადაკეთდა. კატასტროფულად შემცირდა ძ. ვარჯიშეთა რიცხვი. თქვენ ბრძანეთ, ბავშვთა სპორტი პრიორიტეტად დავისახეო. გვეშველება რამე?

**მინისტრის რეპლიკა:** იშვიათად, რომ მსოფლიოში შეძლებული ოჯახიდან გამოსულ სპორტსმენს თავი ესახელებინოს. ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ხელმოკლე ოჯახების წარმომადგენლებს მართლაც შევუზღუდეთ სპორტში მეცადინეობის საშუალება. ჩვენ ამ საკითხს სპორტის დეპარტამენტთან, ოლიმპიურ კომიტეტთან და თბილისის მერიასთან ერთად დეტალურად შევისწავლით და შესაბამის გადაწყვეტილებასაც მივიღებთ.

**ირაკლი დოლაბერიძე,** სპორტის აკადემიის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე: სწორედ დღეს, სპორტის აკადემიის გაუქმებასთან დაკავშირებით, სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. სამწუხაროდ, ჩვენი სასწავლებლის გაუქმების იდეა კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი ჩინოვნიკისგან წამოვიდა. თუ გვინდა სპორტის სფეროში მაღალპროფესიული სპეციალისტები გვყავდეს, დაშვებული შეცდომა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს - აკადემია უნდა აღდგეს. ამ საქმეში ისევ თქვენ უნდა გვიშველოთ.

**ნიკა რურუა:** მერწმუნეთ, ეს პრობლემა დადებითად გადაიჭრება. შესაძლოა, ისეთი სახით არა, როგორც უწინ იყო, მაგრამ სპორტის აკადემია აღდგება.

**ნინო სალუქვაძე,** ოლიმპიური ჩემპიონი: ტყვიის მსროლელებს ერთი ნორმალური ბაზა არ გვაქვს. პეკინის ოლიმპიადაზე ჩემ მიერ მოპოვებულ ბრინჯაოს მედალს იმ ორ საწვრთნელ შეკრებასაც ვუმადლი, რომლებიც სომხეთში გავიარე. ჩვენს მეზობლებს ძლიერი სპორტსმენები არა ჰყავთ, მაგრამ ბაზა აქვთ უნიკალური. ქალაქის მერიის დახმარებით თბილისში გამოვძებნეთ ადგილი, სადაც თანამედროვე სასროლეთის აშენება შეიძლება. იმედია, ამ პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარებით.

**ბესიკ ლიპარტელიანი,** კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: ბაზების მხრივ ჩვენც ცუდად გვაქვს საქმე, თბილისში არც ერთი დარბაზი არ გაგვაჩნია, არადა, ევროპის პირველობაზე ოთხ ასაკობრივ ჯგუფში გამოდიან ჩვენი სპორტსმენები.

**ზურაბ კახაბრიშვილი,** სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტი: მე და ჩემმა კოლეგებმა ყველაფერი გავაკეთეთ საიმისოდ, რომ ქართველ სპორტსმენებს წარმატებით ეასპარეზათ პეკინის ოლიმპიადაზე. თუმცა ასე კუსტარულად მუშაობა მომავალი თამაშებისთვის სასურველ შედეგს ვერ მოგვიტანს. აუცილებელია, თბილისში სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი გაიხსნას. ეს ამიერკავკასიაში პირველი იქნება და დამატებითი შემოსავლის წყაროც გახდება...

მინისტრთან შეხვედრისას პრობლემებზე ილაპარაკეს და საქმიანი წინადადებები წამოაყენეს თბილისის მერიის სპორტის სამსახურის უფროსმა **ზაზა დოლიძემ** კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვლადიმერ ახალკაცმა,** რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ,** წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა **რომან მელიამ,** მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა **თენგიზ ტერუნაშვილმა** და სხვებმა. ბატონმა ნიკა რურუამ შეხვედრის მონაწილეებს აღუთქვა, რომ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაურთან,** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ **გია ნაცვლიშვილთან,** პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ასანიძესთან** ერთად განიხილავს ყველა პრობლემას და წინადადებას, ყველაფერს ილონებს ხარვეზების გამოსასწორებლად.

*„მე დავდგები თქვენ გვერდით, ჩვენ ერთად ვილვანებთ სპორტისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ",* - ბრძანა დასასრულს მინისტრმა.

იმედია, ასეც იქნება.

ბატუტზე ხტომა

# ახალგაზრდობა იწყებს და იმარჯვებს

საბერძნეთის ქალაქ სალონიკიში ბატუტზე მხტომელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაიმართა სახელწოდებით - „სპარტაკუს თასი". მთავარი პრიზისთვის 8 ქვეყნის 220 წარმომადგენელი იბრძოდა სხვადასხვა ასაკში. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები თბილისის მერიის გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშული სასპორტო სკოლის 6 მოსწავლით (3 გოგონა და ამდენივე ვაჟი) იყო დაკომპლექტებული. ჩვენმა ბატუტზე მხტომელებმა ელადაში შესანიშნავად იასპარეზეს - 4 ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს.

10 წლის გოგონებში აბსოლუტური ჩემპიონი გახდა **ანა ოდიშვილი,** რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა როგორც ინდივიდუალურ, ისე **თეონა ჯანჯღავასთან** (ორივე - 49-ე საჯარო სკოლა) ერთად სინქრონულ ხტომებში. თეონამ კი მსგავს წარმატებას თორმეტწლიანებში მიაღწია: იგი პირველი იყო ინდივიდუალურ ხტომებში, ხოლო ანასთან ერთად სინქრონულში ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

თოთხმეტი წლის ვაჟთა ტურნირში პირველობა არავის დაუთმო **დიმიტრი ზუტიკოვმა** (121-ე საჯარო სკოლა). ამავე ასაკში ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა **ნანა გოგაშვილი** (183-ე სკოლა). ობიექტური მსაჯობა რომ ყოფილიყო, ქართველი სპორტსმენი უფრო მაღალ საფეხურს დაიკავებდა.

შეჯიბრებაში ჩვენი კიდევ ორი სპორტსმენი ცდიდა ძალებს - თორმეტწლიანებში **ზურაბ ნოზაძე** და თოთხმეტწლიანებში **რუსტამ კალოევი,** რომლებმაც ჩინებულად გაიარეს საკვალიფიკაციო ეტაპი, მაგრამ ფინალში შეცდომა დაუშვეს და საბოლოოდ მეექვსე ადგილებს დასჯერდნენ.

საგულისხმოა ისიც, რომ „სპარტაკუს თასის" გათამაშებას მსაჯობდა თბილისელი ეროვნული კატეგორიის არბიტრი **ლია ხრიკული,** რომელმაც 10-ქულიანი შეფასება დაიმსახურა და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდების მოსაპოვებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა.

**ზაურ სულაშვილი,** საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ძალიან მიხარია, რომ ახალგაზრდა სპორტსმენებმა საერთაშორისო ტურნირზე ასეთ წარმატებას მიაღწიეს. ეს არის ჩვენი მწვრთნელების - ლია ხრიკულის, რევაზ გამხოშვილის, ვლადიმირ გოლოვინის, ზურაბ კიკნაძისა და შალვა კალოევის დაუღალავი გარჯის ნაყოფი. დიდი მადლობა მათ. ეს ახალგაზრდა სპორტსმენები ჩვენი ეროვნული ნაკრების ხვალინდელი დღეა. ორმაგად გვეამაყება მათი გამარჯვების, რადგან საერთაშორისო სარბიელზე დებიუტი ჰქონდათ.

გაისად ნოემბრის მიწურულს სანკტ-პეტერბურგში მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. უფროსებთან ერთად ახალგაზრდებიცა და ჭაბუკებიც იასპარეზებენ. ჩვენი მოზარდები მნიშვნელოვანი შეჯიბრებებისთვის სტარტებს აქედანვე გვინდა შევაჩვიოთ. პირველი ცდა, როგორც ხედავთ, წარმატებული გამოდგა.

**რუსუდან ხოფერია,** ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი: მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტ ბატონ **კობა სვინტრაძეს** და სპორტის დეპარტამენტს, რომელმაც საბერძნეთში ჩვენი სპორტსმენების გამგზავრება დააფინანსა. შეგირდებმაც გვასახელეს. გაისად რამდენიმე შეჯიბრებაში უნდა ვიასპარეზოთ. აქედანვე მონდომებით ვემზადებით. მართალია, წლევანდელი სეზონი დავამთავრეთ და ჩვენი სასახლის დიდ დარბაზში თბილისის მერია კაპიტალურ რემონტს ატარებს, მაგრამ ნაკრების წევრებს ვარჯიშები წუთითაც არ შეუწყვეტიათ - მცირე დარბაზში განაგრძობენ წვრთნას. პირველი კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი მარტში გველის - „ყვავილების თასის" გათამაშებას ჰოლანდია უმასპინძლებს. ვეცდებით, წარმატებები ვამრავლოთ.



ანა ოდიშვილი და თეონა ჯანჯღავა ასპარეზობისას

ძიუდო

# ლევალუაში ფარდის დაშვების წინ

ყოველი წლის მიწურულს, ევროპის ძიუდოს კავშირის ინიციატივით, მძიმეწონოსანი მოჭიდავეებისთვის კონტინენტის აბსოლუტური პირველობა იმართებოდა. წლეულს ამ შეჯიბრებას სტატუსი შეეცვალა - მედლებისთვის ამჯერად უკვე პლანეტის უძლიერესი ძიუდოისტები იასპარეზებენ. მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონატს საფრანგეთის ქალაქი ლევალუა ამ შაბათ-კვირას უმასპინძლებს. წინასწარი მონაცემებით (შესაძლოა, იგი შეიცვალოს), შეჯიბრებაში მკლავისა და მუხლის ძალას მოსინჯავენ იაპონელები - ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი **იასუიკი მუნეტა,** მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, ძიგარო კანოს საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული **იოჰეი ტაკაი,** აზიის უნივერსიადის ჩემპიონი და ახალგაზრდებში მსოფლიოს პირველობის ოქროსმედალოსანი **ტაკამარა ანაი,** ფრანგი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, პეკინის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი **ტედი რინერი** და მისი თანამემამულეები - **პიერ რობენი, ჟან სებასტიან ბონვოისონი, ადრიენ პინი, ფრედერიკ დემონფოკო,** რუსი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ალექსანდრ მიხაილინი, ტამერლან ტმენოვი, მაქსიმ ბრიანოვი,** უზბეკი **აბდულო ტანგრიევი,** გერმანელი **ანდრეას ტოლცერი,** ესპანელი **ანხელ პარა,** პერუელი **კარლოს ზეგარა** და სხვები, მათ შორის ქართველები - **ლაშა გუჯეჯიანი** და **ზვიად ხანჯალიაშვილი.**

გულშემატკივრებმა უწყიან, რომ 23 წლის გუჯეჯიანი ტიტულოვანი სპორტსმენია, ოლიმპიური თამაშების ორგზის მონაწილე ახალგაზრდებში მსოფლიოს და ევროპის პირველობების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი, 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ოქროს და ვერცხლის მედლები აქვს მოპოვებული, უფროსების მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის „ბრინჯაოს" (2005, 2007 წ.წ.) მფლობელია. შარშან ევროპის ჩემპიონატზე „ვერცხლი" ერგო - ფინალური შეხვედრა ტედი რინერთან წააგო, არადა, მანამდე გზიდან ჩამოიშორა მიხაილინი და უკრაინელი მსოფლიოს პრიზიორი **ევგენი სიტნიკოვი** (რიო-დე-ჟანეიროს ტატამზე კი იოლად გაუსწორდა იტალიელ **პაოლო ბიანკეზის,** უზბეკ ტანგრიევს, ჩინელ **ვეი სიანგჯუნის**), წლევანდელ პირველობაზე კი ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა. გუნდურში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია.

25 წლის ზვიად ხანჯალიაშვილის სპორტული კოლექცია შედარებით მოკრძალებულია: ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონმა და კონტინენტის ახალგაზრდების ოლიმპიური ფესტივალის მეორე პრიზიორმა 2006 წელს უფროსებში ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა. მედლების სიხალვათის მიზეზი კი ის არის, რომ ზვიადმა 2004 წელს მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და კარგა ხნით ჩამოშორდა ტატამს. 205 სანტიმეტრის სიმაღლის გოლიათმა დიდ სარბიელზე ხელახალი დაბრუნება წლეულს როტერდამის მსოფლიოს თასის მოპოვებით აღნიშნა, ნოემბრის მიწურულს კი საქართველოს ჩემპიონატი მოიგო და საფრანგეთში გამგზავრების უფლებაც დაიმსახურა.

ორივე ქართველი ძიუდოისტი ეროვნული ნაკრების წევრებთან ერთად ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდა ბორჯომში, საიდანაც ისინი გუშინ დაბრუნდნენ, დღეს გამთენიისას კი **შოთა ხაბარელთან** ერთად პარიზისკენ აიღეს გეზი.

- ნაყოფიერი ვარჯიშები გამოგვივიდა, - მითხრა ბატონმა შოთამ, - ბიჭები მონდომებულები იყვნენ, რადგან სალიცენზიო თბილისის მსოფლიოს თასის გათამაშებამდე მხოლოდ ორმოციოდე დღე დარჩა. განსაკუთრებით გუჯეჯიანისა და ხანჯალიშვილის გარჯა მინდა აღვნიშნო. ძალიან მოიწადინეს. საფრანგეთი ძიუდოისტთა წლის ბოლო მნიშვნელოვან შეჯიბრებას მასპინძლობს. ვფიქრობ, ჩვენი ფალავნები ლევალუაში მედლებისთვის იბრძოლებენ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა დანელიამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

რედქართველი NBA-ში

# გარნეტი ზაზაზე არ საუბრობს



**ზაზა ფაჩულიასა** და კევინ გარნეტის გაწევ-გამოწევა დღესაც კარგად ახსოვთ ამერიკელ ჟურნალისტებს. ისინი შანსს არ უშვებენ და ამ ინციდენტს "ატლანტა"-"ბოსტონის" ყოველი მატჩისას იხსენებენ. ერთ-ერთმა ატლანტელმა კორესპონდენტმა ჯორჯიაში ჩასულ კევინ გარნეტს "ჰოქსთან" მატჩის წინ ჰკითხა – ზაზა ფაჩულიასთან ჩხუბი თუ გახსოვთო. კევინმა თავი ღირსეულად დაიჭირა – მატჩის წინ პრესასთან ლაპარაკს ვერიდებიო.

როგორც მიხვდით, დღესაც "ატლანტა"-"ბოსტონის" მატჩზე უნდა გელაპარაკოთ, რომელიც მეტისმეტად დაძაბული გამოდგა და კინაღამ ჯორჯიელთა გამარჯვებით დასრულდა. საფინალო სირენამდე 48 წამით ადრე ატლანტელმა **ჯო ჯონსონმა** ორი საჯარიმო გამოიყენა და თანაგუნდელები 84:83 დააწინაურა. ამას მოჰყვა გარნეტის 2 და **რონდოს** 1 ქულა. ჯონსონს მატჩის დასრულებამდე 2 წამით ადრე თამაშის ოვერტაიმში გადაყვანის შანსი მიეცა, მაგრამ 2-დან ერთი ტყორცნა გამოიყენა და – 85:86. მატჩის საბოლოო ანგარიში **ალენის** თავისუფალმა ტყორცნებმა დააფიქსირა – 85:88.

ზაზა ფაჩულია მატჩში პირველი ტაიმის ბოლოს ჩაერთო და მეორე მეოთხედის მეხუთე წუთზე ერთმანეთის მიყოლებით ჩაგდებული ორი ორქულიანით "ატლანტა" 30:28 დააწინაურა. ეს იყო და ეს, შეტევაში ზაზამ 14 წუთში მეტი ვერაფერი მოასწრო. კევინ გარნეტის წინააღმდეგობა ვერც სასტარტო ცენტრმა **ელ ჰორფორდმა** დაძლია, რომელმაც 41 წუთში 10 ქულასაც ვერ უწია (8 ქულა და 11 მოხსნა მოუგროვდა). სამაგიეროდ, ჩვეულად იასპარეზა ბოსტონელთა ლიდერმა გარნეტმა, რომელმაც 18-დან 10 ქულა მეოთხე პერიოდში მიითვალა და სელტიქსის ზედიზედ მე-16 გამარჯვება განაპირობა (სულ 24 მოგება, 2 მარცხი). საინტერესოა ისიც, რომ "ბოსტონთან" წაგება "ჰოქსისთვის" სეზონის მეორე საშინაო მარცხი იყო.

ზაზა ფაჩულიას თანაგუნდელები მორიგ შეხვედრას ისევ ატლანტის "პეპსი არენაზე" გამართავენ. 19 ნოემბერს მათი მეტოქე **ნიკა ცქიტიშვილის** ყოფილი კლუბი "გოლდენ სტეიტი" იქნება.

**ფაჩულიას მონაგარი**

14 წუთი: 4 ქულა, 3 მოხსნა,
1 დაფარება, 2 შეცდომა, 4 ფოლი

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 02:10 | ზაზამ ბიბი შეცვალა |
| 01:22 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 00:25 | დაფარება: 1 (რონდოს დაუფარა) |
| **II პერიოდი** | |
| 11:16 | ფოლი: 1 |
| 10:19 | ფოლი: 2 |
| 10:19 | შეცდომა: 1 |
| 07:47 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 07:47 | ორქულიანი: 2ქ (28:28) |
| 07:47 | საჯარიმო: არაზუსტი |
| 07:12 | ორქულიანი: 4 ქ (30:28) |
| 06:56 | ზაზა სმითმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 02:57 | ზაზამ სმითი შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 11:44 | მოხსნა: შეტ-2, დაც-0 |
| 10:58 | ფოლი: 3 |
| 10:14 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 09:13 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 08:20 | ფოლი: 4 |
| 08:20 | შეცდომა: 2 |
| 08:20 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |

**ვაჟა სიმონიშვილი**

ქართველი ევროლიგაზე

# შერმადინმა ევროლიგა დაგვიბრუნა

ორი კვირის წინათ **გიორგი შერმადინს** "პანათინაიკოსის" შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა – საბერძნეთის ჩემპიონატში ითამაშა. მას შემდეგ გაგვიჩნდა იმედი, რომ იგი ევროლიგაზეც მოირგებდა მწვანე მაისურას, თუმცა მას შემდეგ ათენელებმა ევროლიგაზე "ჟალგირისთანაც" ითამაშეს და "ბარსელონასთანაც", მაგრამ მწვრთნელმა **ჟელკო ობრადოვიჩმა** შერმადინის მოედანზე გაყვანა "ნანსისთან" მე-8 ტურის მატჩამდე არ ისურვა. მწვრთნელმა ფრანგულ კლუბთან გიორგი არა შეხვედრის ბოლოს, არამედ მეორე პერიოდში გაიყვანა, მაშინ, როცა თანაბარი თამაში მიმდინარეობდა. ახალგაზრდა ქართველის გამოჩენას ბერძნული პუბლიკა ოვაციებით შეხვდა, რადგან მათ კარგად ახსოვდათ გიორგის "ეგალეოსთან" ორი ეფექტურად ჩატენილი ბურთი. ობრადოვიჩმა შერმადინის თამაშში ნაადრევად ჩართვა ასე ახსნა: *"ჩემს შეგირდებს წინასწარ ვუთხარი, რომ "ნანსის" კარგი წინა ხაზი ჰყავს და მას ფარი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავანებოთ-მეთქი. ფრანგებმა მოხსნებში თავიდანვე გვაჯობეს და ამიტომ ყველა ხერხს მივმართე წინა ხაზის გასაძლიერებლად."*

საბოლოოდ მოხსნებში მართლაც "ნანსიმ" იმარჯვა – 37:33, მაგრამ მოგება "პანათინაიკოსს" დარჩა – 83:69.

ევროლიგაზე გიორგი შერმადინმა პირველი ქულა 34-ე წუთზე მიითვალა. მისი საჯარიმო ტყორცნის შემდეგ მასპინძლებმა 13-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს – 73:60.

გიორგი მხოლოდ 1 ქულით შემოიფარგლა, 2-დან 1 საჯარიმო გამოიყენა, 1 სამქულიანი და 3 ორქულიანი ააცილა. გარდა ამისა, შერმადინის ანგარიშზეა თითო მოხსნა-ჩაჭრა-დაფარება.

მატჩის შემდეგ გიორგი შერმადინმა ბერძენ ჟურნალისტებთან საუბრისას, პირველ რიგში, მადლობა მთავარ მწვრთნელ ჟელკო ობრადოვიჩს გადაუხადა:

*„ბოძებული შანსისთვის მინდა მადლობა გადავუხადო "პანათინაიკოსის" თავკაცს. ასევე მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ჩვენი გულშემატკივრები, რომლებიც მოედანზე შესვლის წუთიდან აქტიურად მიჭერდნენ მხარს. ეს ჩემთვის დიდი სტიმული იყო. სამწუხაროდ, მათ იმედები ბოლომდე ვერ გავუმართლე, ეფექტური თამაში არ გამომივიდა. თუმცა ვპირდები, რომ ვარჯიშს გავაგრძელებ და ვეცდები, უახლოეს მატჩში უკეთესად ვითამაშო".*

გიორგის დებიუტი ევროლიგაზე არა მხოლოდ მის კარიერაში, არამედ ქართული კალათბურთის უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენაა. თითქმის ორი წელიწადია, ევროლიგა ქართველთა გარეშე მიმდინარეობს. ევროპის მთავარ საკლუბო ტურნირში ბოლოს 2007 წლის იანვარში **მანუჩარ მარკოიშვილმა** იასპარეზა. მაშინ მანუს "ოლიმპიამ" ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახა. ევროლიგაზე ყველაზე "ქართული" სეზონი 2002-03 წლებისა იყო, როცა ამ ტურნირში ერთბაშად სამი ქართველი ასპარეზობდა. **ზაზა ფაჩულია** თურქული "ულქერის" ღირსებას იცავდა, **ვლადიმერ ბოისა** – სლოვენიური "ოლიმპიასი", ხოლო მანუჩარ მარკოიშვილმა იტალიურ "ბენეტონთან" ერთად ევროლიგის ფინალში "ბარსელონასთან" წააგო.

წლევანდელი ევროლიგის მე-8 ტურში, "ბარსელონასთან" მატჩში "მონტეპასკის" განაცხადში იყო **ნიკა მეტრეველი**, მაგრამ მწვრთნელმა **სიმონე პიანიჯანიმ** იგი მოედანზე არ შეიყვანა.

ვიდრე სატურნირო ცხრილს ჩამოგიწერდეთ, მოგახსენებთ, რომ ევროლიგის მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე თითო ჯგუფიდან 4-4 გუნდი გადის.

**პანათინ. (საბ)–ნანსი (საფ) 83:69**

გიორგი შერმადინი: 10 წუთი, 1 ქულა, 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება, 2 ფოლი, 1 შეცდომა.

**B ჯგუფი**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა (ესპ) | 8 | 7 | 1 | 15 |
| 2. მონტეპასკი (იტა) | 8 | 6 | 2 | 14 |
| 3. პანათინაიკოსი (საბ) | 8 | 6 | 2 | 14 |
| 4. ნანსი (საფ) | 8 | 2 | 6 | 10 |
| 5. პროკომი (პოლ) | 8 | 2 | 5 | 9 |
| 6. ჟალგირისი (ლიტ) | 7 | 0 | 0 | 7 |

**ვაჟა სიმონიშვილი**

ხელბურთი

# ფინალი თითქმის გარკვეულია

ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში მერიის თასის გათამაშება გრძელდება. გუშინ მეორე ტურის მატჩები გაიმართა. „მამულმა" „რუსთავს" 38:25 მოუგო, „სამტრედიამ" კი „ქუთაისს" დაძაბულ ბრძოლაში 30:28 სძლია. სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

**A ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სტუ | 1 | 1 | 0 | 0 | 2 |
| 2. სამტრედია | 1 | 1 | 0 | 0 | 2 |
| 3. ქუთაისი | 2 | 0 | 0 | 2 | 0 |

**B ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თბილისი | 1 | 1 | 0 | 0 | 2 |
| 2. მამული | 2 | 1 | 0 | 1 | 2 |
| 3. რუსთავი | 1 | 0 | 0 | 1 | 0 |

დღეს „თბილისი", რომელსაც ფინალში გასვლა ფაქტობრივად, გარანტირებული აქვს, „რუსთავს" შეხვდება, სტუ-სა და „სატრედიას" მატჩში კი მეორე ფინალისტი გამოვლინდება.

ფინალი, ასევე მატჩები მესამე და მეხუთე ადგილისთვის 20 დეკემბერს გაიმართება. ჯგუფური თამაშებიც და დასკვნითი მატჩებიც 14 საათზე დაიწყება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ჩოგბურთი

## შოტლანდიელი მოინელა, ჯერი ირლანდიელზეა

**ლადო ჩიხლაძე** საჩოგბურთო სეზონს ქართველთაგან უკანასკნელი ასრულებს – საქართველოს ყოფილი პირველი ჩოგანი ჩეხეთის ქალაქ ოპავაშია, სადაც დახურულ დარბაზში, ხალიჩაზე, ვაჟ ჩოგბურთელთა მცირე საერთაშორისო ტურნირი (15 ათასი $) მიმდინარეობს. ჩიხლაძე ტრავმამდელი რეიტინგის წყალობით ძირითად ბადეში დაუშვეს, სადაც პირველ წრეში საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებულ ბრიტანელ **კოლინ ფლემინგს** (658) შეხვდა. შეხვედრა დაძაბული გამოდგა, ლადომ მეტოქე მხოლოდ მესამე სეტში გატეხა – 7:6 (4), 5:7, 6:2. ამ გამარჯვებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ თუ ჯანზე იქნება, ჩიხლაძეს გაცილებით მეტის მიღწევა შეუძლია, შოტლანდიელი ფლემინგი ხომ მას რეიტინგში 500 ადგილით უსწრებს. ოპავურ მერვედფინალში ქართველი ჩოგბურთელი ირლანდიელ **ჯეიმს მაკგის** (616) შეხვდება, რომელმაც მოულოდნელად შეძლო ტურნირის მე-2 ჩოგნის, რუსი **კონსტანტინ კრავჩუკის** (304) დამარცხება – 6:7 (2), 7:6 (5), 6:1. 21 წლის დუბლინელს მასზე ორი წლით უფროსი ქართველი კარიერაში პირველად ეთამაშება.

## ვინ არის დანიელა დანიელი?

ფლორიდის ქალაქ კი ბისკეინში „ორანჯ ბოულის" დასრულების შემდეგ იქვე, ქორალ გეიბლსში „ჯუნიორ ორანჯ ბოული" დაიწყო, რომელშიც 12 და 14 წლამდელი ჩოგბურთელები თამაშობენ. ეს ტურნირი ბავშვთა ჩოგბურთის უდიდესი ზეიმია და დასანანია, რომ შეჯიბრებამ კინაღამ უქართველოდ ჩაიარა. წარმოიდგინეთ, მხოლოდ საკვალიფიკაციო ბადეში 256 ბავშვი თამაშობდა თითოეულ კატეგორიაში. წინასწარი განაცხადის მიხედვით უნდა ეთამაშათ: **ანა ახალკაცს** და **გიორგი კაკულიას** (12 წლამდელები) და **მარიამ სხირტლაძეს** (14 წლამდელები), მაგრამ ისინი არ გამოჩენილან და საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართველთა მეტოქეებს გამარჯვება უბრძოლველად ჩაეთვალათ. თუმცა ერთმა ჩვენებურმა მაინც ითამაშა „ორანჯ ბოულზე", თანაც ძირითად ბადეში.

14 წლამდელ გოგონათა შორის **დანიელა დანიელმა** საქართველოს სახელით ითამაშა. დამეთანხმებით, ქართული ყურისთვის დანიელი შეუჩვეველი გვარია და თავიდან ამერიკელთა უნებური შეცდომა გვეგონა (ვიფიქრეთ, მათ ჯორჯიის შტატში აერიათ), მაგრამ წურას უკაცრავად – „ჯუნიორ ორანჯ ბოულზე" დანიელა დანიელმა საქართველოს სახელით ითამაშა. დანიელას შესახებ უფრო მეტი ინფორმაციაც მოვიძიეთ, ის 14 წლისაა და მოსკოვშია დაბადებული. თუმცა მერე ოჯახით საქართველოში გადმოვიდა საცხოვრებლად. დანიელა საუბრობს ქართულად, რუსულად და ინგლისურად, სწავლობს ესპანურსაც. ჩოგბურთის თამაში მას 9 წლის ასაკში დაუწყია. ამჟამად დანიელა ლას ვეგასში ცხოვრობს და სწავლობს. სამწუხაროდ, დანიელამ „ორანჯ ბოულზე" **ნიკოლოზ ბასილაშვილის** წარმატება ვერ გაიმეორა, მან პირველ წრეში **ემილი ჯიბენსთან** წააგო – 4:6, 2:6. დანიელა სანუგეშო წრეში გადაერთო, სადაც **კარლა ბრუზესის** ეთამაშება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# საქართველოში ჯეფ როჯერსი ბრუნდება

ქართული სუპერლიგა დროებით (თებერვლამდე) დაგვემშვიდობა, მანამდე ქორქიასა და საკანდელიძის ტურნირი და საქართველოს თასის მატჩები გველის. ჩვენი ჩემპიონატის ახალმა კლუბმა, ქართულ-აზერბაიჯანულმა ნტდ-მ, რომელსაც **ნუგზარ კანდელაკი** წვრთნის, პირველი წრე მე-2 ადგილზე (14 ქულა) ჩაამთავრა. მეორე წრისთვის ეს გუნდი რამდენიმე სიურპრიზს გვპირდება, მთავარი კი ამერიკელი გამთამაშებლის **ჯეფ როჯერსის** სავარაუდო დაბრუნებაა საქართველოში.

ალბათ, კალათბურთის ყველა მოყვარულს ახსოვს ბათუმის „ბასკოში" მოთამაშე ჯეფ როჯერსი. არა მხოლოდ გულშემატკივართა მტკიცებით, ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში ასეთ ძლიერ ლეგიონერს არც მანამდე და არც მერე უთამაშია. როჯერსი ამჟამად ნორვეგიაშია და ჰარშტადის „ვიკინგსის" უდავო ლიდერია. ბოლო ტურში „ვიკინგსმა" სწორედ როჯერსის დიდებული თამაშის წყალობით დაამარცხა „ულრიკენ იგლსი" – 97:80. ამერიკელის ანგარიშზე 29 ქულა, 11 პასი და 6 მოხსნაა. „ვიკინგსი" 24 ქულით ნორვეგიის ჩემპიონატში პირველობს.

მოგეხსენებათ, ნტდ თავიდან აზერბაიჯანული კლუბი იყო, კლუბის ხელმძღვანელობამ აზერბაიჯანის ჩემპიონატში გამოსვლაზე ხელი ჩაიქნია, რადგან ნტდ ყველას იოლად უგებდა შინაურ პირველობაზე. ფიბა-ს წესებით სხვა ქვეყნის გუნდს არ შეუძლია სხვა სახელმწიფოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობა, ასე მოინათლა ნტდ თბილისის ახალ კლუბად. თუმცა კლუბში რჩებიან აზერბაიჯანის ნაკრების წევრები და პრეზიდენტიც კვლავ **ბაჰრამ აბდინოვია.** ამიტომაც აზერბაიჯანული მედია დიდ ყურადღებას აქცევს ნტდ-ს თამაშებს, ხოლო საქართველოს ჩემპიონატი უფრო დაწვრილებით შუქდება, ვიდრე - ადგილობრივი. სწორედ აზერბაიჯანული „ექსტრა ტაიმიდან" შევიტყვეთ ჩვენთვის საინტერესო სიახლე, მას შემდეგ, რაც ამ გამოცემას ინტერვიუ თავად აბდინოვმა მისცა.

„ორ პოზიციაზე აუცილებლად უნდა გავძლიერდეთ. განსაკუთრებით კარგი გამთამაშებელი გვჭირდება, დიდებული იქნება თუ კარგ მეფარესაც ავიყვანთ. კალათბურთელებს ქართულ ბაზარზე არ ვეძებთ, ჩვენ ლეგიონერების ჩამოყვანაზე ვმუშაობთ. ერთ-ერთ ლეგიონერთან უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება. ეს არის ჯეფ როჯერსი, ამერიკელი გამთამაშებელი, რომელიც ახლა ნორვეგიაშია. ვიტყვი, რომ მას ადრეც უთამაშია საქართველოს ჩემპიონატში. ნორვეგიის ჩემპიონატში ის მეორე ბომბარდირია, მატჩში საშუალოდ 25 ქულას აგროვებს", - განაცხადა აბდინოვმა. მაშ ასე, როჯერსთან მოლაპარაკება მიმდინარეობს. ნტდ-ს ასეთი დონის კალათბურთელის ჩამოყვანა ქართული მასშტაბით ძალიან ძვირი უნდა დაუჯდეს. თუ რომელი ორი ლეგიონერით გაძლიერდება კანდელაკის გუნდი იანვრისთვის გაირკვევა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# ახლა თურმე ჩემი კრივის სკოლის ხელმძღვანელადაც აღარ ვვარგივარ

*ოცდაათი წლის წინ როდესაც გორის კრივის სკოლაში ერთ-ერთ მწვრთნელად ოცი წლის ავთანდილ შოშიაშვილი იწყებდა მუშაობას, ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ ქალაქში პოპულარობით კრივს ჭიდაობას გაუტოლებდა. თანაც, ისეთ ტიტულოვან სპორტსმენებს გაზრდიდა, თავისი ქალაქსა და ქვეყანაში კი არა, მთელ მსოფლიოში რომ გაითქვამდნენ სახელს. დასაწყისისათვის უცნაური ისიც იყო, რომ ესოდენ ახალგაზრდა მწვრთნელი, როგორც სპორტსმენი, მხოლოდ სამი წლის მოსული იყო კრივში. ექვს თვეში საქართველოს ჭაბუკთა პირველობაზე შოშიაშვილის სამმა შეგირდმა კვარცხლბეკის პირველ საფეხურზე დადგომა შეძლო. ასეთ კარგ დასაწყისს გვირგვინად 1997 წელს გიორგი კანდელაკის მსოფლიოს ჩემპიონობა დაედგა.*

*ცნობილმა სპეციალისტმა, რომელიც დღეს 50 წლისა გახდა, განვლილი ცხოვრების და საკრივო მოღვაწეობის წლები სიამაყით გაიხსენა, თუმცა ბოლო ხანს, საყვარელი საქმიანობიდან მისი ერთგვარი ჩამოცილება, ბუნებრივია, ძალიან სამწუხარო ფაქტია. საუბარი, ცხადია, კრივში მისი პირველი ნაბიჯებიდან დავიწყეთ.*



**— ბატონო ავთანდილ, პირველ ყოვლისა, საინტერესოა რატომ აირჩიეთ კრივი?**

— ბავშვობაში მოჩხუბარი ბავშვი ვიყავი და კრივის შესწავლის სურვილიც მქონდა, მაგრამ სექციაში მიზეზთა გამო გვიან მოვხვდი. 11 წლისა ჩავობლდი. 17 წლისა, ანუ მაშინ, როცა ფაქტობრივად ჩამოყალიბებული მოკრივე უნდა ვყოფილიყავი, გიორგი კარელიძესთან მივედი სავარჯიშოდ. მიზეზთა გამო კი სპორტსმენის კარიერა უკვე 22 წლისამ დავასრულე. მაშინ გორს არ ჰქონდა კრივის დარბაზი. ჭიდაობით სახელგანთქმულ ქალაქში, პირველ ყოვლისა, ყველაფერი მისთვის კეთდებოდა. ჩვენ ხან კულტურისა და დასვენების პარკში ღია ცის ქვეშ, ხანაც რომელიმე სკოლის დარბაზში ვვარჯიშობდით. რამდენიმე წლის შემდეგ სპორტსკოლის შენობაში 32 კვადრატული მეტრის სასადილოს გაუქმებული ოთახი გამოგვიყვეს. პატარა რინგიც მოვაწყვეთ, მაგრამ ოთახს ორი კედელი შუშისა ჰქონდა და ორთაბრძოლებისას ისეც მომხდარა, მოკრივე დაჯახებია და ჩამტვრეულა. სპორტსმენობის პარალელურად, დაობლებულ ბიჭს ოჯახის სარჩენად სატვირთო მანქანაზე მძღოლად მუშაობა მიწევდა. 1978 წელს გორში ლესელიძის სახელობის საკავშირო ტურნირზე გამარჯვების შემდეგ (პირველთანრიგოსანი ვიყავი და სპორტის ოსტატები დავამარცხე) ადგილობრივი ხელისუფლებისგან საჩუქრად ტაქსის მართვის უფლება მივიღე (!).

**— თქვენს მწვრთნელზე გიორგი კარელიძეზე რას გვეტყოდით?**

— კლასიკური კრივი გორში მისი დანერგილია. ბატონი გიორგი კრივზე მართლაც უზომოდ შეყვარებული გახლდათ. საქმიანობა ფაქტობრივად არაფრიდან დაიწყო. ჰქონდა მხოლოდ ამოუწურავი ენთუზიაზმი და რინგის დიდი სიყვარული. შეიძლება ითქვას, დღესაც მისი ხელწერით ვმუშაობთ აქაური მწვრთნელები. მისი დამსახურებაა, რომ უკვე 20 წლისას მოსწავლეთა ერთი ჯგუფიც მომცეს. ექვსი თვის მუშაობის შემდეგ გაგრაში საქართველოს ჭაბუკთა პირველობაზე ჩემი სამი შეგირდი ჩემპიონი გახდა. ამის შემდეგ ჩემს მწვრთნელთან ერთად მეტი ენთუზიაზმით შევუდექი მუშაობას. თვალსაჩინო მიღწევა იყო 1989 წელს ჩვენი სკოლის მიერ ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე მოპოვებული 15 საპრიზო ადგილი. ცოტა ხნის შემდეგ საკავშირო სპარტაკიადაზე გუნდური ბრინჯაოს მედალი მოიგო საქართველოს ნაკრებმა. სხვათა შორის იმ გუნდში თავისი წვლილი გიორგი კანდელაკმაც შეიტანა, ეს მისი და გორის სკოლის პირველი მედალი იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ.

**— ახალ დარბაზში რომელი წლიდან საქმიანობთ?**

— ახალი დარბაზის მშენებლობა ჩვენმა წარმატებებმა ბუნებრივად დააყენა დღის წესრიგში. თავდაპირველად ადგილისთვისაც კი დიდი ბრძოლა გადაგვხდა. მერე უკვე მშენებელ კომპანიას ფული არ გადაუხადეს და საქმე შუა გზაზე მიატოვა. დანარჩენი უკვე ჩვენი და მეგობრების ხელით გაკეთდა. 1990 წლის 1 სექტემბერს დარბაზი გავხსენით.

**— უკეთესმა პირობებმა არგო თქვენს შეგირდებს?**

— რა თქმა უნდა. ახალ დარბაზს და უკეთეს პირობებს მწვრთნელების გამოცდილების ზრდაც ემატებოდა. ყველაფერს ერთად კი დიდი წარმატებები მოჰქონდა. წამოვიდა ახალი თაობა, რომელსაც თან მოჰყვა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საერთაშორისო არენაზე მიღწეული წარმატებები.

**— გამოცდილებას ალბათ სხვადასხვა შეჯიბრებაზე მივლინების დროსაც იღებდით...**

— შეიძლება ითქვას, მუდამ ძიებაში ვიყავი. არც ერთი სპეციალისტისთვის არ არის ზედმეტი მეტის ცოდნა. უცხოური გამოცდილების გორში გადმოტანა განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩემთვის. 30-მდე სახელმწიფოში ვყოფილვარ და ჩემი აზრით, რუსული საკრივო სკოლა ყველაზე უფრო დახვეწილია.

**— საერთაშორისო პრაქტიკის სიმცირეზე ადრე არაერთხელ გილაპარაკიათ...**

— საერთაშორისო პრაქტიკა გვაკლდა მწვრთნელებს და აკლდათ სპორტსმენებსაც. ხშირად ნაკრებში საკუთარ შეგირდებსაც ვერ მივყვებოდით ტურნირზე. ერთხელ, ტამპერეში მსოფლიოს ჩემპიონატზე საკუთარი ხარჯებით გავყევი გიორგი კანდელაკს. მწირი ფინანსური მდგომარეობის გამო გიორგის ოთახში, იატაკზე ვიძინებდი. სასტუმროს ადმინისტრაციამ იგუმანა ჩემი საქციელი, რამდენჯერმე შეამოწმა კიდეც გიორგის ოთახი ღამით და მე ხან კარადაში ვიმალებოდი, ხან აივანზე. ბოლოს დაიღალა ის კაცი და შეგვეშვა. ათი დღე ასე ვცხოვრობდი. საბოლოოდ ფინეთიდან ვერცხლის მედლით დავბრუნდით.

**— რასაკვირველია თავად გიორგი კანდელაკზეც უნდა ვილაპარაკოთ. ის ხომ თქვენი კარიერის და საერთოდ ქართული კრივის ყველაზე წარმატებული მოკრივეა.**

— შრომისმოყვარე შეგირდი იყო. კრივზე რომ ძალიან არ ყოფილიყო შეყვარებული, ვარიანიდან გორში სისტემატურად არ ივლიდა. მამამისი მაქსიმალურად უწყობდა ხელს, რომ რინგს არ გაუცხოებოდა. მახსენდება 1982 წელი, მამამ პირველად რომ მოიყვანა დარბაზში და კარელიძეს უთხრა: „შვილი მოგიყვანეთ და დიდი ჩემპიონი უნდა გამიზარდოთო“. მაშინ მე სამი თვის დაწყებული მქონდა მწვრთნელობა და ერთ წელიწადში მეც ჩავერთე მისი დაოსტატებაში. მთელმა ქვეყანამ ნახა როგორ აუსრულდა მამამისს ოცნება. არა ერთ მნიშვნელოვან გამარჯვებას გვირგვინად 1997 წელს მსოლფიო ჩემპიონობა დაადგა გიორგიმ. უნდა ითქვას, რომ ამ მიღწევებმა სხვები გადაფარა, თორემ მანამდე მის მიერ მოპოვებული ევროპის ჩემპიონობა (უფროსებში) და მსოფლიოს ჩემპიონობა (ახალგაზრდებში), თუ მსოფლიო თასის ფინალისტობა უკვე საკმარისი იყო ქართული კრივის კორიფეთა შორის დასამკვიდრებლად. არ დაგავიწყდეთ, რომ ეს მიღწევები ნაჩვენებია არცთუ სახარბიელო სავარჯიშო პირობებში, თავდაუზოგავი ბრძოლით და შრომით. ახლა კიდევ რა უშავთ ქართველ სპორტსმენებს. მახსენდება ერთ-ერთი სერიოზული ტურნირიდან სამშობლოში დაბრუნებისას, წინა შეჯიბრებაზე მოპოვებული მედლის გამო გიორგის ხუთი, მე კი ორი მილიონი კუპონი იქ, საზღვარგარეთ მოგვცეს და მხოლოდ გორამდე დასაბრუნებელ გზაზეც გაჭირვებით გვეყო. 1996 წელს გიორგიმ რომ ატლანტის ოლიმპიადაზე მეხუთე ადგილი დაიკავა, მადლობაც არ უთქვამთ. 1994 წელს ტაილანდში მსოფლიო თასზე წარმატებული გამოსვლის მერე ამ ქვეყნის დედოფალმა და უფლისწულმა მიგვიღეს დიდი პატივით, შინ მობრუნებულებს კი ხეირიანად არც მოგვილოცეს. ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთ წარმომადგენელს მეორე დღეს სალამიც რომ დაეზარა, იუმორით ვუთხარი: „შე კაი კაცო, მოდი, იმიტომ მაინც ჩამომართვი ხელი, რომ ორი დღის წინ იგივე ტაილანდის დედოფალმა და პრინცმა გააკეთეს-მეთქი“.

**— გიორგის დარი სპორტსმენები, ცხადია, იშვიათია, მაგრამ ბოლო წლებში სხვა პერსპექტიული მოკრივეების ზრდას თუ ამჩნევთ?**

— ტალანტები მუდამ გვყავდა და ჩვენი მუშაობის ბოლო წლებშიც იყვნენ. დიდი იმედი გვქონდა ვახტანგ წინამძღვრიშვილის, რომელმაც 2006 წელს 16 წლისამ სამ სხვადასხვა ასაკში შეძლო გამხდარიყო საქართველოს ჩემპიონი. ასეთი რამ იშვიათად ხდება. სამწუხაროა, რომ ვახტანგი ისეთი წარმატებით ველარ აგრძელებს სპორტულ კარიერას, როგორც დაიწყო.

**— ამ გადასახედიდან კიდევ რომელი შეგირდის დაკარგულ ტალანტზე გწყდებათ გული?**

— მთლად დაკარგული არა, მაგრამ ძალიან ცუდია, რომ სათანადოდ ვერ წარმოაჩინეს საკუთარი შესაძლებლობები ძმებმა ავაზნელებმა, ლადო ცაციაშვილმა, ბექა ლობჟანიძემ... დარწმუნებული ვარ, მათ ბევრად მეტის მიღწევა შეეძლოთ.

**— შარშან რვა თვის განმავლობაში თქვენ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ამპლუაშიც მოგვევლინეთ. როგორ შეაფასებთ ამ პოსტზე გაწეულ მუშაობას?**

— მე თუ მკითხავთ ეს სხვების შესაფასებელია, პირადად მე უკმაყოფილო არ ვარ. იმ პერიოდში „ა“ კატეგორიის, თუ სხვა ტურნირებზე საქართველოს მოვუტანე 24 სხვადასხვა სინჯის მედალი. დამოუკიდებელი ქართული კრივის ისტორიაში სხვა მწვრთნელს ასეთი შედეგი არ ჰქონია! განა ცოტაა ეს იმისათვის რომ კაცი სათანადოდ დააფასონ? ამ დროს კი „ალმოაჩინეს“, რომ არათუ სხვაგან, თურმე ჩემივე სკოლის ხელმძვანელადაც აღარ ვვარგივარ! გორის კრივის სკოლის აღზრდილებმა 1990 წლიდან 2008 წლამდე ყველა რანგის შეჯიბრებაზე ადგილობრივ თუ საერთაშორისო მასშტაბით მოიპოვეს 598 პირველი, 289 მეორე და 188 მესამე ადგილი. ჩვენ ეს ყველაფერი ჩვენს ქვეყანას მოვუტანეთ. ვფიქრობ, ამაში მეც მიმიძღვის მცირე წვლილი მაინც.

**ვასილ ბალახაძე**

გორიდან

ჭადრაკი

# ერთპიროვნული კვარტეტად იქცა...

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშებაში მეხუთე ტურის შემდეგ ერთპიროვნულად გალიდერდა **გაიოზ ნიგალიძე**. გაიოზი, ბოლო წლებში სტაბილურად თამაშობს და მისი ამგვარი წარმატება მოულოდნელი არ ყოფილა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ მონაწილეთა შესაძლებლობებს და ტურნირის სიძლიერეს, მსგავსი შედეგიანობა აღფრთოვანებასაც იწვევს. ცხადია, ასე თავისუფლად წინსვლას ნიგალიძეს იოლად არავინ დაანებებდა, მით უფრო, რომ მეექვსე ტურში წილისყრამ ფავორიტი **კონსტანტინე შანავა** შეახვედრა. შანავამ სტარტზე განცდილი მოულოდნელი მარცხის შემდეგ ზედიზედ იმარჯვა, სატურნირო მდგომარეობაც გამოაკეთა და ამბიციაც დაიბრუნა. თეთრი ფერით, ნოდებით და რეიტინგით უფრო მაღალ საფეხურზე მდგარი შანავა თამაშობდა და ცხადია, ეს ფაქტორი დამატებით უპირატესობას აძლევდა წალენჯიხელ დიდოსტატს. ტურის უმთავრესი ჯახი საინტერესო გამოვიდა და ლიდერის პირველი მარცხით დასრულდა: კონსტანტინემ შესანიშნავად გამოიყენა შანსები, რითაც ტურნირს ინტრიგა გაუმძაფრა. მომდევნო დაფებზეც უშელავათო ბრძოლები ვიხილეთ და ძირითადად, შედეგიანად დასრულდა: **დავით მალალაშვილმა ლევან ბრეგაძე** დაამარცხა და 5 ქულა გაუხდა; **დავით ბენიძემ** კი შავებით შეძლო **შოთა აზალაძისთვის** ქულის ართმევა და მანაც ხუთ ქულას მოუყარა თავი. ამათი დაწევა სხვებმა ვერ შეძლეს და მეშვიდე ტურისთვის ცხრილის სათავეში ოთხი მოჭადრაკე მივიღეთ. ლიდერებს ნახევარქულიანი ჩამორჩენით კვალში ასევე ოთხეული უდგას, რომელთა შორის ორი ქალბატონია - **ინგა ჭარხალაშვილი** და **თამარ წერეთელი**. სუსტი სქესის წარმომადგენლებზე უნდა ითქვას, რომ ძლიერად თამაშობენ და რამდენიმეს სერიოზული შანსი დღემდე შერჩენია. ინგამ გუშინ შავებით გაიყო ქულა **ივერი ჭილლაძესთან** და დღეს ასევე შავებით უნდა დაუხვდეს დიდოსტატ **გიორგი ბალათუროვს**; თამარმა კი მეექვსე ტურში შავებით მოუგო **ჯამბულ მახარაძეს** და დღეს თეთრებით შეუტევს ივერი ჭილლაძეს. ქულათა სოლიდური მარაგი აქვთ **სოფიკო გურამიშვილს, ქეთი ნანალაშვილს, მარიამ დანელიას** და **მაკა ფურცელაძეს** – ამათ ოთხი ქულა მოუგროვებიათ. ისე გამოვიდა, რომ მეშვიდე ტურში გოგონები ერთმანეთს ასცდნენ და კვლავ ვაჟების გზიდან ჩამოცილება მოუწევთ. საინტერესოა, ვინ როგორ მოახერხებს ამ პრობლემის დაძლევას, მაგრამ დარწმუნებულნი შეიძლება ვიყოთ იმაში, რომ ლამაზმანები ბოლო ტურამდე იბრძოლებენ უმაღლეს ლიგაში გამსვლელი ადგილებისთვის.

კიდევ გავიმეორებთ, რომ მიმდინარე ტურნირი ძალიან ძლიერია ჩვენი ქვეყნის მასშტაბისთვის. ამიტომ აქ ფავორიტობა ბევრს შეიძლება არაფერს ნიშნავდეს – ამბიციურ მოჭადრაკეთა მთელი რიგი მოიძებნება, ვისაც შეუძლია ტახტიდან ჩამოიყვანონ ძლიერები. აქედან გამომდინარე, **დავით ჯოჯუასა** და **ლუკა პაიჭაძის**, რომლებიც რეიტინგფავორიტები არიან, შედარებით ნაკლები ქულათა მარაგი, არცთუ მოულოდნელია.

მეშვიდე ტურში ვერც ერთ შეხვედრას გამოვარჩევთ – მინიმუმ ათ დაფაზე თანაბარი დაძაბულობის შეხვედრები გაიმართება. თუ გამორჩევა იქნა, ალბათ უფრო თამაშის ხასიათის, პარტიის სილამაზისა თუ დრამატულად წარმართვის გამო თუ გამოვარჩევთ... დამერწმუნეთ, ასეთ დაპირისპირებას უთუოდ ვიხილავთ დღეს თბილისის ჭადრაკის სასახლეში. ეს მინიშნება დაინტერესებული მკითხველისთვის გავაკეთეთ – ეგებ, ისურვოს მავანმა და საინტერესო დაპირისპირების სანახავად მობრძანდეს, თორემ ჭადრაკის ჭეშმარიტი გურმანისთვის სად გადის „ფრონტის“ ხაზი, შესანიშნავადაა ცნობილი...

**ზვიად შათირიშვილი**

# მილანური მეექვსე და მეცხრე...

მილანში დასრულდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ორი ქართველი საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობდა. იტალიას ამჯერად **მალხაზ სულაშვილი** და **ბაჩანა მორჩიაშვილი** სტუმრობდნენ. მალხაზი განთესვით მეხუთე იყო, ბაჩანა კი – მეთერთმეტე. ცხრა ტურად მიმდინარე შეჯიბრებაში გამარჯვება სომეხმა დიდოსტატმა, **სერგეი მოვსესიანმა** მოიპოვა, ვინაც 7,5 ქულით უპირობო ლიდერად დაასრულა ასპარეზობა. ქართველებმა განთესვის შესაბამისად ითამაშეს: სულაშვილმა 6 ქულით მეექვსე ადგილი დაიკავა, მორჩიაშვილმა კი 5,5 ქულა დააგროვა, რაც მეცხრე ადგილისთვის გახდა საკმარისი. ჩვენებურთა მთავარი მიზანი რეიტინგის მომატება და დიდოსტატის ბალის მოპოვებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჯერად ამ მხრივ დიდი აქტივი ვერ მოიპოვეს, თუმცა არც ხელმოცარულნი დარჩნენ... იმედია, სასურველ შედეგებს უახლოეს ტურნირებზე მიიღებენ.

**ზვიად შათირიშვილი**

კარატე

# მსოფლიოს კარატეს ლეგენდა თბილისში და კავკასიის თასი



საქართველოს კიდევ ერთხელ ეწვია მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის შეფ-ინსტრუქტორი, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, მერვე დანის მფლობელი, თანამედროვე კარატეს ლეგენდა და ოცდამეერთე საუკუნის ლიდერი სპორტის ამ სახეობაში, სენსეი **ჰიტოში კასუია.** სტუმარმა15, 16, 17 დეკემბერს საერთაშორისო სემინარები და ატესტაციები გამართა თბილისში, რომელსაც აზერბაიჯანის და სომხეთის კარატეს ხელმძღვანელები და მაღალი რანგის ოსტატებიც ესწრებოდნენ.

„წლევანდელმა წელიწადმა საქართველოს კარატესთვის საკმაოდ წარმატებულად ჩაიარა და მინდა, სიამაყით აღვნიშნო, რომ თქვენს ქვეყანაში კარატე ასეთი პოპულარული და წარმატებულია, რაც თავის მხრიდან სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის, ბატონ **დავით ნამგალაურის** და კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის, სენსეი **კახა ბასილიას** დიდი დამსახურებაა. როგორც წინა წლებში, წლეულსაც, ქართველი კარატისტები საუკეთესო ფორმაში იყვნენ და ეს სემინარებზე და გამოცდაზეც დაამტკიცეს. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი სპორტსმენები ტრადიციულ საერთაშორისო ჩემპიონატზე — "კავკასია 2008" ისევ ისახელებენ თავს და მსოფლიოში ერთ-ერთი პოპულარული თასი, რომელიც მხოლოდ საქართველოში თამაშდება და მსოფლიოს კარატეს კალენდარში ოფიციალურადაა მითითებული, ისევ თბილისში დარჩება", — განაცხადა გუშინ „სპორტ-კაფეში“ გამართულ პრესკონფერენციაზე ჰიტოში კასუიამ.

კახა ბასილიამ, პრესკონფერენციაზე განაცხადა: „ასეთი მაღალი საერთაშორისო დონის სემინარებისა და ატესტაციების გამართვისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სპორტის დეპარტამენტს, ბატონ დავით ნამგალაურს. ერთობლივად ქართული კარატეს განვითარებისთვის არა ერთი ღონისძიება გვაქვს გამართული და შედეგები ყოველწლიურად მაღლდება. გვინდა, ტრადიციას არ ვუღალატოთ და კავკასიის საერთაშორისო თასი კვლავ ჩვენთან დარჩეს. 21 დეკემბერს თასისთვის ბრძოლაში ჩაებმებიან საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთის, სომხეთის, უკრაინის ნაკრები გუნდები, შესაძლოა, რუსეთის წარმომადგენლობაც გვესტუმროს, რომლებსაც თასის მოგების თეორიული შანსიც არ გააჩნიათ, რაც არა ერთხელ დავამტკიცეთ მსოფლიო ჩემპიონატებზე. ჩვენი ნაკრების იმედი ამჯერადაც ნამდვილად მაქვს — თასს არ დავთმობთ და გულშემატკივრებს კიდევ ერთხელ გავახარებთ“.

**ნუგზარ ქიაბერაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი

# ფედერაციამ რაფა და ელენა აირჩია

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) ესპანელი **რაფაელ ნადალი** და სერბი **ელენა იანკოვიჩი** 2008 წლის საუკეთესო ჩოგბურთელებად დაასახელა. შეგახსენებთ, რომ ნადალმა და იანკოვიჩმა წლევანდელი სეზონი ATP-ისა და WTA-ის რეიტინგებში პირველი ჩოგანის რანგში დაასრულეს.

არადა, სეზონის პირველი ნომრები ყოველთვის არ ხდებიან ITF-ის მსოფლიოს ჩემპიონები. ასე მაგალითად, 2004 წელს ფედერაციამ თავის რჩეულად რუსი **ანასტასია მისკინა** დაასახელა, იმ დროს, როცა WTA-ის რეიტინგში პირველ-მეორე ადგილებზე ამერიკელი **ლინდსი დავენპორტი** და ფრანგი **ამელი მორესმო** იყვნენ.

წელს, იანკოვიჩს „დიდი სლემის“ არც ერთი ტურნირი არ მოუგია, მიუხედავად ამისა, ITF-მა შესაძლებლად ჩათვალა ელენას თავის რჩეულად გამოცხადება. როგორც ჩანს, ფედერაციის მესვეურებმა გაითვალისწინეს სერბის სტაბილური შედეგები და ის, რომ მან ტოპ-ხუთეულის წევრთა შორის ყველაზე მეტ - 22 ტურნირში მიიღო მონაწილეობა. 23 წლის იანკოვიჩმა 2008 წელს ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის 4 ტურნირი მოიგო.

რაც შეეხება რაფაელ ნადალს, მის ლიდერობაში ეჭვი არავის შეპარვია. ესპანელმა ამ სეზონში დაამხო ATP-ის ტურში შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** ბატონობა. რაფამ მოიგო როლან გაროსი და უიმბლდონი, ოქროს მედალი მოიპოვა პეკინის ოლიმპიადაზე და რეიტინგში პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

ITF-მა სხვა ნომინაციებშიც გამოავლინა გამარჯვებული. მამაკაცებს შორის საუკეთესო დუეტად კანადელი **დანიელ ნესტორისა** და სერბი **ნენად ზიმონჯიჩის** წყვილი დასახელდა. ქალებს შორის ანალოგიური პრიზი ზიმბაბველმა **კარა ბლეკმა** და ამერიკელმა **ლიზელ ჰუბერმა** მოიპოვეს.



საუკეთესო იუნიორი ჩოგბურთელები გახდნენ - ბიჭებში ტაივანელი **იან ცუნხუა** და გოგონებში - ტაილანდელი **ნოპავან ლეტჩევაკანი**.

კრივი

# პაკიაო და ჰატონი გაზაფხულზე იჩხუბებენ

ბრიტანელი **დევიდ ჰეისა და ვიტალი კლიჩკოს** მოსალოდნელი დაპირისპირების გარდა, დღეს კრივის სამყაროში კიდევ ერთი აქტუალური თემაა **ოსკარ დე ლა ჰოიას** მძლეველის **მენი პაკიაოს** სავარაუდო მეტოქის გარკვევა.

ამ საკითხში ოდნავი სიცხადე შეიტანა პაკიაოს პრომოუტერმა **ბობ არუმმა**. ეს უკანასკნელი არ გამორიცხავს, რომ მისი კლიენტის ბრძოლა ბრიტანელ **რიკი ჰატონთან**, შესაძლოა, მომავალი წლის გაზაფხულზე ლას ვეგასში გაიმართოს.

*„თუ ჰატონის ხალხთან მოლაპარაკება შევძელით, ბრძოლა 2009 წლის 2 მაისს ლას ვეგასში შედგება. მენის არ ეშინია ბრიტანეთში ჩასვლა და შეხვედრის „უემბლიზე“ გამართვა, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ შემთხვევაში ბრძოლის დაწყება ადრე დილით მოგვიწევს, რათა ის პირდაპირ ეთერში ამერიკის ტელევიზიითაც გადაიცეს, რომელიც დიდ ფულს იხდის ამ ბრძოლისთვის. გარდა ამისა, ამ პერიოდში ლონდონში დიდია წვიმის ალბათობა. ასე რომ, ღია არენა ხელს არ გვაძლევს“*, - აცხადებს არუმი.

ცნობილმა პრომოუტერმა ისიც განაცხადა, რომ ჰატონთან ბრძოლის შემდეგ, ფილიპინელის მორიგი მეტოქე, შესაძლოა, **ფლოიდ მეივეზერ-უმცროსი** იყოს, თუ, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი განაახლებს კარიერას.

*„პაკიაოსთვის უკეთესი იქნება, თუ ჰატონთან შეხვედრის შემდეგ რინგზე ფლოიდს გამოიწვევს. მეივეზერი ძალიან სწრაფი მოკრივეა, მაგრამ მას გაუჭირდება მენის არასტანდარტული სტილისთვის ალღოს აღება“*, - ამბობს პაკმენის პრომოუტერი.

პაკიაოსთან ბრძოლაზე უარს არც რიკი ჰატონი ამბობს და ფილიპინელი მოკრივის მსგავსად, ფლოიდ მეივეზერთან მატჩ-რევანშიც არ ავიწყდება, რომელთანაც გასული წლის დეკემბერში დათმო ორთაბრძოლა. ამის შესახებ მოკრივის ადვოკატმა **გარეტ უილიამსმა** განაცხადა.



# არგენტინას ვასკესი გაწვრთნის, ესპანეთს - კოსტა

დევისის თასის წლევანდელი გათამაშების ფინალისტებს - არგენტინისა და ესპანეთის ნაკრებებს ახალი კაპიტნები ჰყავთ.

მომავალი სეზონიდან არგენტინას **მოდესტო ვასკესი** გაწვრთნის, ხოლო მისი თანაშემწე **რიკარდო რივერა** იქნება.

59 წლის ვასკესმა არგენტინის ნაკრების კაპიტნის პოსტზე **ალბერტო მანჩინი** შეცვალა, რომელმაც ესპანეთთან წაგებული ფინალის შემდეგ დატოვა თანამდებობა.

*„ჩვენ ორ პროფესიონალზე გავაკეთეთ არჩევანი. მათ ზურგს უმაგრებს ხანგრძლივი კარიერა და უდიდესი გამოცდილება*, - განაცხადა არგენტინის საჩოგბურთო ასოციაციის პრეზიდენტმა **ენრიკე მორეამ**. - *ჩემთვის დიდი პატივია ვასკესისა და რივერას წარდგენა. ასოციაციამ ამ ორი სპეციალისტის ლიდერის თვისებებზე გააკეთა აქცენტი“*.

თავის დროზე, ვასკესს ორჯერ (1968, 1970) უთამაშია დევისის თასზე არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში, ხოლო ქვეყნის საჩოგბურთო ასოციაციაში ჩოგბურთის პოპულარიზაციის სამსახურს ედგა სათავეში.

■ ■ ■

ახალი კაპიტანი ჰყავს დევისის თასის მოქმედ ჩემპიონს ესპანეთის ნაკრებს. ამ პოსტზე 33 წლის **ალბერტ კოსტას** კანდიდატურა დაამტკიცეს, რომელმაც ეროვნული გუნდი **ემილიო სანჩესისგან** ჩაიბარა.

ალბერტ კოსტას ATP-ის ტურში ბრწყინვალე კარიერა ჰქონდა. მას ჯამში 12 ტურნირი აქვს მოგებული, მათ შორის საფრანგეთის ღია პირველობა.

# დავენპორტი მეორე შვილის მოლოდინშია

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ ცოტა ხნი წინ ამერიკელმა ვეტერანმა **ლინდსი დავენპორტმა** კარიერის გაგრძელება და ავსტრალიის ღია პირველობაზე გამოსვლა გადაწყვიტა. მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ამერიკელის გეგმებს ასრულება არ უწერია.

დავენპორტს საპატიო მიზეზი აქვს - ის მეორე შვილზეა ფეხმძიმედ. ლინდსიმ პირველი ვაჟი - **ჯაგერი** 2007 წლის ივნისში გააჩინა და ამ მიზეზით დროებით ჩამოშორდა აქტიურ სპორტს.

ლინდსი პროფესიულ ტურში 2007 წლის სექტემბერში დაბრუნდა და იქედან მოყოლებული, დაბალი კატეგორიის 4 ტურნირის მოგება შეძლო. შარშან, ამერიკელი ტრავმებმა გააწვალეს და დავენპორტს ბევრი მნიშვნელოვანი ტურნირის გამოტოვებამ მოუწია.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, დაბრუნდება თუ არა ის ხელმეორედ ჩოგბურთში.





# ანენი წასვლას არ ნანობს

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ჟუსტინ ანენმა** ბელგიაში გამართულ Sports Gala-ს პრესტიჟული პრიზების გადაცემის ცერემონიაზე განსაკუთრებული სპორტული მიღწევებისთვის სპეციალური ჯილდო მიიღო. ლეგენდარულ სპორტსმენს ვიდეომილოცვები გაუგზავნეს ამერიკელმა **პიტ სამპრასმა** და შვედმა **სტეფან ედბერგმა**.

ბელგიელმა ჩოგბურთელმა გამოაცხადა, რომ არ ნანობს სპორტიდან წასვლის შესახებ წელს მიღებულ გადაწყვეტილებას.

*„გული არაფერზე მწყდება. რატომ უნდა ვიყო უკმაყოფილო ცხოვრებაზე, რომელმაც ამდენი რამ მომცა. საკუთარი თავის შესახებ ბევრი რამ შევიტყვე. დიდი სიბრძნეა საჭირო იმისთვის, რომ დროულად გაჩერდე და შემდეგ ისევ გააგრძელო წინსვლა. ჩოგბურთისგან მხოლოდ საუკეთესო მოგონებები შემომრჩა“*, - მოჰყავს ბელგიელის სიტყვები WTA-ის ოფიციალურ ვებგვერდს.

# ლენოქს ლუისი რინგზე ბრუნდება

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი **ლენოქს ლუისი** რინგზე დაბრუნებას აპირებს. აქ საუბარი არ არის ოფიციალური ბრძოლის გამართვაზე. საქმე ისაა, რომ ლუისმა თავის თანამემამულე **დევიდ ჰეის ვიტალი კლიჩკოსთან** ბრძოლისთვის მოსამზადებლად სპარინგპარტნიორობა შესთავაზა.

ჰეის მენეჯერის **ადამ ბუტის** თქმით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ მისი კლიენტი გაისად ივნისში WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ ვიტალი კლიჩკოს შეხვდება და სავარაუდოდ, ჰეის ამ ბრძოლისთვის სწორედ ლენოქს ლუისი მოამზადებს.

*„როგორც კი ლენოქსმა გაიგო, რომ ჰეისა და ვიტალი კლიჩკოს შორის ბრძოლის გამართვაზე ზეპირი შეთანხმება შედგა, მან დევიდს დახმარება შესთავაზა. ლუისი გერმანიაში იმყოფებოდა და ვლადიმერ კლიჩკოსა და ჰასიმ რაჰმანის ბრძოლას ერთ-ერთი ტელევიზიისთვის კომენტარს უკეთებდა. როგორც ჩანს, დევიდი მასში გარკვეულ სიმპათიებს იწვევს და უნდა მაქსიმალურად დაეხმაროს მას ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში“*, - ამბობს ბუტი.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, სად გაიმართება ვიტალი კლიჩკოსა და დევიდ ჰეის შეხვედრა. არც ის არის გარკვეული, მისცემს თუ არა WBC უკრაინელ მოკრივეს ბრიტანელთან ბრძოლის უფლებას. საქმე ისაა, რომ ეს ორგანიზაცია უფროს კლიჩკოს აუცილებელ პრეტენდენტთან, კუბელ **ხუან კარლოს გომესთან** ჩხუბს ავალდებულებს, ვიტალის კი არ სურს ამ მოკრივესთან შეხვედრა.

უკრაინელის მენეჯერის, გერმანელი **ბერნდ ბენტეს** სიტყვებით, უფროსი კლიჩკო მზად არის დათმოს WBC-ის ტიტული ჰეისთან ბრძოლის სანაცვლოდ. *„აბსოლუტურად დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ამ ბრძოლას მთელი ბრიტანეთი და გერმანია მოუთმენლად ელოდება. მომავალი დაპირისპირება მთელს მსოფლიოში კარგად გაიყიდება. ეს არის მოვლენა, რომელიც დღეს სუპერმძიმე წონაში ყველაზე დიდ ინტერესს გამოიწვევს. ეს დაპირისპირება საჩემპიონო ტიტულზე მნიშვნელოვანია და თუ WBC ამას ვერ აცნობიერებს, მაშინ ჩვენ უპრობლემოდ დავთმობთ ამ ორგანიზაციის საჩემპიონო ქამარს“*, - აცხადებს ბენტე.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ამბები

## ქულები მსოფლიოს ჩემპიონატზეც დარიგდება

2009 წლიდან მოყოლებული, მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის ჩოგბურთელებს სარეიტინგო ქულები დაერიცხებათ - ამის შესახებ ტურნირის პრესსამსახური იუწყება. როგორც ცნობილია, ATP-ის გუნდური ჩემპიონატის ტრადიციული მასპინძელი გერმანიის ქალაქი დიუსელდორფია.

ტურნირის დირექტორის **დიტლოფ ფონ არნიმის** აზრით, ამიერიდან პროფესიული ტურის წამყვანი მოთამაშეები უარს აღარ იტყვიან გუნდურ ტურნირში მონაწილეობაზე და პირველობა უფრო წარმომადგენლობითი გახდება.

გაისად, ჩემპიონატის ჩატარება 17-23 მაისს არის ნავარაუდები და იქ გამარჯვებული 250 სარეიტინგო ქულას მიიღებს.

## კანეპი ესტონეთის საუკეთესო სპორტსმენია

ესტონეთის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ სათანადოდ დააფასა ამ სეზონში **კაია კანეპის** წარმატებული გამოსვლა და ჩოგბურთელი ესტონეთის წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა.

კაპენიმ 2008 წლის სეზონი 75-ე ჩოგანის რანგში დაიწყო, წელი კი WTA-ის რეიტინგში 27-ე პოზიციაზე დაასრულა. ესტონელი მოთამაშის მთავარი წარმატება როლან გაროსის მეოთხედფინალში გასვლა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფორმულა 1

# მონტეძემოლომ ბერნის შეუტია

ბრიტანულმა გაზეთმა „თაიმსმა“ „ფერარის“ პრეზიდენტის **ლუკა დე მონტეძემოლოს** ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც იტალიელი ფუნქციონერი ფორმულა 1-ის ფაქტობრივ მფლობელ **ბერნი ექლსტოუნს** აკრიტიკებს.

*„ბერნი ამბობს, რომ თავის პოსტს არასოდეს დატოვებს, მაგრამ მაინც მოუწევს გაჩერება. უნდა გავაანალიზოთ ჩემპიონატში არსებული სიტუაცია, დავგეგმოთ მომავალი და გავარკვიოთ, როგორი იქნება ფორმულა 2012 წლის შემდეგ. ექლსტოუნთან ბევრი საკითხია მოსაგვარებელი, რაც ტრასებს, მაყურებლებს, ტელეტრანსლიაციებს და რბოლების გამართვის დროს შეეხება.*

*როგორ ფიქრობთ, ნორმალურია ის სიტუაცია, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში არც ერთი გრანპრი აღარ იმართება?! არც ის არის მისაღები, როცა კანადის გრანპრის ორგანიზატორები გაზეთებიდან იგებენ თავიანთი ეტაპის კალენდრიდან ამოღებას, როცა სპონსორები შედარებით ღარიბ გუნდებს ტოვებენ და როცა ჩვენთან არ ათანხმებენ გრანპრის ჩატარების დროს. გარდა ამისა, მსოფლიოში არ არსებობს პროფესიული სპორტის არც ერთი სახეობა, რომლის მონაწილეებიც შემოსავლის 50 პროცენტზე ნაკლებს იღებენ. ეს საკითხიც მეტ გამჭვირვალობას მოითხოვს - გვინდა ვიცოდეთ, სად მიდის ჩემპიონატიდან შემოსული თანხები“,* - ამბობს „ფერარის“ პრეზიდენტი.



ცნობილია, რომ ექლსტოუნსა და მონტეძემოლოს შორის უთანხმოებას იწვევს ფორმულა 1-ის კალენდარში ქუჩის რბოლების რიცხვის გაზრდა. „ფერარის“ ბოსმა უკვე გააკრიტიკა ვალენსიასა და სინგაპურის ეტაპები: *„გასაგებია, რომ მონაკოს გრანპრის ფორმულა 1-ში დიდი ისტორია აქვს, მაგრამ ერთ ჩემპიონატში სამი-ოთხი მონაკო - ეს უკვე მეტისმეტია“*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

**მინესოტა-კლივლენდი 70:93**
21:24, 15:20, 20:19, 14:30
მ: ე. ჯეფერსონი (20+11 მოხსნა), მ. მილერი (14+7 მოხსნა), კ. სმიტი (12), ოლი (12).
კ: ლ. ჯეიმსი (32+6 მოხსნა), დ. უესტი (21+5 პასი), ვარეჟაო (13+11 მოხსნა), შჩერბიაკი (10).

**ფილადელფია-მილუოკი 93:88**
24:26, 22:27, 21:20, 26:15
ფ: ლ. უილიამსი (25), ა. მილერი (19), სპეიტსი (12+7 მოხსნა), ტ. იანგი (10), რ. ევანსი (2+9 მოხსნა).
მ: ჩ. ბელი (14), რიდნური (14), მბა ა მუტე (13), ვილანუევა (11+8 მოხსნა), რ. ჯეფერსონი (11).

**ინდიანა-გ. სტეიტი 127:120**
40:29, 28:33, 27:31, 32:27
ი: გრეინჯერი (41+11 მოხსნა+6 პასი), ჯეკი (24), დენიელსი (23+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), ტერი (27+7 მოხსნა+8 პასი), ნესტეროვიჩი (12), გრეში (11), რაში (10+11 მოხსნა), ფოსტერი (6+11 მოხსნა).
გ-ს: კროუფორდი (29+9 მოხსნა), ბელინელი (21), ს. ჯექსონი (20+3 ჩაჭრა), აზუბუიკე (18+9 მოხსნა), ბიედრინსი (16+10 მოხსნა).

**ჩიკაგო-კლიპერსი 115:109 (ო)**
26:26, 30:21, 21:33, 29:26, 9:3
ჩ: ნოჩიონი (22), ბ. გორდონი (22), გუდენი (18+11 მოხსნა), დ. როუზი (16+7 პასი), ჰიუზი (12).
კ: ზ. რენდოლფი (30+8 მოხსნა+6 პასი), ტორნტონი (20), კემბი (19+27 მოხსნა+4 დაფარება), ე. გორდონი (17), ბ. დევისი (16+12 პასი).

**ატლანტა-ბოსტონი 85:88**
21:22, 22:20, 19:17, 23:29
ა: ჯონსონი (20+3 ჩაჭრა), მ. უილიამსი (16+8 მოხსნა), სმიტი (14+7 მოხსნა), ბიბი (14), ჰორფორდი (8+11 მოხსნა).
ბ: გარნეტი (18+8 მოხსნა), პირსი (18+7 მოხსნა), რ. ალენი (16), რონდო (15+7 პასი+4 ჩაჭრა), პერკინსი (8+10 მოხსნა+4 დაფარება).

**დეტროიტი-ვაშინგტონი 88:74**
23:21, 21:13, 17:24, 27:16
დ: აივერსონი (28), სტაკი (18+11 პასი), პრინსი (14+10 მოხსნა), ჰემილტონი (12), მაკდაისი (10+9 მოხსნა+3 დაფარება).
ვ: მ. ჯეიმსი (16), ჯეიმისონი (14+11 მოხსნა), ბლეტჩი (12+11 მოხსნა).

**ტორონტო-დალასი 86:96**
33:21, 16:23, 14:25, 23:27
ტ: ჯ. ო'ნილი (19+7 მოხსნა+3 დაფარება), მუნი (13+9 მოხსნა), ბოში (12+9 მოხსნა), კალდერონი (11+10 პასი).
დ: ნოვიცკი (27+10 მოხსნა), ტერი (27+7 მოხსნა+8 პასი), ჰოვარდი (20).

**ნ. ორლეანი-ს. ანტონიო 90:83**
14:15, 23:27, 26:28, 27:13
ნ-ო: დ. უესტი (21+9 მოხსნა), პოლი (19+12 პასი+3 ჩაჭრა), რ. ბატლერი (13), ჩენდლერი (10+11 მოხსნა+4 დაფარება).
ს-ა: ტ. პარკერი (20), ჯინობილი (17+9 მოხსნა), დანკანი (16+11 მოხსნა).

**ნიუ ჯერსი-იუტა 92:103**
27:7, 12:24, 30:32, 23:40
ნ-ჯ: კარტერი (32), დ. ჰარისი (21+11 პასი+4 ჩაჭრა), ბ. ლოპესი (15+7 მოხსნა).
ი: ოქური (23+9 მოხსნა), მილსეპი (18+12 მოხსნა), კორვერი (18+9 მოხსნა), დ. უილიამსი (17+11 პასი), კირილენკო (10).

## ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

### A ჯგუფი

**პსჟ-ტვენტე 4:0**

**პსჟ:** ლანდრო, არმანი, ზ. კამარა (62. შანტომი), სახო, სეარა, სესენონი (62. ოარო), კლემანი, ბურილიონი, პანკრატი (72. ჟიული), კეუმანი, ლუინდულა.

**ტვენტე:** ბოშკერი, რ. სტამი (71. ველენბერგი), ვიელარეტი, დუგლასი, ბრააფჰეიდი, ბრამა, ტიოტე, იანსენი (76. პერესი), არნაუტოვიჩი, ჰუისეგემსი, დენებოომი.

**გოლები:** 1:0 ლუინდულა (8), 2:0 სესენონი (24), 3:0 კეუმანი (84), 4:0 ლუინდულა (86)

**გაფრთხილება:** 0-3

**მაყურებელი:** 25 000

**რასინგი-მანჩესტერ სიტი 3:1**

**რასინგი:** კოლტორტი, ვალერა, გარაი, სესარ ნავასი, მარკანო, მუნიტისი, კოლსა (77. ლასენი), ლუქსენი, ოსკარ სერანო, ჩიტე, ჯონათანი (83. ხუანხო).

**სიტი:** კ. შმაიხელი, საბალეტა, რიჩარდსი, ბენ ჰაიმი, გარიდო, ჰამანი, ჟელსონ ფერნანდესი, ვასელი, ელანო (61. კომპანი), რობინიო (46. ირლანდი), ევანსი (76. კაისედო).

**გოლები:** 1:0 ჯონათანი (18), 2:0 ოსკარ სერანო (30), 3:0 ვალერა (55), 3:1 კაისედო (90)

**გაფრთხილება:** 4-5

**მაყურებელი:** 17 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ სიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 2. ტვენტე | 4 | 2 | 0 | 2 | 5-8 | 6 |
| 3. პსჟ | 4 | 1 | 2 | 1 | 7-5 | 5 |
| 4. რასინგი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 5. შალკე | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |

### B ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი-ჰერტა 4:0**

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, ტოროსიდისი, მიხ. ჟევლაკოვი, პაპადოპულოსი, დომი, გალეტი (75. პანტოსი), პაცაცოგლუ, ბელუში (84. დ. კოვაჩევიჩი), დუდუ, ჯორჯევიჩი (60. ლეტო), დიოგო.

**ჰერტა:** დრობნი, ფონ ბერგენი (69. დომოვჩისკი), ა. ფრიდრიხი, კაკა, მ. შტაინი, ნიკუ (88. ლუსიო), დარდაი, ლუშტენბერგერი, სესერო სანტოსი, რაფაელი, პანტელიჩი (75. ჩერმიტი).

**გოლები:** 1:0 დუდუ (54), 2:0 გალეტი (67-პენ), 3:0 ტოროსიდისი (86), 4:0 დიოგო (88)

**გაფრთხილება:** 3-1

**მაყურებელი:** 30 000

**ბენფიკა-მეტალისტი 0:1**

**ბენფიკა:** მორეირა, მაქსიმილიანო პერეირა, სიდნეი, მიგელ ვიქტორი, დავიდ ლუისი, ბასტოსი (56. ბალბოა), იებდა, ბინია, ურეტავისკაია, ო. კარდოსო, ნუნუ გომეში (70. დე მარია).

**მეტალისტი:** გორიანოვი, ბორდიინი, მაიდანა, ობრადოვიჩი, განჩარჩიკი, სლუსარი, ედმარი, ტრიშოვიჩი (65. რიკუნი), გეიე, ჯექსონ კოელიუ (80. კონიუშენკო), ფომინი (46. დევიჩი).

**გოლი:** 0:1 რიკუნი (85)

**გაფრთხილება:** 4-2

**მაყურებელი:** 10 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალისტი | 4 | 3 | 1 | 0 | 3-0 | 10 |
| 2. გალათასარაი | 4 | 3 | 0 | 1 | 4-1 | 9 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 4 | 2 | 0 | 2 | 9-3 | 6 |
| 4. ჰერტა | 4 | 0 | 2 | 2 | 1-6 | 2 |
| 5. ბენფიკა | 4 | 0 | 1 | 3 | 2-9 | 1 |

### C ჯგუფი

**სამპდორია-სევილია 1:0**

**სამპდორია:** კასტელაცი, კამპანიარო, გასტალდელო, ლუკინი (62. ბოტინელი), პადალინო, ჯ. დელვეკიო, სამარკო, ფრანჩესკინი, პიერი (46. ციგლერი), ბელუჩი (90+1. სტანკევიჩუსი), კასანო.

**სევილია:** პალოპი, სკილაჩი, ფასიო, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, კონკო (55. მოსკერა), მარესკა (79. რომარიკი), ხესუს ნავასი, ადრიანო (67. დიეგო კაპელი), რენატო, ლუიშ ფაბიანო.

**გოლი:** 1:0 ბოტინელი (74)

**გაფრთხილება:** 3-2

**მაყურებელი:** 15 000

**შტუტგარტი-სტანდარდი 3:0**

**შტუტგარტი:** ლემანი, ტაში, ლანიგი, მარიკა, ჰიტცლშპერგერი, ბოკა, დელპიერი, ჰილბერტი (70. ბულარუზი), ხედირა (77. პარდო), გომესი (82. კაკაუ), ტრაში.

**სტანდარდი:** არაგონი, გორო, ონიევუ, ვ. დალმა (66. კარსელა-გონსალესი), დეფური, მბოკანი (77. ნიკეზი), დე კამარგო (74. მანგალა), მულემო, სარი, ვიტცელი, იოვანოვიჩი.

**გოლები:** 1:0 ხედირა (5), 2:0 ჰილბერტი (49), 3:0 მარიკა (72)

**გაფრთხილება:** 1-0

**მაყურებელი:** 20 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტანდარტი | 4 | 3 | 0 | 1 | 5-3 | 9 |
| 2. შტუტგარტი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 7 |
| 3. სამპდორია | 4 | 2 | 1 | 1 | 4-5 | 7 |
| 4. სევილია | 4 | 2 | 0 | 2 | 5-2 | 6 |
| 5. პარტიზანი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-8 | 0 |

### D ჯგუფი

**ნიმეგენი-უდინეზე 2:0**

**ნიიგენი:** ბაბოში, დანი ფერნანდესი, ვისგერჰოფი, ზომერი, ელ-აკჩაუი, სიბუმი, შონე, ლ. დავიდსი, ნტიბაზონკიზა (46. კოლინზ ჯონი), ვან ბროკერინგი (90. ჰანსენი), ბუაუზანი.

**უდინეზე:** ბელარდი, ნეფი, კოდა, ფელიპე (22. გიოქჰან ინლერი), პასკუალე, დომიცი, ობოდო, ისლა (62. ლუკოვიჩი), მოტა (70. დ'აგოსტინო), სანჩესი, ფლორესი.

**გოლები:** 1:0 კოლინზ ჯონი (74), 2:0 ვან ბროკერინგი (78)

**გაფრთხილება:** 2-4

**მაყურებელი:** 12 500

**ტოტენჰემი-სპარტაკი 2:2**

**ტოტენჰემი:** გომეში, გიუნტერი, ზოკორა, დოუსონი, ჟილბერტო (46. ლენონი), ბენტლი, ჰადლსტოუნი, ო'ჰარა, ბეილი, მოდრიჩი, ფ. კემპბელი.

**სპარტაკი:** პლეტიკოშა, პარშივლიუკი, მალიკ ფათჰი, ჟირანეკი, კლემენტე როდრიგესი, შიშკინი (86. ბაჟენოვი), კოვალჩიუკი, რიჟკოვი (61. გრიგორიევი), მალოიანი, ძიუბა, საენკო.

**გოლები:** 0:1 ძიუბა (23), 0:2 ძიუბა (33), 1:2 მოდრიჩი (68), 2:2 ჰადლსტოუნი (74)

**გაფრთხილება:** 0-0

**მაყურებელი:** 35 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უდინეზე | 4 | 3 | 0 | 1 | 6-4 | 9 |
| 2. ტოტენჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-4 | 7 |
| 3. ნიმეგენი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| 4. სპარტაკი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| 5. დინამო | 4 | 1 | 0 | 3 | 4-9 | 3 |

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

**კლუბები**

| | |
|---|---|
| ადელაიდა-ალ აჰლი | 1:0 |
| გამბა ოსაკა-მანჩესტერ იუნ. | 3:5 |

**ურუგვაი**

| | |
|---|---|
| ბელა ვისტა-ლივერპული | 1:1 |
| სერო-პენიაროლი | 1:2 |
| ხუვენტუდი-რაპლა | 2:0 |
| მონტევიდეო-სერო ლარგო | 1:0 |

### კალათბურთი

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ჟალგირისი-პროკომი | 79:68 |
| პანიონიოსი-ეფესი | 64:78 |
| ალბა-ტაუგრესი | 68:73 |
| ლე მანი-მაკაბი | 73:87 |
| უნიკახა-აველინო | 72:68 |
| რომა-ოლიმპია | 74:69 (ო) |

**ევროჩელენჯერი**

| | |
|---|---|
| შაულიაი-აელ | 77:75 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| კიოლნი-ბრაუნშვაიგი | 79:73 |

### ჰოკეი

**ევროტური**

| | |
|---|---|
| რუსეთი-ფინეთი | 4:1 |
| შვედეთი-ჩეხეთი | 2:6 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ბელარუსი-ლატვია | 2:1 |
| უკრაინა-დანია | 1:0 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ინგოლშტადტი-კრეფელდი | 2:2 |

## TV სპორტი

**19 დეკემბერი. პარასკევი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**08:25** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჰალი.
**10:10** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**11:10** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვილიარეალი.
**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** უიქ ენდის მატჩების ანონსი.
**13:25** 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**14:55** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის წილისყრა. შვეიცარია (LIVE).
**15:30** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**16:30** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:50** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მარსელი.
**18:40** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ვესტ ჰემი.
**20:30** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:55** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის წილისყრა. შვეიცარია.
**21:30** საფეხბურთო კლუბი.
**22:25** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**22:55** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**23:25** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**23:40** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი.
**01:25** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**01:55** საფეხბურთო კლუბი.
**02:45** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ნიუკასლი.
**04:35** 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**06:10** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**06:45** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბეტისი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:10** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. პანათინაიკოსი-ბარსელონა.
**10:00** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**10:05** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
**10:35** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**11:00** ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. მილანი-ვოლფსბურგი.
**11:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**13:15** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ბოლონია-ტორინო.
**15:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის წილისყრა. შვეიცარია (LIVE).
**16:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალის წილისყრა. შვეიცარია (LIVE).
**16:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:30** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**17:35** მინი-ფეხბურთი.
**17:50** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
**19:30** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნაიტედი.
**21:20** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**21:30** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
**22:00** სპორტკლუბი.
**23:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**01:20** პროფესიული კრივი. საუკეთესო ბრძოლები.
**02:40** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**02:45** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ნიუკასლი.
**04:30** ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. სენტ ეტიენი-ვალენსია.
**06:15** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
**08:00** ჰოკეი.

**EUROSPORT**

**11:30** ციგაობა. მსოფლიოს თასი. ვინტერბერგი. გერმანია.
**12:00** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ინდივიდუალური რბოლა. კაცები. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
**13:00** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ინდივიდუალური რბოლა. ქალები. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
**13:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კომბინაცია (სწრაფდაშვება). ქალები. სენტ მორიტცი. შვეიცარია (LIVE).
**15:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის წილისყრა. შვეიცარია (LIVE).
**15:30** ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. სამპდორია-სევილია.
**16:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალის წილისყრა. შვეიცარია (LIVE).
**16:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კომბინაცია (სლალომი). ქალები. სენტ მორიტცი. შვეიცარია (LIVE).
**17:30** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. კვალიფიკაცია. ენგელბერგი. შვეიცარია (LIVE).
**18:30** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ტელფორდი (LIVE).
**21:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:30** ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. ავსტრია.
**22:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. კვალიფიკაცია. ენგელბერგი. შვეიცარია.
**23:00** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ტელფორდი (LIVE).
**02:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**02:30** ექსტრემალური სპორტი.
**03:00** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ტელფორდი.
**04:00** კატერები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰამამეტი. ტუნისი.

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**11:45** სერფინგი. აშშ.
**12:00** ახალი ამბები.
**12:45** სერფინგი. აშშ.
**13:00** ექსტრემალური სპორტი.
**14:00** ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური.
**15:00** ახალი ამბები.
**15:15** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სუპერგიგანტი. კაცები. ვალ გარდენა. იტალია (LIVE).
**16:45** ახალი ამბები.
**17:30** კარომი. მსოფლიოს სერია.
**18:30** ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური.
**19:30** ახალი ამბები.
**20:00** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. XII ტური. ტულუზა-ბეიონი.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** ექსტრემალური სპორტი.
**22:00** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
**22:30** ახალი ამბები.
**22:45** სერფინგი. აშშ.
**23:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**23:30** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. XIII ტური. დაქსი-კლერმონი.
**01:15** ბრძოლა წესების გარეშე.
**03:00** ახალი ამბები.
**03:45** სერფინგი. აშშ.
**04:00** ახალი ამბები.
**04:45** სერფინგი. აშშ.
**05:00** ახალი ამბები.
**05:45** სერფინგი. აშშ.
**06:00** ახალი ამბები.

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**მინესოტა-კალგარი 2:3 (ო)**
0:0, 1:2, 1:0, 0:1
**გოლები:** 0:1 ლენგკოუ-9 (ლუნდმარკი-2), 1:1 ბრუნეტი-10 (გაბორიკი-1, მ. კოივუ-21), 1:2 კონროი-5 (ვამალერი-15), 2:2 გაბორიკი-2 (ბრუნეტი-10), 2:3 ბერტუცი-8 (ლენგკოუ-14, რეგერი-5).

**ვანკუვერი-ედმონტონი 4:2**
0:0, 3:0, 1:2
**გოლები:** 1:0 დ. სედინი-13 (ედლერი-11, უელვუდი-5), 2:0 კესლერი-7 (ბერნიე-6, მიტჩელი-9), 3:0 დ. სედინი-14 (ჰანსენი-12, ბიეკსა-13), 3:1 პენერი-9, 3:2 სემ განიე-2 (ჰემსკი-21, ნილსონი-6), 4:2 ჰანსენი-4 (ჰ. სედინი-24, დ. სედინი-18).

**ლოს ანჯელ.-რეინჯერსი 2:3 (ო)**
1:1, 0:1, 1:0, 0:1
**გოლები:** 1:0 ო'სალივანი-8 (კოპიტარი-16, დ. ბრაუნი-12), 1:1 დრიური-10 (დეივსი-4, ჟირარდი-13), 1:2 როესივალი-3 (ბულიტი), 2:2 ბრაუნი-12 (კალდერი-6, ო'დონელი-6), 2:3 როესივალი-4 (მ. სტაალი-5, დრიური-10).

**კოლამბუსი-სან ხოსე 2:1 (ო)**
0:0, 0:0, 1:1, 1:0
**გოლები:** 0:1 სეტოგუჩი-16 (რ. ბლეიკი-17, მარლო-20), 1:1 პეკა-2 (ვორაჩეკი-10, ნეში-13), 2:1 უმბერგერი-9 (ჰუსელიუსი-11, ტიუტინი-12).

**ბაფალო-ნიუ ჯერსი 3:5**
1:2, 1:1, 1:2
**გოლები:** 0:1 ზაიაცი-8 (მოტო-6, ლანგენბრუნერი-14), 1:1 სტეფორდი-7 (მაკარტური-7, როი-17), 1:2 პარიზე-18 (ლანგენბრუნერი-15, ელიაში-18), 1:3 სალვადორი-2 (ელიაში-19, ჯონტა-19), 2:3 კალეტა-2 (ჰეი-7, შპაჩეკი-15), 2:4 კლარკსონი-6, 2:5 როლსტონი-2 (კლარკსონი-5), 3:5 გოსტადი-3 (პომინვილი-1, ჰეხტი-8).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ინტერვიუ კევინ გარნეტთან



# ჩვენი დევიზია უბუნტუ

## მთლიანად დაიხარჯე პარტნიორისთვის, რადგან ის შენთვისაც იგივეს გააკეთებს

კევინ გარნეტს ევროპა უყვარს. კიდევ ფეხბურთზე გიჟდება, ოღონდ არა ამერიკულზე, არამედ ნამდვილ, ევროპულ ფეხბურთზე. ამბობს, ნახევარდაცვაში რომ მეთამაშა, უზომოდ ბედნიერი ვიქნებოდიო. მაგრამ ოკეანის გაღმა რეგულარულად ფრენასა და თავისი საყვარელი გუნდების თამაშის ცქერას ჯერ არ აპირებს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

„შეიძლება 40 წელს რომ მივაღწევ და ყოველ მესამე ტყორცნას ავაცილებ, შემდეგ დავფიქრდე ამაზე", - ამბობს კევინი.

ESPN-თვის მიცემულ ინტერვიუში 32 წლის გარნეტი ლაპარაკობს მამობაზე, თავის პირველ ჩემპიონობასა და სამომავლო გეგმებზე.

**- ახალ კომპიუტერულ თამაშში - NBA 2K9, შესაძლებელია კევინ გარნეტის „ბოსტონ სელტიქსის" შემადგენლობიდან გამოყვანა და მისი ცალკე თამაში. ცხოვრება რომ თამაში იყოს, თქვენ ვის როლს აირჩევდით?**

- კარგი შეკითხვაა. რომელიმე სუპერგმირის ან ფეხბურთელის როლს ავირჩევდი. ფეხბურთელებზე ვგიჟდები. მათ ყველაფერი აქვთ - ტექნიკა, ინტრიგა ყველა მატჩში... იქ სუპერგმირისთვისაც მოიძებნება ადგილი. ასე რომ, ყველაზე მეტად ფეხბურთელობას ვისურვებდი. იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში შეგიძლია ყველაფერი ერთად იყო.

**- სუპერგმირი გასაგებია, მაგრამ ფეხბურთელობა რაში გჭირდებათ?**

- ეს სპორტის ის სახეობაა, სადაც აწყობილი გუნდური მოქმედებით წარმატების მიღწევაა შესაძლებელი. აი, ეს მომწონს ყველაზე მეტად. ვისურვებდი, კარგი გამთამაშებელი ვყოფილიყავი და ამასთან, თავადაც გამეტანა გოლები, როგორც ამას კაკა აკეთებს. ბრაზილიელი ხშირად ასრულებს ბრწყინვალე გადაცემას და ამასთან, ისეთი გოლები გააქვს, რომ გულგრილს არ ტოვებს მაყურებელს. ნებისმიერი ფეხბურთელი უნდა ისწრაფვოდეს ასეთი მრავალფეროვნებისკენ. დამეთანხმებით, რომ თუ ადამიანს შეუძლია 5-6 საქმე ერთნაირი წარმატებით აკეთოს, ეს მას დადებითი კუთხით წარმოაჩენს.

**- „ბოსტონში" გადასვლამდე, „მინესოტაში" უიმედო ყოფნის პერიოდში კარიერის დასრულების სურვილი არ გიჩნდებოდათ?**

- არა. შეჩვეული ვარ იმას, რომ ბედი ხშირად უსიამოვნო სიურპრიზებს მიმზადებს, მე კი ყოველთვის ვცდილობ საკუთარი შეცდომების გამოსწორებას. საკუთარ თავთან ყოველთვის პატიოსანი უნდა იყო და ბოლომდე შენი პრინციპების ერთგული უნდა დარჩე. მაგალითად, თუ ხელმძღვანელობასთან რაიმე უთანხმოება მიჩნდებოდა, მას ყოველთვის დახურულ კარს მიღმა განვიხილავდი და დავის საგანი ყველას სამსჯავროზე არ გამომქონდა. ეს იმიტომ, რომ ჩვენი საკუთარი საქციელის გამო უნდა ვიყოთ პასუხისმგებლები. არ ღირს იწუწუნო იმაზე, რომ არაფრის შეცვლა არ შეგიძლია, ამას სჯობს, სცადო ამ რაღაცის შეცვლა. ამაში დარწმუნებული ვარ.

„ბოსტონში" გადავედი თუ არა, მაშინვე დავინახე სხვაობა „მინესოტასთან". ისეთი მკვეთრი განსხვავება არ ყოფილა, როგორც ვაშლსა და ფორთოხალს შორის, მაგრამ მაინც არსებობდა სხვაობა. მთავარი სამუშაოსადმი მიდგომაში გამოიხატებოდა. „ბოსტონში" მზად იყვნენ ნებისმიერ მსხვერპლზე წასულიყვნენ იმის სანაცვლოდ, რომ კონკურენტუნარიანი გუნდი შეექმნათ. ნაწილ-ნაწილ აწყობდნენ გუნდს და ამ ყველაფერს მხოლოდ იმიტომ აკეთებდნენ, რომ ქალაქისთვის ძველი გამარჯვებების ტრადიციები დაებრუნებინათ.

**- „ბოსტონს" ძალიან იოლად შეეწყვეთ. როდის იგრძენით თავი ნამდვილ „კელტად"?**

- მე აქ პირველად 1995 წელს ჩამოვედი. უკვე მაშინ შევატყვე, რომ აქაურობა, ყოველი კუთხე ისტორიითა და ტრადიციებით იყო გაჯერებული. ამ ყველაფრის ორგანულ ნაწილად გადაქცევა ნებისმიერი კალათბურთელის ოცნებაა. დააბიჯებ არენაზე და გესმის დიადი წარსულის შესახებ საუბრები, ამის შემდეგ, მხრებზე უდიდესი პასუხისმგებლობა გაწვება.

ჩემთვის „ბოსტონის" მაისურის ჩაცმა მსოფლმხედველობის შეცვლასთან არის გაიგივებული. ბევრი ადამიანი ამ სამყაროს ჩვენი გუნდის პრიზმაში ხედავს. ამ სეზონში შემთხვევით არ აგვირჩევია ჩვენს დევიზად სამხრეთაფრიკული ცნება - „უბუნტუ". ეს დაახლოებით ასე იშიფრება: „მთლიანად დაიხარჯე პარტნიორისთვის, რადგან ის შენთვისაც იგივეს გააკეთებს". თუ ჩავუღრმავდებით, მივხვდებით, რომ მხოლოდ საქმისადმი ამგვარი მიდგომით არის შესაძლებელი გამარჯვების მიღწევა. ამის გარეშე გუნდი არ არსებობს. ამის გარეშე სპორტიც არ უნდა არსებობდეს. რა თქმა უნდა, გამონაკლისია ინდივიდუალური სახეობები.

ჩემი აზრით, „სელტიქსის" მწვანე მაისურა ბევრს გავალდებულებს. ამიტომაც ეს ჩემპიონობა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. როცა ტიტულს იგებ, შენ არა მარტო უფლება გაქვს, საუკეთესოდ მოიხსენიო საკუთარი თავი, ამით ტრადიციასაც აგრძელებ. ვისაც ეს არ ესმის, გუნდში არაფერი ესაქმება.

**- როგორ მოეკიდნენ მოთამაშეები ამ დევიზს - „უბუნტუს"?**

- ძალიან ძნელია ცხოვრების შესახებ სხვადასხვა მსოფლმხედველობის მქონე მოთამაშეებისგან ერთი მთლიანი ჯგუფის შექმნა. ყველა თავისებურად აზროვნებს. მაგრამ „უბუნტუმ" გაერთიანებაში შეგვიწყო ხელი.

ყველამ მშვენივრად გაიგო, რომ ამ დევიზით მათ საკუთარი ამბიციების გვერდზე გადადება მოუწევდათ, რადგან ასე იყო საჭირო დიადი მიზნის მისაღწევად. ეს ის მიზანია, რის გამოც ჩვენ აქ ყველანი შევიკრიბეთ.

**- რა უფრო კარგია - მოხვდე ცუდ გუნდში და მასთან ერთად გახდე ჩემპიონი, თუ შეეკედლო ისეთ კლუბს, რომელიც შენს გარეშეც კარგად თამაშობს და იქ მოიპოვო ტიტული?**

- არა, თუ გუნდმა ტემპი აკრიფა, სჯობს იქ თავი არ შეყო. მირჩევნია ყველაფრის თავიდან დაწყება და მწვერვალამდე გრძელი გზის გავლა. ახლა ჩვენი ამოცანაა ჩემპიონობის რამდენჯერმე მოგება და ამ თაობის კლუბის ისტორიაში შეყვანა.

**- ალბათ, რამდენიმე წლის შემდეგ კევინ გარნეტის შესახებ ფილმს გადაიღებენ, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი ექნება მოგებული ფინალური სერიის შემდეგ თქვენ მიერ ნათქვამ ფრაზას: „შეუძლებელი შესაძლებელია". თქვენთვის რას ნიშნავს ეს სიტყვები?**

- მაშინ, ეს ჩემი ცხოვრების კულმინაცია იყო. ღმერთო, ჩვენ გავიმარჯვეთ! ჩვენ ეს გავაკეთეთ! ამ ფრაზას ვარჯიშებზე ხშირად ვიმეორებდი. იქამდეც კი მივედი, რომ თვალწინ მუდმივად საჩემპიონო თასი მედგა და იქამდე ხელის ერთი გაწვდენა იყო საჭირო. ასე რომ, თუ მონდომებით და თავდადებით იმუშავებ, ყველაფერი შესაძლებელია,.

**- ამბობენ, რომ მშობლის სიყვარულს ვერ დააფასებ, თუ თავად არ გახდები მშობელი. ეთანხმებით ამ მოსაზრებას? როგორ შეიცვალა თქვენი ცხოვრება მას შემდეგ, რაც მამა გახდით?**

- არ მიყვარს ამ თემაზე საუბარი, რადგან მიმაჩნია, რომ ძალიან პირადულია, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ თქვენ მიერ მოყვანილ მოსაზრებას ვეთანხმები. საკუთარი ოჯახისთვის ყველაფერზე წასვლა შემიძლია, ოღონდ კი ის უსაფრთხოდ იყოს. მე ის იმ წამს გავიგე, როცა მამა გავხდი.

**- მაშ ასე, ახლა თქვენ ქმარი, მამა და NBA-ის ჩემპიონი ხართ. კიდევ რამდენი ხანი აპირებთ თამაშს?**

- კონტრაქტის მიხედვით ოთხი წელი დამრჩა. ასე რომ, წასვლაზე ჯერ არ ვფიქრობ. ხოლო რა იქნება მომავალში, ამაზე პასუხის გასაცემად მზად არ ვარ. ვინ იცის, რა ფორმაში ვიქნები მომავალში?! ჯერჯერობით ყველაფერი ბრწყინვალედ მიდის და უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში არ ვაპირებ სპორტიდან წასვლას. პირიქით, თამაში ახლა კიდევ უფრო მეტ სიამოვნებას მანიჭებს. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ჩემპიონობამ და ბავშვის დაბადებამ ახალი ძალები შემმატა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

# პორტლენდმა პორტერი დააფასა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბმა „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსმა" ხმარებიდან ამოიღო 30-ნომრიანი მაისურა, რომელიც 10 წლის განმავლობაში გამთამაშებელ **ტერი პორტერს** ეკუთვნოდა. ამ კალათბურთელს „ბლეიზერსთან" ერთად ორჯერ უთამაშია NBA-ის ფინალში, მაგრამ კლუბს ორივეჯერ მოეცარა ხელი. მაშინ „პორტლენდის" სასტარტო ხუთეულში ირიცხებოდნენ პორტერი, **კლაიდ დრექსლერი, ჯერომ კერსი, ბაკ უილიამსი** და აწ გარდაცვლილი **კევინ დაკუორტი**

1990 წელს, „პორტლენდმა" ფინალური სერია „დეტროიტ პისტონზთან" წააგო, ორი წლის შემდეგ კი **მაიკლ ჯორდანის** „ჩიკაგოსთან" დამარცხდა. იმავე 1990 წლის 7 ივნისს, პორტერმა NBA-ის ფინალური სერიის რეკორდი დაამყარა, როცა თამაშიდან 15 ტყორცნა განახორციელა და ყველა ზუსტად.

1995 წელს პორტერი „მინესოტაში" გადავიდა და მას არსებობის ისტორიაში პირველად პლეი ოფის საგზური მოუპოვა. ტერის აგრეთვე „მაიამისა" და „სან ანტონიოში" უთამაშია.

დღეს, ტერი პორტერი „ფინიქს სანზის" მთავარ მწვრთნელად მუშაობს. გუშინ, სწორედ „პორტლენდისა" და „ფინიქსის" მატჩის წინ დაკიდეს „ბლეიზერსის" საშინაო არენის ჭერზე 30-ნომრიანი მაისურა.




# დანკანის 10 000 მოხსნა

„სან ანტონიო სპურსის" ფორვარდ **ტიმ დანკანს** „ნიუ ორლეანთან" მატჩში კარიერაში 10 ათასი მოხსნა დაუგროვდა. შესაბამისად, „სპურსის" ლიდერი NBA-ის ისტორიაში 33-ე კალათბურთელი გახდა, ვინც მსგავსი შედეგი დააფიქსირა. თუმცა „ჰორნეტსთან" შეხვედრა „სან ანტონიომ" 83:90 დათმო.

გარდა ამისა, დანკანი მეოთხე კალათბურთელია **ქარით აბდულ-ჯაბარის, ჰაკიმ ოლაჟუონისა** და **შაკილ ო'ნილის** შემდეგ, ვისაც კარიერაში ერთდროულად აქვს მოპოვებული 18 ათასი ქულა, 10 ათასი მოხსნა, 2500 შედეგიანი პასი და 2 ათასი დაფარება.

ჰოკეი

# ლინდენი ვანკუვერის ლეგენდა გახდა

„ვანკუვერ კენაქსმა" საზეიმო ცერემონია მოაწყო, რომელიც გუნდის ყოფილი კაპიტნის **ტრევორ ლინდენისადმი** იყო მიძღვნილი. „ედმონტონ ოილერზთან" მატჩის წინ, „კენაქსის" საშინაო არენის თაღზე დაკიდეს მაისურა ნომრით 16, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ნომერი ლინდენს სამუდამო მფლობელობაში გადაეცა.

ცნობილ ფორვარდს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 19 სეზონი აქვს გატარებული, აქედან 16 წელი „ვანკუვერს" მიუძღვნა. ის 7 წელი იყო „კენაქსის" კაპიტანი და კლუბის რეკორდსმენად ითვლება ჩატარებული მატჩებისა (1140) და შედეგიანი გადაცემების (415) რაოდენობით.



გამოვიდა დეკემბრის ნომერი